სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 7 ივნისი 2000 №106 (1128) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველებმა ბაქოში ტარაკნებს ვერ აჯობეს

საქართველოს ეროვნულმა გუნდმა კვირას აზერბაიჯანელებთან მორიგი უგოლო ამხანაგური მატჩი ჩაატარა და ერთდღიანი დასვენების შემდეგ დიღმის ბაზაზე 11 ივნისს ესტონელების წინააღმდეგ სათამაშოდ შეუდგა მზადებას.

ტალინში წასაყვანად რომელ ფეხბურთელებს შეარჩევენ ნაკრების მწვრთნელები, ეს ალბათ დღეს, ეროვნულ სტადიონზე დანიშნული ორმხრივი მატჩის მერე გადაწყდება, თუმცა ცნობილია, რომ ბალტიისპირეთში აზერბაიჯანისგან განსხვავებით, გუნდს მიხეილ ყაველაშვილი, კახა კალაძე, გიორგი დემეტრაძე, დავით ჩალაძე, ზურაბ მენთეშაშვილი და ალექსანდრე რეხვიაშვილი შეემატებიან, შესაძლოა, ლევან კორღალიძეც. გოჩა ჯამარაული კი ნაკრებს ტრავმის გამო დაკარგდება. ეს ეროვნული გუნდის მწვრთნელთაგანმა რევაზ ძოძუაშვილმა გუშინ თავად გვითხრა და მერე მცირე ინტერვიუზეც დაგვთანხმდა. სალაპარაკო თემა, რა თქმა უნდა, კვირისა და მომავალი კვირის მატჩები იყო.

გიორგი ჩიხრაძე (№5) და ვადიმ ვასილევი
კვირას ბაქოში გამართული აზერბაიჯან — საქართველოს მატჩისას

— აზერბაიჯანთან, თუნდაც ამხანაგური, ფრედდამთავრებული მატჩით კმაყოფილი ვერ დარჩებოდით.

— თქვენ წარმოიდგინეთ არც უკმაყოფილო ვარ. ბაქოში თამაში ჩვენთვის კარგი გაკვეთილი იყო. მსაჯობა უნდა გენახათ, კომბინაციის გაკეთების საშუალებაც არ მოგვცეს. მივუახლოვდებოდით მეტოქის კარს და არბიტრი თანაშემწესთან ერთად რაღაც-რაღაცეებს იგონებდა, ხან ჯარიმაო, თამაშგარეო. ბიჭებს გასაქანი არ მისცეს. ამიტომ ვთქვი, გაკვეთილი იყო-მეთქი. გამორიცხული არ არის, შესარჩევი მატჩების დროსაც ტენდენციურად გვიმსაჯონ და უნდა ვიცოდეთ, ცუდი მსაჯობისას როგორ ვითამაშოთ. სამომავლოდ ეს ფაქტორიც გასათვალისწინებელია.

— ისე ხომ არ გამოგდით, ვერმოგებას მსაჯობას აბრალებდეთ? მხოლოდ ეგ იყო მიზეზი?

— დაბრალებით არავის არაფერს ვაბრალებ. უბრალოდ, ვახსენე, რომ მსაჯობა არ ვარგოდა. მიზეზებზე კი ახლავე. ჯერ ერთი, სეზონი ახალდამთავრებულია და ამის გამო ბიჭებმა თავიანთი შესაძლებლობების ნახევარიც ვერ გამოავლინეს, ფეხბურთელები გადაღლილები იყვნენ. მეორეც, ეს იყო ამხანაგური მატჩი და ექსპერიმენტების საშუალება გვქონდა. თუ დათვალეთ, ექვსი ისეთი ფეხბურთელი ვათამაშეთ, ამპლუით თავდამსხმელები რომ არიან. მესამეც — დასასვენებლად უცუდესი პირობები გვქონდა, სასტუმროს ნომრებში ტარაკნები დარბოდნენ.

— ტარაკნები რა მიზეზია, უკეთესი სასტუმრო ბაქოში არ იყო? ხალხს ეგ ნაკლებად აინტერესებს. მთავარი შედეგია.

— ეგრეა, თუმცა სომხეთთან და აზერბაიჯანელებთან მოუგებული მატჩების გამო ძალიანაც ნუ გაგვაკრიტიკებთ. ერთხელაც ვამბობ, ამხანაგური თამაშებია და ათასი რამ გვაქვს დასამუშავებელ-შესამოწმებელი. ფეხბურთელი ასეთ დროს თუ არ გამოსცადე, ოფიციალური მატჩებისას ამას ვერ გააკეთებ. მე ვეთანხმები, როცა ამბობენ, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის პრეტენზიის მქონე გუნდმა ასეთი დონის გუნდებს თუ ვერ მოუგო, რისი იმედი უნდა გვქონდესო, თუმცა ნაწილობრივ ამაზეც გიპასუხეთ. სექტემბრამდე დარჩენილი დრო უნდა გამოვიყენოთ და შესარჩევ მატჩებამდე სანაკრებოდ იმდენი ფეხბურთელი მოვამზადოთ, მერე შემადგენლობის შერჩევისას პრობლემა აღარ გვქონდეს. შეუცვლელი არავინ უნდა იყოს. ყველა მატჩს ერთი იგივე 11 ფეხბურთელი ვერ ითამაშებს. ვინმე რომ დაშავდეს, მისი სრულყოფილი შემცვლელია საჭირო.

— კვიპროსის ტურნირის შემდეგ ნაკრების თამაშში უკეთესობისკენ რა შეიცვალა?

— დაცვის თამაში. ჩემი აზრით, მთავარიც ესაა — დაცვა. უკვე ორი მატჩია, გოლი არ გაგვიშვია. ოღონდ ნუ იტყვით, მეტოქეებსაც გააჩნიაო. მცველმა არასწორად თუ ითამაშა, გოლს სომეხიც გაგიტანს, აზერბაიჯანელიც და გერმანელიც. ყველამ თავისი ფუნქცია უნდა შეასრულოს და საქმეც ნელ-ნელა აეწყობა. ეს კი უკვე იგრძნობა. ჩვენ გოლს თუ არ გავუშვებთ, დარწმუნებული ვარ, ისეთი თავდამსხმელები გვყავს, ისინი გაიტანენ. მათთან მუშაობისას ნაკლები პრობლემაა, უკანა ხაზში საქმე უფრო რთულადაა.

— ამხანაგური მატჩებისას შედეგი არ არის მთავარი?

— როგორ გითხრათ, შედეგიც და ექსპერიმენტიც. უმთავრესი კი მაინც, შემადგენლობის სტაბილიზაციაა. ჩემი და ყიფიანის მიზანიც სწორედ ეგ არის.

— აზერბაიჯანელებთან ფრის მიზეზი ისიც ხომ არაა, რომ ქართველმა ფეხბურთელებმა მეტოქე სათანადოდ ვერ შეაფასეს?

— გეთანხმებით, ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის. ბიჭები მთელი ძალით სათამაშოო ვერ განეწყვნენ. სეზონი დამთავრდა და...

— ესტონელებთან შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვლება?

— მნიშვნელოვნადო, ვერ ვიტყვი, თუმცა ბაქოში ნათამაშევთაგან რამდენიმე კი დარჩება თბილისში. ტალინშიც ვაპირებთ, ერთი-ორი ახალბედა გამოვცადოთ. არაა გამორიცხული, ნემსაძეც წავიყვანოთ, დღეს ივარჯიშა და ვნახოთ.

ძოგბა ინასარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზე ითათბირეს რატიანმა და ჩივაძემ?

გამორიცხული არაა, „დინამო“ საქართველოს ნაკრების ყოფილმა თავკაცმა გაწვრთნას

აი, ფიგურა!

ფიგუა თუ ფიგარო: „ბარსელონა“, „მანჩესტერი“, „მილანი“ თუ „ლაციო“?

პარიზში ერთი ქალია...

გუშინ საფრანგეთის ლია პირველობაზე ექვსი ნახევარფინალისტის ვინაობა გაირკვა. სასურველი ჯილდოსთვის ბრძოლას ქალთაგან მარტინა ჰინგისი, „როლან გაროსს“ შემორჩენილი ერთადერთი ფრანგი მარი პირსი და ესპანელები არანჩა სანჩეს ვიკარიო და კონჩიტა მარტინესი გააგრძელებენ. პირველ ნომრად განთესილმა ჰინგისმა ამერიკელი ჩანდა რუბინი დაამარცხა, მარტინესმა — თვისტომი მარტა მარერო, სანჩეს ვიკარიომ ვინუს უილიამსს მოუგო სამ სეტში, ტანმშვენიერმა მარი პირსმა კი ქომაგთა გასაბარად მონიკა სელეშს ააკვრევინა პარიზიდან გუდა-ნაბადი.

კაცთა მეოთხედფინალში გამორჩეული ყურადღება გუსტავო კუერტენისა და ევგენი კაფელნიკოვის შეხვედრამ მიიპყრო. დაძაბულ, ხუთსეტიან მატჩში გამარჯვება ბრაზილიელს დარჩა. კიდევ ერთ მეოთხედფინალში, ესპანელმა ხუან კარლოს ფერერომ თვისტომ ალექს კორეტხას აჯობა.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



REUTERS პარი ზიდან

მარი პირსი

...სიცილი ჯერაც საამოა

მთავარი მწვრთნელები რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი, მათი თანაშემწენი ოთარ გაბელია და ევგენი გორგაძე და საქართველოს ეროვნული ნაკრების 25 წევრი თუ წევრობის კანდიდატი, კიდევ არაერთ მომკითხავ თუ გამკითხავითურთ გუშინ დიღმის საწვრთნელ ბაზას შესეოდა.

აზერბაიჯანიდან დაბრუნებული ეროვნული გუნდი ახლა საესტონეთოდ ემზადება. თავიდანვე გეტყვით, განწყობა საუცხოოა. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთელთა თითოეული მოქმედება და ჟესტი იმაზე მიუთითებს, რომ ჩინებულ ხასიათზე არიან.

ძოძუაშვილისა და ყიფიანის მოსვლის შემდეგ ნაკრებს თამაში არ წაუგია. მართალია, სომხეთსა და აზერბაიჯანში ნათამაშევ უგოლო ფრეებს ნაკრებს აქტივში ვერაფრით ჩავუთვლით, მაგრამ ჯერ კრიტიკასაც არ ვკადრებთ. მწვრთნელები აცხადებენ, რომ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ამზადებენ და ნაკრებში ახალ კანდიდატებს ცდიან. ასეთ დროს ბევრ რამეზე შეიძლება თვალის დახუჭვა.

ძოძუაშვილმა და ყიფიანმა აზერბაიჯანში ნაწევე შემადგენლობას რვა ახალი ფეხბურთელი დაუმატეს. გუშინ ეროვნულ გუნდთან ერთად ივარჯიშეს ვიტალი დარასელიამ (ცსკა, კიევი), მამია ჯიქიამ (რუხი, პოლონეთი), ისრაელიდან დაბრუნებულმა გივი დიდავამ, თბილისურ „ლოკომოტივში" და ახალგაზრდულ ნაკრებში თავგამოჩენილმა გიორგი ლომაიამ და გივი კვარაცხელიამ, „ბათუმის" მცველმა ზურაბ არჩვაძემ, დინამოელმა — ირაკლი ვაშაკიძემ და ტრავმისგან განკურნებულმა, მაგრამ ჯერაც უგუნდო გიორგი კიკნაძემ.

საღამოს ვარჯიშმა თითქმის ორ საათს გასტანა. ჯერ ყველაფერი უბრალო კვადრატით დაიწყო. მწვრთნელებმა 24 ფეხბურთელი სამ ნაწილად დაყვეს. თითო ჯგუფში, მეკარეების ჩათვლით, 8 მოთამაშე იყო, ორი შუაში და ექვსი გარეთ. თუ ბიჭი ხარ, მიდი და წაართვი. იწყებოდა თვლა, ერთი, ორი, სამი... სადღაც მეოცე შეხების შემდეგ მოიხელთებდნენ ბურთს შუაში მყოფები.

პასი, არაერთი ტექნიკური ილეთი, ხუმრობა, სიცილი ერთმანეთში ირეოდა. სასიამოვნო გარემოს შექმნას მწვრთნელებიც ხელს უწყობდნენ.

მთელს ამ ორომტრიალში მონაწილეობა არ მიუღია თემურ ქეცბაიას. მას გუშინ ბუცებიც კი არ მოურგია. ჯერ მინდვრის გარშემო ირბინა, მერე თავისით ჩაატარა ვარჯიშების მთელი კომპლექსი, სულ ბოლოს იქვე, მინდვრის კიდესთან ჩამოჯდა. ქეცბაია, ფაქტობრივად, ინდივიდუალური პროგრამით მოემზადა. გასაჭირისა და ტრავმის არაფერი ეტყობოდა. არც მწვრთნელებს უთქვამთ რამ, ჟურნალისტებთან კი, მოგეხსენებათ, კვლავაც უბრადაა.

კვადრატი მორჩა და ფეხბურთელები ფიზმომზადების სპეციალისტმა ევგენი გორგაძემ ჩაიბარა. კუნთების დამუშავება, გაჭიმვები და ასე შემდეგ. ამის მერე გუნდი ისევ სამად გაიყო. რევაზ ძოძუაშვილმა უკანასკნელები დაიმარტოხელა. ხაზზე, ერთმანეთისკენ ზურგით დააყენა და დაიწყო გადაცემები მხოლოდ თავით, ბურთი ძირს არ უნდა დაცემულიყო. დავალება ნელ ტემპში, მაგრამ პირნათლად შესრულდა. მერე იყო პასები და სხვა ტაქტიკური ილეთების დამუშავება.

დავით ყიფიანმა წინასწარ ნებაყოფლობითად ჩააყენა ნახევარმცველები დაუმატა, კარში ნიკა ტოგონიძე ჩააყენა და მიდი, მარჯვნიდან, მარცხნიდან, შუიდან. ცუდი სანახავი ნამდვილად არ იყო, თუმც არ დავმალავთ და ვიტყვით, უკეთესი შესრულებაც გვინახავს.

ოთარ გაბელიას ორი მეკარე — იოსებ გრიშიკაშვილი და გიორგი ლომაია ერგო. მწვრთნელმაც წამითაც არ დაასვენა — სოსო, ლომა, იმახდა რიგრიგობით გაბელია. — რა ხდება, ამბროსიჩ, სეზონისწინა შეკრებაა, თუ... მიდი, მიდი, გადახტი და მერე „იქ" გაგიადვილდება.

ერთი ვარჯიშის შემხვედვარე ვერაფრით დაასკვნი, ვინ როგორ ფორმაშია, მაგრამ ის მაინც იგრძნობა, რომ სეზონი ფაქტობრივად დამთავრებულია. ბიჭებს სისწარტე აკლიათ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა.

ბოლოს ცოტა წაიბურთავეს ფეხბურთელებმა, ნაწილი მაშინვე გასახდელისკენ გაეშურა, ზოგმა კიდევ ათიოდ წუთი აწვალა ბურთი და ვარჯიშიც დასრულდა.

ეროვნული ნაკრები მინდორს ტოვებდა. რიგრიგობით მიემართებოდნენ გასახდელისკენ, ჩაგვივლიდნენ, მოგვესალმებოდნენ. არავინ უცხო, ყველაფერი ძველებური. ბევრი მათგანი დამწყები ფეხბურთელიც გვახსოვს. შეუმჩნევლად დაღვინდნენ, ბევრმა შასაური კარიერაც მოიწყო, მაგრამ ნაკრები, შედეგი?! იქნებ ამის დროც დადგეს.

ჩვენს შორიახლოს დარასელია უმცროსმა ჩაიარა. მოგვესალმა, მოვიკითხეთ. რაც დრო გადის, მით უფრო ემსგავსება მამამისს, ჩილაპარაკა ერთმა ქომაგმა. დაკუნთული სხეული, მიხრამოხრა, იერი. ფეხბურთიც თუ მამამისის დარი ითამაშა, მთლად ავშენდებით. უცხო იყო ის კაცი, თავისთვის ცოტა ხმამაღლა აწყობდა გეგმებს.

გასახდელიდან ისევ ისმოდა ხუმრობა და სიცილი და ეს სულაც არ არის ურიგო, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, სულ ბოლოს გავიცინოთ.

დღეს დილით ნაკრები დიღმეში ივარჯიშებს, მერე საღამოს „ეროვნულზე" გადაინაცვლებს და ორმხრივ თამაშს გააჩაღებს. კიდევ ერთი დღე და ტალინში მოსკოვის გამგზავრების დროც მოვა. ვნახოთ, როგორ დაგვხვდებიან ესტონელები, რას შემოგვთავაზებენ და ჩვენები რას დაუპირისპირებენ.

მამუკა კვანტალიანი

ბადრი კბილაშვილის ფოტო

საქართველოს ეროვნული ნაკრები სატალინოდ მზადებას გუშინ შეუდგა

დინამო თუ მაკაბი?
ვისია დიდავა და წიტაიშვილი?

დინამოელები — გივი დიდავა და კობა წიტაიშვილი რომ ისრაელში, თელ ავივის „მაკაბიში" მოსაწყობად იყვნენ წასულები, ამის შესახებ „სარბიელმა" უკვე გაუწყათ.

ორივე ეს ფეხბურთელი გუშინ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე იმყოფებოდა. წიტაიშვილს არც „დინამოსთან" და არც ნაკრებთან არ უვარჯიშია, ბაზა ნაადრევად დატოვა. დიდავა კი ნაკრების თავკაცების განკარგულებაში დარჩა.

საბოლოოდ ვერ გავარკვიეთ, რა ბედი ეწიათ დიდავასა და წიტაიშვილს. ფეხბურთელები ერთს ამბობენ, „დინამოს" პრეზიდენტი კი საპირისპიროს ამტკიცებს. ისლა დაგვრჩენია, ორივე მხარის კომენტარი შემოგთავაზოთ:

მერაბ რატიანი, „დინამოს" პრეზიდენტი: „დინამოსა" და „მაკაბის" გარიგება ჩაიშალა. პირობებზე ვერ შევთანხმდით, დიდავა და წიტაიშვილი უკანვე გამოვიხმეთ. ასე იყო საჭირო. შესაძლოა, გივიმ და კობამ ინტერტოტოზე, „სტანდარდის" წინააღმეგაც ითამაშონ. არ არის გამორიცხული, ისინი სხვა რომელიმე ქვეყნის კლუბშიც იხილოთ. ჯერაც განიხილება რუსული ცეესკას ვარიანტი. ასე რომ, საბოლოოდ გადაწყვეტილი არაფერია.

გივი დიდავა, „დინამოს" კაპიტანი: „მაკაბისთან" ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ, თბილისში დროებით ჩამოვედით, მე ნაკრებში ვარ გამოძახებული, თან სხვა საკითხებიც გვაქვს მოსაგვარებელი. ისრაელში 20 ივნისს დავბრუნდებით და „მაკაბისთან" ერთად ახალი სეზონისთვის შეუდგებით მზადებას.

გაუგებარი ვითარებაა. აბა, ამას სხვა რა სახელი დავარქვათ. ვის რა ჩანაფიქრი აქვს, არავინ იცის, მთავარია, ფეხბურთელები უსაქმოდ არ დარჩნენ და „დინამომაც" გარკვეული თანხა მიიღოს ვალების დასაფარად.

მამუკა კვანტალიანი

დინამო დღეს და... სტანდარდთან

2000 წელი. 6 ივნისი, დიღმის საწვრთნელი ბაზა. საქართველოს ათგზის ჩემპიონი თბილისის „დინამო" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლის, ჯემალ ჩიმაკაძის ხელმძღვანელობით სულ 11 ფეხბურთელი ვარჯიშობს. აი, „დინამოც" ამას ჰქვია. აი, გუნდი, რომელმაც 18 ივნისს ინტერტოტოს გათამაშების პირველ მატჩში ბელგიურ „სტანდარდს" უნდა უმასპინძლოს.

გუშინ ბაზაზე ვარჯიშობდნენ: ალექსანდრე ჩიხრაძე, ნიკოლოზ ჩხეიძე, კახა გოგოლაძე, ზაზა ზირაქიშვილი, გიორგი ანჩაბაძე, გიორგი შენგელია, გიორგი მიქაძე, არჩილ სახვაძე, დავით დათუაძე, მურთაზ შელია, გიორგი შაშიაშვილი. ამათთან ერთად ჩიმაკაძის მითითებებს ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილი თავდამსხმელი კონსტანტინე მეტრეველი და ბოლოხანს უთამაშებელი გიორგი ღუდუშაურიც ისმენდნენ, მაგრამ „დინამოსი" არც ერთია, არც მეორე, ისინი სათამაშო ფორმის შესანარჩუნებლად ვარჯიშობდნენ.

ასეა „დინამოში" საქმე. ერთობ გასჭირვებიათ, თუმცა მთლად უიმედოდ, სულ წყალწაღებულნიც როდი არიან. იქვე, ბაზის მეორე მოედანზე, საქართველოს ნაკრებში ოთხი დინამელი — სოსო გრიშიკაშვილი, ირაკლი ვაშაკიძე, რევაზ არველაძე და თენგიზ სიჭინავა ვარჯიშობდნენ.

როცა „დინამოს" მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელ ჯემალ ჩიმაკაძეს ვესაუბრეთ, გვითხრა, რომ მიზეზთა გამო, რისი დაკონკრეტებაც არ ისურვა, გუნდი ასეთ დღეშიაო. „სტანდარდთან" ინტერტოტოს მოახლოებული მატჩის წინ კი მწვრთნელმა, უპირატესობა ბელგიელებისკენ არის, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსებს 60-40-ზე ვაფასებო.

არადა, საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორებმა, სავარაუდოდ მეორე შემადგენლობით მოთამაშე „სტანდარს" თუ აჯობებს, მერე მეტოქედ იტალიური „პერუჯა" ერგებათ, რაც ფინანსურად მათთვის მომგებიანი იქნება და ეგებ დაგროვილი ვალებიც გაესტუმრებინათ. 18 ივნისამდე ჩიმაკაძეს ერთი ამხანაგური მატჩის ჩატარებაც ჩაუფიქრებია, „სტანდარდამდე" ბიჭებს შევათამაშებო. მეტოქედ ვის აირჩევს, ჯერ არ გადაუწყვეტია, ალბათ ერთ-ერთ თბილისურ გუნდს. ნაკრებში მიწვეული ფეხბურთელების ესტონეთიდან დაბრუნებას დაველოდებით და მერე ვითამაშებთო, გვითხრა მწვრთნელმა.

გუშინვე შევიტყვეთ, რომ „დინამოს" ხელმძღვანელობას დიდი სურვილი აქვს, ქუთაისის „ტორპედოდან" ორი თავდამსხმელი — მიზეილ ბობოხიძე და გიორგი იმედაძე გადმიბიროს. დათმობს თუ არა ჩემპიონი ამ ფეხბურთელებს, დღეს გაირკვევა. უეფაში სწორედ დღეს იწურება ინტერტოტოზე მოთამაშეთა განაცხადების მიღების ვადა.

ჯემალ ჩიმაკაძეს კი უეფაში გასაზვინი სია თითქმის ბოლომდე აქვს ჩამოწერილი. გუშინ ბაზაზე „დინამოსა" და ნაკრებში მოვარჯიშეთა გარდა გუნდი საინტერტოტოოდ კიდევ: რევაზ ქემოკლიძეს, ოლეგ გველესიანს, ლაშა მონასელიძეს, ვალტერ გუჩუას, ვლადიმერ ბურდულს და გიორგი გაბიდაურს შეიყვანს განაცხადში.

ინტერტოტოზე „დინამოში" ალბათ გივი დიდავა და კობა წიტაიშვილიც ითამაშებენ. ისინი კლუბმა ისრაელის „მაკაბიდან" უკანვე დააბრუნა. ბობოხიძეზე და იმედაძეზე კი უკვე ვთქვით.

და ერთიც: ვარჯიშის შემდეგ „დინამოს" პრეზიდენტი მერაბ რატიანი პირისპირ ესაუბრა ალექსანდრე ჩივაძეს. რა თემაზე, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუმც რა გადაწყვიტეს ვერ გავიგეთ.

ძოგა ინასარიძე

ევროპამ ქართველ დირექტორს უხმო

ორშაბათს სფფ-ს საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე დავით პეტრიაშვილი ჰოლანდიაში გაემგზავრა. უკვე გაუწყეთ, იგი ამას წინათ ჩემპიონთა ლიგის მატჩებს დირექტორობდა. მისი გარჯით უეფაში ერთობ კმაყოფილი დარჩენილან და სფფ-ს საერთაშორისო კომიტეტის თავკაცს ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ ევრო 2000-ზეც უხმო. აღსანიშნავია ის, რომ ჩემპიონატის 31 მატჩს სულ რვა დირექტორი მოემსახურება და სასიამოვნოა, რომ მათ შორის ერთი ქართველი იქნება.

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ათი დღით ადრე პეტრიაშვილის ბენილუქსში გამგზავრება იმით არის გამოწვეული, რომ დღეიდან რვავე დირექტორს ადგილზე ინტენსიური წვრთნა ანუ ძირითადად ლექცია-სემინარები ჩაუტარდება. ამის შემდეგ დირექტორები იმ სტადიონებს დაათვალიერებენ, სადაც მუშაობა მოუწევთ. დავით პეტრიაშვილი არნემის „ელერე დომის" არენაზე ჩატარებულ მატჩებს მოემსახურება. შეგახსენებთ, რომ ამ სტადიონზე სამი შეხვედრა გაიმართება: 11 ივნისს თურქეთი — იტალია, ექვსი დღის შემდეგ რუმინელები პორტუგალიელებს დაუპირისპირდებიან, ბოლოს სლოვენია ნორვეგიას ეთამაშება.

პაატა კვანტალიანი

მატჩი — ტკივილი

ბათუმი
6 ივნისი
18 საათი
ცენტრალური



ბათუმი 3:3 აფხაზეთი

0:1 გაბისკირია (10), 1:1 ა. მუჯირი (24), 1:2 მ. ჯიშკარიანი (44), 1:3 კაკუბავა (56), 2:3 აფხაზავა (67), 3:3 ღლონტი (74)

ბათუმი: ჩლაიძე (ი. ბალაძე), კ. ქაცარავა, სიხარულიძე, მეგავნაძე, თედორაძე (ჩიჩუა), დარჩიძე (სიამაშვილი), რომანაძე, ღლონტი, აფხაზავა (ბეჟანიძე), თ. ტუღუში, ა. მუჯირი

სათადარიგონი: ფურცხვანიძე, ბასტკაძე

მწვრთნელი: ჯანი კარნეველი

აფხაზეთის ნაკრები: ქვაჩახია (კოლხეთი), გოგიტაძე (ზუგდიდი), მინდაძე (ბათუმი), გუჩუა (დინამო), ახვლედიანი (ტორპედო, შ. დანელია, ცხუმი), მ. ჯიშკარიანი (ლოკომოტივი, ლ. თოლორდავა, მერანი), შალამბერიძე (კოლხეთი, ჭანტურიძე, ცხუმი), გაბისკირია (ბნეი სახნინი, ისრაელი, დ. კაკუბავა, შამქარი, აზერბაიჯანი), გადელია (თბილისი), გოგიაშვილი (ტორპედო)

სათადარიგო: ფორფოლიანი (ცხუმი)

მწვრთნელი: ბონდო კაკუბავა

გაფრთხილება: გუჩუა

მსაჯი: ა. მილჩენკო (სოხუმი)

ბ ა თ უ მ ი ნაკრებს უმასპინძლა. ვაი რომ, ეს ამხანაგური მატჩი არ იყო მხოლოდ თამაში, მხოლოდ ფეხბურთი — ეს იყო შეხვედრა ტკივილთან.

გუშინ ბათუმში თამაშობდნენ აფხაზეთის მადლიან მიწაზე დაბადებულ-გაზრდილი ფეხბურთელები. ისინი ახლა სხვადასხვა ქართული და უცხოური კლუბების ღირსებას იცავენ, თუმც სულით კვლავაც ცხუმელები, მზიურელები, „ამირანის" და „სიხარულის" წევრები არიან.

გუშინ ბათუმში, მიზეზთა გამო, არ ჩასულან თემურ ქეცბაია, გიორგი ჩიხრაძე, მურთაზ შელია და თენგიზ სიჭინავა. იქნებ კიდევაც გამოგვრჩა ვინმე და ალბათ, შეგვინდობენ გულმავიწყობას.

გუშინ „ბათუმი" მასპინძლობდა „კოლხეთს", „ზუგდიდს", „დინამოს", „მერანს", „ტორპედოს" და „თბილისს". თითქმის მთელ საქართველოს, მაგრამ ბათუმის უპირველესი სტუმარი მაინც „ცხუმი", „ამირანი", „მზიური" და „სიხარული" იყო.

აფხაზეთის ნაკრებმა მასპინძლებს დაკარგული (ვიქონიოთ იმედი, რომ დროებით) ქალაქის, სოხუმის ხედის სურათი უსახსოვრა.

მატჩის არბიტრიც, ანატოლი მილჩენკოც ხომ სოხუმელი გახლავთ.

თამაშიც საინტერესო, ლამაზი სანახავი გამოდგა და ფრედ, 3:3 დასრულდა. ან რა მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენით რამდენი იქნებოდა: ამ მატჩმა ხომ ერთხელაც გაგვახსენა — აფხაზეთი ჩვენი ტკივილია.

9 ივნისს, აფხაზეთის ნაკრებს „ტორპედო" უმასპინძლებს. ახლა იქ გაიხსენებენ გარდასულ დღეებს, ქუთაისში მოეფერებიან შობლიურ მიწას მოწყვეტილ ფეხბურთელებს.

შოთას არჩილთან ურჩევნია

ნაკრებშიც, გუნდესლიგაშიც

არაერთგვაროვანი გამოდგა ბოლო სეზონი იმ ქართველი ლეგიონერებისთვის, რომლებიც ჩვენი ეროვნული გუნდის ბირთვს წარმოადგენენ. ნაკრების თავდასხმის ერთ-ერთ ლიდერ შოთა არველაძეს კი ტარვმის გამო 1999-2000 წლების ციკლი პრაქტიკულად გაუცდა. თუმც შოთას მაინცდამაინც დიდი დრო არ სჭირდება ხოლმე დაკარგულის აღსადგენად. ასე იყო ჩვენი უპირველესი გუნდის ბოლო შესარჩევი ციკლის მიწურულსაც — ტრავმამოშუშებულმა შოთამ სამი მატჩი ჩაატარა და არც ერთი არ დაუსრულებია უგოლოდ.

სარჩიელის არქივიდან

ამსტერდამის „აიაქსის“ თავდამსხმელი შოთა არველაძე

— ჰოლანდიის ჩემპიონატის ფინიშზე უკვე გამოჯანმრთელდი და რამდენიმე გოლიც გაიტანე, მაგრამ „აიაქსის“ გულშემატკივრებს ალბათ უკეთესი შოთა არველაძეც ახსოვთ.

— რა თქმა უნდა, საუკეთესო ფორმაში ჯერ კიდევ არ ვარ. ამისთვის აუცილებელია, გუნდთან ერთად სრულფასოვნად გავიარო მოსამზადებელი ეტაპი.

— რომელ გუნდს გულისხმობ? „ვალენსიას“ გარდა, ხომ შენით „დორტმუნდიც“ დაინტერესდა...

— საქმე ისაა, რომ „აიაქსს“ ჯერ არ უნდა ჩემი გაშვება. ისე ბუნდესლიგაში თამაშზე უარს ნაღდად არ ვამბობ, თანაც „დორტმუნდი“ დიდი გუნდია. ამ ეტაპზე კი ჩემთვის ყველაზე მთავარია, კარგად, ჯანმრთელად ვიყო.

— ნაკრებზეც ვთქვათ, რამდენიმე თვეც და ახალი შესარჩევი ციკლი დაიწყება...

— რას წარმოადგენენ იტალია და რუმინეთი, ყველამ ვიცით. უნგრეთი და ლიტვა კი, ჩემი აზრით, ასე ვთქვათ, მატყუარა, ამოუცნობი გუნდები არიან.

— ჩვენს ეროვნულ გუნდში კარგა ხანია, ჩამოყალიბდა წამყვან მოთამაშეთა ბირთვი. შენ ამ ბირთვის ნაწილი ხარ და ალბათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობაც გაკისრია.

— ეს ყველა გუნდში ასეა და არც საქართველოს ნაკრებია გამონაკლისი.

— ესე იგი თვლი, რომ იერარქია აუცილებელია?

— ხდება ხოლმე, რომ საფეხბურთო გუნდში ცალკეული მოთამაშეები სხვებზე უფრო მაღალ დონეზე დგანან და მეტი პრივილეგიებიც აქვთ. ყველაფერს ცხოვრება გვიჩვენებს. მე კი თავს გათამამებულად სულაც არ ვგრძნობ.

— რა მოხდება, ჯერ მართლა არავინ იცის, მაგრამ ნაკრების წამყვან მოთამაშეებს შეუძლიათ კი დაჰპირდნენ გულშემატკივრებს, რომ გუნდი წინა შესარჩევ ციკლთან შედარებით გაცილებით უკეთ იასპარეზებს?

— თუ ხელის შემშლელი ფაქტორები არ იქნება, რატომაც არა? მეორე ციკლი ხომ პირველზე უკეთ ჩავამთავრეთ.

— ნაკრების ერთ-ერთმა თავკაცმა, დავით ყიფიანმა ამას წინათ თქვა, რომ ზაზა ჯანაშია მხოლოდ ძირითადში სათამაშოდ იქნება ნაკრებში გამოძახებული. მწვრთნელები, ალბათ შოთა არველაძე — ჯანაშიას ტანდემზე აყეთებენ აქცენტს...

— ყველას სურს, პარტნიორად კარგი ფეხბურთელი ჰყავდეს და ზაზა ჯანაშია მართლაც ჩინებული ფეხბურთელია.

თუმცა, მწვრთნელთა გეგმებზე ვერაფერს გეტყვით და, პირადად მე, თავდასხმაში ყველაზე უფრო აჩიკოსთან მირჩევნია თამაში.

დავით თავართქილაძე

მამლუქობა დასრულდება?

არცთუ ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტმა პირველმა აიმაღლა ხმა იმ განუკითხაობაზე, რაც ბოლო წლებში ბავშვთა ფეხბურთში ხდება. საუბარია იმაზე, რომ ნიჭიერი ქართველი მოზარდები ჩალის ფასად, კაბალური კონტრაქტებით გაჰყავთ საშუალო დონის ევროპულ კლუბებში. ამ მხრივ ჩვენში მართლაც კატასტროფული სიტუაციაა. მარტო მიმდინარე წლის პირველი სამი თვის მონაცემებით საქართველოდან რუსეთის და დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში 35 ნორჩი, ჯერაც ზრდადაუსრულებელი ფეხბურთელი გაემგზავრა. ამიტომაც ატეხა განგაში სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტმა და, ბუნებრივია, ეს საკითხი ამას წინათ გამართული აღმასკომის ბოლო სხდომის დღის წესრიგშიც დადგა. გადამჭრელი ზომების მიღებას აღმასკომმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელიც იმ დამცავი მექანიზმების შესწავლა-დამუშავებას შეუდგა, რაც საბოლოო ჯამში ამ მტკივნეულ პროცესს შეაჩერებდა. აღმასკომის ბოლო სხდომის შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ჩვენც, ბუნებრივია, დავინტერესდით ზემოთ აღნიშნული კომისიის მუშაობით და იმ შესაძლო ცვლილებებით, რაც ბავშვთა ფეხბურთის სატრანსფერო სისტემის დარეგულირებისთვის უნდა განხორციელდეს.

სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ყიფიანის თქმით, ამ მხრივ მართლაც სასიკეთო ძვრებია. უკვე შემუშავებულია ის ძირითადი პუნქტები, რომლებიც ქვეყნიდან მოზარდთა მასობრივ გადინებას შეაჩერებს. ყიფიანის თქმით, ახალი პროექტი ივლისში, აღმასკომის სხდომაზე დამტკიცდება და ძალაში შევა. კონკრეტულად რას ითვალისწინებს ეს პროექტი, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია. სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თავკაცმა ერთი კი აღნიშნა, რომ ყოველივე დიდად წაადგება ჩვენს ფეხბურთს.

დაბოლოს, რამდენიმე დღის წინ უეფას საინტერნეტო სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო აპირებს ახალი კანონის შემოღებას, რაც ევროპაში 18-წლამდელი ფეხბურთელების გაყიდვის აკრძალვას ითვალისწინებს. სწორედ ეს არის ის ძირითადი პუნქტი, რაც ლაიტმოტივად გასდევს ბავშვთა პრობლემებზე მომუშავე კომისიის ახალ პროექტს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველებმა უეფას დაასწრეს. და ვინ იცის, იქნებ ქართულ ფეხბურთში მამლუქობაც დასრულდეს.

პაატა კვანტალიანი

ჯოლი Perla

ПЕРЛА

ჯოლი Perla

მარგალიტების მაღაზია



ჯოსტავას 47

ჩემპიონთა ლიგის კვალიფიკაციიდან ინტერტოტომდე

დინამოს ტანტიც დაინგრა

ბადრი კბილაძის ფოტო

თბილისის „დინამოს“ ბოლო ტიტული: ჯერ კიდევ ჩემპიონი (ათგზის) სუპერთასით

პირველად იყო დინამო

1990 წელს გამეფდა. დიდი ფასი ჰქონდა მაშინდელ ჩემპიონობას. უშედავათო, დაძაბულ ბრძოლაში დაისაკუთრა პირველობა. მომდევნო წელსაც გაიმეორა მიღწევა. მერე კიდევ ერთხელ, კიდევ და კიდევ..

ასე გრძელდებოდა და გაგრძელდა დღემდე. დღეს კი თბილისის „დინამო“, აქამდე საქართველოს უცვლელი ჩემპიონი, ოდენ მესამეობას დასჯერდა. ჩემპიონთა თასზე ბურთაობას და ლიგის საკვალიფიკაციოებს ჩვეული უტიტულოვანესი ქართული კლუბი არაფრის მომცემ და არაფრის მომტან ინტერტოტოზე მოსინჯავს ძალას.

...„დინამო“! ათასობით ქართველი ქომაგის სიხარული და საფიქრალი. ქართულ ფეხბურთში დამკვიდრებული ყველა სიახლე (ავიც და კარგიც), ყველანაირი შელავათი მხოლოდ მის სახელს უკავშირდებოდა. ყველა სიკეთე (ქვეყნის უპირველესი ბაზა და სტადიონი, ფულით სავსე სალარო და ასე შემდეგ...) მხოლოდ „დინამოსთვის“ არსებობდა.

ეროვნულ პირველობაზე „დინამომ“ მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა. თავიდან ეს ბევრს უხაროდა, მერე ყველა მიეჩვია, ბოლოს კი უმრავლესობას ნერვებსაც უშლიდა.

აქამდე კონკურენტიც ერთხელ ჰყავდა. 1995-96 წლებში „სამტრედიამ“ მანამდე მყარად მდგარი „დინამოს“ საჩემპიონო ტახტი ძალიან მაგრად შეარყია. არა, იმას წყლის შეყენება არ ერქვა, უფრო ჭაობი შეუდგა. „სამტრედიამ“ სამჯერ (ორჯერ ჩემპიონატში, ერთხელ თასზე) მოუგო „დინამოს“, მაგრამ მაინც ვერ გაჩემპიონდა.

ჰოდა, იდგა იმ ჭაობში „დინამოს“ მორყეული ტახტი. გაძლო აქამდე ძირგამომპალმა და ერთ მშვენიერ დღესაც (23 მაისს) ერთიანად დაიშალა.

ქართულ ფეხბურთში ახალი მეფე გამოჩნდა. ქუთაისის „ტორპედომ“ „დინამოს“ ათწლიანი ჰეგემონია დაამხო. ერთი იმერული კლუბის დაწყებული და ბოლომდე ვერმიყვანილი საქმე მეორემ დააგვირგვინა.

რა დაგვირჩა „დინამოს“ ათწლიანი ბატონობიდან? თითქმის არაფერი მოგონებების გარდა. ჩემპიონობა, თასი, სუპერთასი, მხოლოდ შინაურ სარბიელზე მიღწეული წარმატებები. გულსაკლავი და გულსახეთქი „ტიროლი“, „ბოავიშტა“, „ბრაგა“, „ბაიერი“...

ფუჭად ჩაიარა თითქმის ყველა „ვითომ პროექტმა“. ოცნების გუნდი, სუპერკლუბი... რა ოცნება, სადაა „სუპერი“? ისე, რატომაც არა, მსოფლიოში, ალბათ, ძნელია ანალოგის გამონახვა, ამდენ პრობლემასთან და ვალთან მებრძოლი გუნდი ქვეყანაში მაინც მესამე გახდა.

...და ახლა გვყავს ბრინჯაოს მედალოსანი „დინამო“, რომელიც, ფართო გაგებით თუ მივუდგებით, არც არის და არცა ჰგავს „დინამოს“.

ვინ რა დააშავა...

კლუბის ფინანსურ კრიზისზე ჩემპიონატის დაწყებამდეც ლაპარაკობდნენ, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელები და გუნდის თავკაცები ამ თემაზე საუბარს თავს არიდებდნენ. გარკვეულ დრომდე შეგნებულად იჩქმალებოდა ეს ამბავი. სადმე ფეხბურთელები თუ დაიჩივლებდნენ მიუღებელ ხელფასებზე, ისიც კერძო საუბრებში. ფინანსურმა გასაჭირმა, რა თქმა უნდა, დიდი როლი ითამაშა „დინამოს“ „დაღუპვაში“, მაგრამ არა გადამწყვეტი. ჩემი აზრით, არც ოთარ კორღალიძეს დაუკლია საქმისთვის თავისი ცოდნა და თავდადება, მაგრამ „დინამოს“ ისეთი სენი აღმოაჩნდა, რომ კორღალიძე კი არა, მწვრთნელობაში ჭიპმოჭრილი კაციც ვერაფერს უშველიდა.

იქნებ ხელმძღვანელებმა ვერ გაართვეს თავი ვალდებულებებს? რა თქმა უნდა, გარკვეული არეულობა მათ რიგებშიც შეინიშნებოდა. ერთი ხანობა ვერავინ გაარკვია, ვინ უთავკაცებდა კლუბს.

ამ გაურკვევლობაში „დინამომ“ ფეხბურთელთა მორიგი ნაკადი გაუშვა საზღვარგარეთ. შევსება კი ადრინდელივით სოლიდური ვერ მიიღო. ადრე პირველი დაძახებისთანავე ფეხბურთელები სხვა კლუბებიდან სულ ცეკვაცეკვით, სიმღერა-სიმღერით მოდიოდნენ „დინამოში“, ახლა კი მსურველიც ძალიან ცოტა იყო.

„დინამო“ იძულებული შეიქნა, ისევ ძველ გვარდიას, უცხოეთიდან დროებით მობრუნებულ ლეგიონერებს, ანაც ჯერჯერობით უკლუბო და დღე-დღეზე მიწვევის მომლოდინე მოთამაშეებს დაყრდნობოდა. ამიტომაც იყო, შემატებული ფეხბურთელების გარჯა დიდად რომ ვერ შეეწია „დინამოს“.

მთავარი პრობლემა ეს გახლდათ: გუნდის ძირითადი ბირთვი „ეროვნული ჩემპიონატისთვის გადაბერდა“. იქნებ ასაკით არა, მაგრამ მათთვის აქამდე უნახავიც არაფერი დარჩენილიყო. კლუბის ხელმძღვანელებმა და მწვრთნელებმაც მოთამაშეებისთვის ახალი, დამატებითი სტიმული ვერ გამონახეს.

დასკვნითი ეტაპის თითქმის ყველა თამაშში იქნებოდა შთაბეჭდილება, რომ ფეხბურთელები სათამაშოდ მოვალეობის მოხდის მიზნით გამოდიოდნენ. მათ თითქმის ყველა გუნდი ეომებოდა, ისინი კი...

მიუხედავად ამისა, „დინამოს“ დაჩოქება ვერავინ შეძლო — თოთხმეტი მატჩი წაუგებლად. თბილისელებს დაუმარცხებელი მატჩების უფრო ხანგრძლივი სერიებიც ჰქონიათ, მაგრამ ადრე ეს არავის უკვირდა, ეს ახლა გვეჩვენება უცნაურობად და ამაშიცაა „დინამოს“ მთელი უბედურება.

ყოფილ ჩემპიონებს არც ერთი მატჩი არ წაუგიათ მომავალ ჩემპიონებთან. ხუთ თამაშში ერთი მოგება და ოთხი ფრე „დინამოს“ უპირატესობაზე მეტყველებდა, მაგრამ საბოლოო ჯამში „ტორპედოსთან“ მაინც წაგებული დარჩა. „ტორპედომ“ „დინამო“ მოიტოვა.

„დინამო“ არც ევროკლუბთა ფინალისან „ვიტ ჯორჯიას“ დაეჩაგვრინა. ოთხ მატჩში ორჯერ მოუგო ვეტერინარებს, ორჯერაც ფრე იყო. საბოლოოდ „ვიტ ჯორჯიამაც“ გაუსწრო „დინამოს“.

უარყოფითი ბალანსი არც უკანმოტოვებულ „ბათუმთან“ ჰქონიათ. ერთი წაგება, ერთი მოგება და ორი ფრე.

ფოთის „კოლხეთთან“ დასკვნითი ეტაპის ორივე თამაში ფოთშიც და თბილისშიც ფრედ დასრულდა.

...და ყოველივე ამის მერე „დინამო“ ბრინჯაოსღა დასჯერდა. ვინ არის დამნაშავე? არავინ „დინამოს“ გარდა. ხელმძღვანელიც, მწვრთნელიც და ფეხბურთელიც, ყველა ხედავდა, როგორ ინირებოდა გუნდი და გადამჭრელი ზომების მისაღებად, კლუბის კრიზისიდან გამოსაყვანად მზად არავინ აღმოჩნდა.

კლუბის თავკაცებს დაგროვილი ვალები აფიქრებდა, მწვრთნელებს ინერტულად, დუნედ მოთამაშე გუნდი ვერ გაეცოცხლებინათ, ფეხბურთელებს კი სხვა არაფერი აინტერესებდათ საზღვარგარეთ „გადახვეწის“ გარდა.

ჰორიზონტზე კი ინტერტოტოს გათამაშება ილანდებოდა. შეუფერებელი და შეუჩვეველი ევროსარბიელი „დინამოსთვის“.

ვალი იქით, ვალი აქეთ, ანუ 18-ში 18 წლის მერე

ვალი, ვალი და ყოველ ნაბიჯზე ვალი. გადასახდელია, „მრეტებისთვის“ კუთვნილი თანხა. დასაბრუნებელია TBC ბანკიდან გამოტანილი ფული. კიდევ არაერთი წვრილ-წვრილი დავალიანებაა გასასტუმრებელი.

„დინამო“ ინტერტოტოზე თამაშს არ აპირებდა. ეს არაერთხელ აღნიშნა კიდეც კლუბის გენერალურმა მდივანმა ვაჟა ჟვანიამ, მაგრამ ბოლო დროს ხელმძღვანელობაში მიღწეული ჰარმონია ისევ დაირღვა და უეფასაც ასე ეცნობა — ინტერტოტოზე „დინამო“ ითამაშებს.

18 ივნისამდე დიდი დრო აღარ დარჩა. მეტოქე ბელგიური „სტანდარდია“, რომელიც, მართალია, თითქმის სათადარიგო გუნდით გვეწვევა, მაგრამ მაინც სრულ წესრიგსა და დისციპლინას დაქვემდებარებული.

რა დახვდებათ ბელგიელებს 18 წლის შემდეგ? დაქსაქსული და გაუბედურებული „დინამო“, რომლის ნახევარი სხვადასხვა ნაკრებშია გაბნეული, ზოგი უცხოეთშია წასული და ზოგიც წასასვლელად ემზადება.

ასეთ დროს უფრო უპრიანი ხომ არ იქნებოდა, ინტერტოტოზე სხვა გასულიყო? ძნელი სათქმელია, ყოველ შემთხვევაში, „დინამომ“ თავად აირჩია თავისი მომავალი და პასუხიც არავის მოეთხოვება „დინამოს“ გარდა.

დროებით აქ შეჩერდეთ, რადგან ჯერაც არავინ იცის, რა მოელის „დინამოს“. 1999-2000 წლების ისტორია კი გავიმეორეთ, მაგრამ მომავალი დღეს ძნელად განსაჭვრეტია. ან კი აქვს „დინამოს“ მომავალი? ვერ გეტყვით, წინ მხოლოდ ახალი საუკუნეა.

მამუკა კვანტალიანი

ბადრი კბილაძის ფოტოები

„დინამო“ — „ტორპედო“ გივი დიდავა და ირაკლი ვაშაკიძე (№3) ტორპედოელი მალხაზ ასათიანის დარტყმულს შესცქერიან

დინამოელი გიორგი ნემსაძე ვიტესთა ლიბერო გიორგი ჭანკოტაძის (№21) პირისპირ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი — II ეტაპი — სტატისტიკა

«ა» ზონა

ერთი კვირაა, საქართველოს მეთერთმეტე ჩემპიონატი ქართული ფეხბურთის ისტორიამ ჩაიბარა. დღეს მეორე ეტაპის „ა“ ზონის სრული სტატისტიკას გთავაზობთ. თითქმის ყველაფერი რისი დათვლაც და ციფრებით გადმოცემა შეიძლება, აქაა. პირველ ეტაპთან საერთო კი საგაზაფხულო მონაცემებს მხოლოდ გუნდების ბომბარდირები (ორი ეტაპის ჯამში) აქვს.

ზონის სტატისტიკა

ტური	14
მატჩი	56
გოლი	140
გოლი საშუალოდ მატჩში	2,50
გოლი საშუალოდ ერთ ტურში	10,0
მასპინძელთა მოგება	29 (52%)
ფრეები	13 (23%)
სტუმართა მოგება	14 (25%)
საერთო დასწრება	156 100
საშუალო დასწრება მატჩზე	2 787
საუკეთესო დასწრება ტურზე	IV: 21 800
მწირი დასწრება ტურზე	VII: 5 300
უხვგოლიანი ტური	I: 15
გოლმწირი ტური	II: 7

გუნდების ბომბარდირები

№	გუნდი	ბომბარდირი	გოლი	გუნდის %
1	ტორპედო	იონანიძე	25	35
2	ვიტ ჯორჯია	გიორგი ქორიძე	13	37
3	დინამო	ალექსიძე	12	21
	დინამო	აშვეთია	12	21
5	დილა	ხორგუაშვილი	9	31
6	ბათუმი	ა. მუჯირი	8	21
	ბათუმი	ხომერიკი	8	21
	კოლხეთი	ღაღანიძე	8	22
9	სიონი	ისიანი	5	20
10	იბერია	ივეჩიანი	4	27

უხვმაყურებლიანი მატჩები

№	მატჩი	დასწრება	ტურის №
1	ტორპედო — დინამო 0-0	15 000	4
	ბათუმი — ტორპედო 2-1	15 000	2
3	ტორპედო — ბათუმი 4-0	10 000	9
4	ბათუმი — დინამო 0-0	8 000	10
5	ტორპედო — სიონი 6-1	8 000	12

უხვგოლიანი მეოთხედი

№			დროის მონაკვეთი	გოლი	%
1	VI	მეოთხედი	75-90 წუთი	33	23
2	V	მეოთხედი	61-75 წუთი	31	22
3	II	მეოთხედი	16-30 წუთი	21	15
4	III	მეოთხედი	31-45 წუთი	20	14
	IV	მეოთხედი	46-60 წუთი	20	14
6	I	მეოთხედი	01-15 წუთი	16	12

ყველა ანგარიში

	დილ	ბათ	დინ	იბე	კოლ	სიო	ტორ	ვიტ	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	№
დილა		0:1	0:3	3:0	0:2	1:0	0:4	0:2	14	2	0	12	10:37	16	8
ბათუმი	4:0		0:0	6:0	2:0	3:0	2:1	0:1	14	8	2	4	22:10	39	4
დინამო	6:1	0:0		2:0	1:1	3:0	1:1	0:0	14	5	9	0	19:4	41	3
იბერია	2:1	0:2	0:0		1:0	0:1	0:3	0:1	14	2	2	10	6:29	17	7
კოლხეთი	3:1	1:0	0:0	1:0		5:0	2:1	2:0	14	7	3	4	18:10	37	5
სიონი	4:1	1:2	0:2	2:2	1:0		2:4	1:2	14	3	1	10	13:32	21	6
ტორპედო	4:1	4:0	0:0	5:0	3:1	6:1		0:0	14	8	4	2	37:11	46	1
ვიტ ჯორჯია	2:1	2:0	1:1	2:1	0:0	1:0	1:1		14	8	5	1	15:7	41	2

მოგებათა სერია

№	გუნდი	მოგება	სტატუსი	ტურიდან	ტურამდე
1	კოლხეთი	4	გ	10	13
2	დინამო	3	გ	5	7
	ვიტ ჯორჯია	3	გ	9	11
4	დილა	2	გ	8	9
	ბათუმი	2	გ	11	12
	ტორპედო	2	გ	12	13
7	იბერია	1	გ	6	6
	სიონი	1	მ	14	14

უფრეო სერია

№	გუნდი	უფრეოდ	სტატუსი	ტურიდან	ტურამდე
1	დილა	14	მ	1	14
2	სიონი	7	მ	8	14
3	ბათუმი	6	გ	4	9
4	იბერია	6	გ	1	6
5	კოლხეთი	5	მ	10	14
6	ვიტ ჯორჯია	5	გ	9	13
7	დინამო	3	გ	5	7
8	ტორპედო	3	გ	8	10

ფრეთა სერია

№	გუნდი	ფრე	სტატუსი	ტურიდან	ტურამდე
1	დინამო	5	გ	8	12
2	ვიტ ჯორჯია	2	გ	7	8
3	ბათუმი	1	გ	10	10
4	იბერია	1	გ	12	12
5	კოლხეთი	1	გ	9	9
6	სიონი	1	გ	7	7
7	ტორპედო	1	მ	14	14
8	დილა	0	გ	0	0

წაუგებელი სერია

№	გუნდი	არაგება	სტატუსი	ტურიდან	ტურამდე
1	დინამო	14	მ	1	14
2	ვიტ ჯორჯია	11	გ	1	11
3	კოლხეთი	7	გ	7	13
4	ტორპედო	6	მ	9	14
5	ბათუმი	5	გ	1	5
6	დილა	2	გ	8	9
7	იბერია	2	გ	6	7
8	სიონი	1	მ	14	14

წაგებათა სერია

№	გუნდი	წაგება	სტატუსი	ტურიდან	ტურამდე
1	დილა	7	გ	1	7
2	სიონი	6	გ	8	13
3	იბერია	4	გ	8	11
4	ბათუმი	2	გ	6	7
5	კოლხეთი	1	მ	14	14
6	ტორპედო	1	გ	8	8
7	ვიტ ჯორჯია	1	გ	12	12
8	დინამო	0	გ	0	0

უგოლო სერია

№	გუნდი	უგოლოდ	სტატუსი	ტურიდან	ტურამდე
1	დილა	4	გ	10	13
2	დინამო	4	გ	1	4
3	იბერია	3	მ	12	14
4	ბათუმი	2	გ	9	10
5	კოლხეთი	2	გ	5	6
6	სიონი	1	გ	13	13
7	ტორპედო	1	მ	14	14
8	ვიტ ჯორჯია	1	მ	14	14

მოუგებელი სერია

№	გუნდი	ჯერადობა	სტატუსი	ტურიდან	ტურამდე
1	სიონი	10	გ	4	13
2	იბერია	8	მ	7	14
3	დილა	7	გ	1	7
4	დინამო	5	გ	8	12
5	კოლხეთი	3	გ	1	3
6	ბათუმი	2	გ	9	10
7	ტორპედო	2	გ	7	8
8	ვიტ ჯორჯია	2	მ	7	8

მშრალი სერია

№	გუნდი	მშრალად	სტატუსი	ტურიდან	ტურამდე
1	დინამო	7	გ	1	7
2	კოლხეთი	4	გ	10	13
3	ბათუმი	3	გ	3	5
4	ვიტ ჯორჯია	3	გ	4	6
5	დილა	2	გ	8	9
6	ტორპედო	2	მ	13	14
7	იბერია	1	გ	12	12
8	სიონი	1	მ	14	14

ამპლუათა შედეგიანობა და მეოთხედებში ბურთების შეფარდება

	დაცვა		შუახაზი		თავდასხმა		01-15			16-30			31-45			46-60			61-75			76-90		
გუნდი	გოლი	%	გოლი	%	გოლი	%	გატ	გაშ	სხვ	გატ	გაშ	სხვ	გატ	გაშ	სხვ	გატ	გაშ	სხვ	გატ	გაშ	სხვ	გატ	გაშ	სხვ
ბათუმი	0	0	10	45	12	55	3	2	1	4	2	2	3	2	1	6	1	5	3	1	2	3	2	1
დილა	1	10	2	20	7	70	1	2	1	0	8	-8	2	6	-4	1	7	-6	3	8	-5	3	6	-3
დინამო	1	5	12	63	6	32	2	1	1	3	1	2	1	0	1	4	1	3	1	0	1	8	1	7
ვიტ ჯორჯია	1	6	3	20	11	74	1	0	1	2	1	1	0	1	-1	4	0	4	3	2	1	5	3	2
იბერია	1	17	1	17	4	66	0	3	-3	2	3	-1	3	6	-3	1	7	-6	0	5	-5	0	5	-5
კოლხეთი	4	24	9	52	4	24	3	2	1	3	2	1	4	1	3	1	2	-1	4	2	2	3	1	2
სიონი	1	8	5	42	6	50	1	6	-5	1	2	-1	2	4	-2	4	8	-4	3	5	-2	2	7	-5
ტორპედო	2	6	14	38	21	56	5	0	5	6	2	4	5	0	5	6	1	5	7	1	6	8	7	1

შენიშვნა სერიათა ცხრილებში დ: დასრულებული, მ: მიმდინარე; ამპლუთა შედეგიანობის და მეოთხედებში ბურთების შეფარდების ცხრილში გატ: გატანილი, გაშ: გაშვებული და სხვ: სხვაობა

ცხელი ზაფხული ბარსელონაში

ფიგუ ძვირია, ლუქსემბურგოს ფული არ აინტერესებს

ბანა საჭიროა იმის კიდევ ერთხელ გამეორება, თუ რა ხდება „ბარსელონაში"? მართლაც ცხელი ზაფხული ელით კატალონიელებს. პრეზიდენტის არჩევნები, ახალი მწვრთნელის მოძებნა, წამსვლელი ფეხბურთელების გასტუმრება, ახლების მოყვანა — ყველა პრობლემამ ერთად მოიყარა თავი, აგვისტოს ბოლოს კი ახალი სეზონი იწყება.

ამ რამდენიმე დღის წინ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ვანდერლეი ლუქსემბურგო ბარსელონას ესტუმრა. ბრაზილიელსა და კატალონიელებს რივალდოს ნაკრებში გამოძახების შეუფერხებლობაზე უსაუბრიათ. მოგეხსენებათ, კლუბები თავიანთ მოთამაშეებს ნაკრებში დიდი ხალისით არ უშვებენ, მით უმეტეს, რივალდოსნაირებს. ჰოდა, აღნიშნულ თემაზე მსჯელობის შემდეგ „ბარსელონას" ხელმძღვანელობამ ლუქსემბურგოს მოულოდნელი წინადადებით მიმართა — მას „ბარსას" მწვრთნელობა შესთავაზეს. კატალონიელები ამ გარიგებით დიდად დაინტერესებულები რომ იყვნენ, კონტრაქტის პირობებიდანაც ჩანს. რა ანაზღაურება შესთავაზეს სამხრეთამერიკელს, არ თქმულა, მაგრამ თავად ლუქსემბურგოს განცხადებით, ის დიდად აღემატებოდა მის ახლანდელ ხელფასს — 450 ათას გირვანქას წელიწადში. და რა პასუხი გასცა ბრაზილიელმა კატალონიელებს? „ამჟამად ფული ნაკლებად მაინტერესებს. ჩემი მიზანი ბრაზილიის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე გაყვანაა. სანამ ჩემს თანამემამულეებს დაპირებულს არ შევუსრულებ, არანაირ წინადადებას არ განვიხილავ, თუგინდ ოქროს მთები დამიდგან" — თქვა ლუქსემბურგომ და „ბარსელონას" იმედი გაუცრუა.

„ბარსელონა", „მანჩესტერი", „მილანი", „ლაციო": ფიგუა თუ ფიგარო?

ვანდერლეი ლუქსემბურგოსგან განსხვავებით, სერ ალექს ფერგიუსონი თავისი სურვილის ასრულების ხელისშემშლელ ფაქტორად სწორედ ფინანსურ საკითხს თვლის.

როგორღაც ლუიშ ფიგუს უთქვამს, „მანჩესტერში". სიამოვნებით ვითამაშებდიო. როგორ იქნებოდა, ამ სიტყვების კომენტირება ფერგიუსონისთვის არ ეთხოვათ. კი, ფიგუს თამაში ძალიან მომწონს და ჩემს გუნდში უეჭველად გადმოვიყვანდი, ბრძანა სერ ალექსმა და დაუმატა, მოლაპარაკებების დაწყებას უარზობად ვთვლიო. მანჩესტერელი ამ თითქოსდა გაუგებარ განცხადებას ასე განმარტავს: „ფიგუს რეალური ფასი კარგად ვიცი. ის „ბარსელონასთან" კონტრაქტით არის დაკავშირებული და დიდ ფეხბურთსაც თამაშობს. მისი გადმოყვანისთვის დახლოებით 40 მილიონ გირვანქას მოგვთხოვენ. ჩვენ ამ თანხის გადამხდელები არა ვართ. გამოსავალი? თუ ფიგუს მართლაც გულით სურს „მანჩესტერში" გადმოსვლა, თავის ახლანდელ კლუბს უნდა მოელაპარაკოს. უთხრას, რომ იქ გამჩერებელი ალარაა, იქნებ როგორმე ფასი დაუგდონ".

ალექს ფერგიუსონს თავისი გეგმები აქვს. თუმცა ადვილად შესაძლებელია, სანამ ის ფიგუს მოთაფლვას ცდილობს, პორტუგალიელმა „მილანში" ან „ლაციოში" ამოყოს თავი.

„ბარსელონა"? ფიგუს გაყიდის თუ არა, მას პრობლემები ისედაც აქვს, ზაფხული კი იქ ძალიან ცხელი იცის.

გიორგი დარჯანია

პინტუს მოულოდნელი წასვლა

ბენფიკელი ჟოაო პინტუ სამშობლოში მოთამაშე საუკეთესო პორტუგალიელი ფეხბურთელი გახლდათ. ლისაბონური კლუბის წარმომადგენლის განცხადებით, ის „ბენფიკას" ტოვებს.

28 წლის ფეხბურთელი კლუბში 2004 წლამდე უნდა დარჩენილიყო, ამას კონტრაქტი ითვალისწინებდა. მისი დარღვევა კი თავად პინტუს სურვილით მოხდა, რაც „ბენფიკასთვის" სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. როგორც ამბობენ, პინტუს ამგვარი გადაწყვეტილება კლუბში განსახორციელებელი ცვლილებებით არის განპირობებული. საქმე ის გახლავთ, რომ „ბენფიკაში" სტრუქტურული რეორგანიზაციის განხორციელებას აპირებენ და ის სპორტულ კომპანიად უნდა გადაკეთდეს. თუმცა პინტუს გუნდიდან წასვლა მაინც ბევრ კითხვას ბადებს, ცვლილებები ხომ ორგანიზაციული ხასიათისაა და ამით ფეხბურთელთა შრომის პირობები არ იცვლება. ყოველ შემთხვევაში, პინტუს გადაწყვეტილების ოფიციალური მოტივი ეს არის. ისე, ფეხბურთელი, შესაძლოა, მწვრთნელითაც იყოს უკმაყოფილო. ახლახან დასრულებულ ჩემპიონატში იუპ ჰაინკესმა პინტუ რამდენჯერმე სათადარიგოთა სკამზე დასვა.

რაც შეეხება ჟოაო პინტუს სამმავლო გეგმებს, აქაც ყველაფერი ბურუსით არის მოცული. მისი თქმით, წინადადება არავისგან მიუღია და სხვა კლუბში გადასვლაზე ჯერ არ ფიქრობს. პინტუმ ისიც დაამატა, რომ „ბენფიკას" გულისტკივილით ემშვიდობება, სადაც რვა წელი ითამაშა.

ამ გაურკვეველ სიტუაციაში ინფორმაციამ გაუონა — კლუბი და ფეხბურთელი ხელფასის გამო ვერ მორიგდნენო.

რაც ზემოთ ითქვა, ყველაფერი ვარაუდია. ზუსტი მხოლოდ პინტუს „ბენფიკადან" წასვლაა, რომელთან ერთადაც მან ერთხელ ქვეყნის ჩემპიონობა და სამჯერ თასი მოიპოვა. პინტუს ეროვნული ნაკრების ღირსება 58-ჯერ დაუცავს და ერთადერთი პორტუგალიელი ფეხბურთელია, ვინც ორჯერ — 1989 და 91 წლებში — მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის.

საუკეთესო პრემიერლიგელი

კევინ ფილიპსი „ქარლინგის" რჩეულია

ჩინებული სეზონი ჩაატარა წლეულს „სანდერლენდის" ფორვარდმა კევინ ფილიპსმა. პრემიერლიგაში ახალაღზევებული გუნდის ლიდერი ჩემპიონატის დაწყებიდან გამოირჩა და თავისი საუკეთესო თვისებები გამოავლინა. ბომბარდირთა დავას თითქმის მთელი სეზონი ერთპიროვნულად ლიდერობდა და ბოლოს საუკეთესო მეგოლეც გახდა — 30 გაიტანა.

ფილიპსს შრომა დაუფასდა. პრემიერლიგის გენერალურმა სპონსორმა „ქარლინგმა" 26 წლის ფეხბურთელი წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა. მან თავად „მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტან როი კინს აჯობა, რომელმაც წლეულს აგრეთვე ძლიერად იასპარეზა და ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

პერსპექტიული ფეხბურთელისადმი არც ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელობა დარჩენილა გულგრილი, კევინ კიგანმა თავისი სეხნია უპირველეს გუნდში საასპარეზოდ მიიწვია, უფრო მეტიც, ევროპის მომავალ ჩემპიონატზე კევინ ფილიპი ინგლისის ნაკრების ღირსებას დაიცავს.

ფილიპსმა ნაკრებში წინა შაბათს მალტის წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშა. ბრიტანელებმა ის მატჩი 2:1 მოიგეს და ბელგია-ჰოლანდიას კარგი ფსიქოლოგიური განწყობით ეწვევიან.

ევრო 2000-ზე ინგლისელები პირველ შეხვედრას პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარებენ. პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირმა და ფეხბურთელმა, შესაძლოა მატჩი სასტარტოში ვერ დაიწყოს. პირველი წუთებიდან ალბათ შირერი-ოუენის დუეტი გამოჩნდება მინდორზე, მაგრამ როგორც კი გუნდს მძლავრი და რეაქტივიანი სწრაფი ფორვარდი დასჭირდება, თამაშში ჩაებმება და მეტოქე მცველებს დიდ თავსატეხს გაუჩენს.

„როცა ფეხბურთელი სეზონში 30 გოლს გაიტანს, ის მართლაც ჩინებული ფორვარდია. თუ ფილიპსმა ევრო 2000-ზეც ასე გააგრძელა, ნაკრებს ფასდაუდებელ სარგებლობას მოუტანს" — ამბობს პრემიერლიგის ერთ-ერთი ოფიციალური წარმომადგენელი.

საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი სათადარიგო მეკარე ლიონელ ლეტიზი „მეციდან" პსჟ-ში გადავიდა. პარიზულმა კლუბმა 27 წლის გოლკიპერში 6,5 მილიონი დოლარი გადაიხადა და მასთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ლეტიზიმ ორი შეხვედრა ჩაატარა საფრანგეთის ნაკრებში. იგი პსჟ-ში ვეტერან ბერნარ ლამას შეცვლის, რომელსაც პარიზულ კლუბთან კონტრაქტი ახლახან დაუსრულდა.

იტალიის ჩემპიონი „ლაციო" ჰოლანდიელი მარკ ოვერმარსის შეძენას ცდილობს. აპენინური საადგენტოების ცნობით, რომაელებმა ლონდონის „არსენალს" ფორვარდის სანაცვლოდ 12 მილიონი გირვანქა შესთავაზეს. ოვერმარსის გადაბირება ცოტა ხნის წინ „ბარსელონასაც" სურდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც კატალონიური გრანდი ლუის ვან გაალმა დატოვა, ვითარება გაურკვეველია. ჰოლანდიელი თავდამსხმელი „არსენალში" სამი წლის წინ „აიაქსიდან" გადავიდა. მაშინ ლონდონელებმა მის სანაცვლოდ 7 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

გერმანელმა ფორვარდმა ოლივერ ბირჰოფმა, შესაძლოა კარიერა ესპანეთში გააგრძელოს. „მილანის" ფეხბურთელს ჩემპიონთა თასის წლევანდელმა ფინალისტმა „ვალენსიამ" დააადგა თვალი. სატრანსფერო თანხა არ გაცხადებულა. „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ამას წინათ განაცხადა, ბირჰოფი სულ მცირე, ერთი სეზონი ჩვენთან დარჩებაო. 32 წლის ფორვარდმა სერია A-ს გასულ სეზონში 12 გოლი გაიტანა. ადრე მას რამდენიმე ინგლისური კლუბიც იწვევდა, მათ შორის ყველაზე უფრო „ლიდსი" აქტიურობდა.

რუსეთის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა პაველ სადირინმა უზბეკეთის ნაკრების თავკაცის პოსტი დატოვა და კრიზისში მყოფ მოსკოვის ცსკა-ს ჩაუდგა სათავეში. 57 წლის სადირინი რუსეთის ნაკრებს 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე წვრთნიდა, შემდეგ თანამდებობა მიატოვა, ბოლო ექვს თვეს უზბეკეთში მოღვაწეობდა. სადირინი ცსკა-ს მწვრთნელად მესამედ დაინიშნა. ამჟამად მან ოლეგ დოლმატოვი შეცვალა, რომელიც სეზონის წარუმატებელი სტარტის გამო გაათავისუფლეს.

ესპანური „სოსიედადის" ხელმძღვანელობის ცნობით, ისინი „გალათასარაის" თავდამსხმელ არიფ ერდემს უკვე შეუთანხმდნენ და მალე ალბათ, თავისთან გადაიბირებენ. „ჯერჯერობით კონკრეტული ნაბიჯები არ გადაგვიდგამს, თუმც ვიმედოვნებთ, რომ სულ მალე ფეხბურთელთან სამწლიან კონტრაქტს გავაფორმებთ" — განაცხადა ბასკური კლუბის პრესატაშემ. თურქული მასმედია იუწყება, რომ სატრანსფერო თანხა დაახლოებით 3,7 მილიონი დოლარია. 26 წლის არიფს თურქეთის ეროვნულ ნაკრებში 34-ჯერ უთამაშია, უეფას თასის მფლობელი ევრო 2000-ზე სათამაშოდაც მიიწვიეს.

იტალიური „ინტერი" ბრაზილიელი თავდამსხმელის მარიო ჟარდელის შეძენას ცდილობს და „პორტუს" მის სანაცვლოდ 12 მილიონ გირვანქას უხდის. 27 წლის ჟარდელი პორტუგალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია. მან წლეულს ჩემპიონთა ლიგაშიც გამოიჩინა თავი და რაულთან და რივალდოსთან ერთად 10 გოლით ტურნირის საუკეთესო მეგოლე გახდა. მილანელები ჟარდელის გარდა საფრანგეთის ჩემპიონ „მონაკოს" საუკეთესო ბომბარდირი დავიდ ტრეზეგესაც იწვევენ, თუმც მონაკოელებს რამდენს სთავაზობენ, ჯერჯერობით უცნობია.

ფრანგი ნახევარმცველი იბრაჰიმ ბა პარიზში პოლიციამ დაიკავა. სამართალდამცავების ცნობით, ბას ეწყინა, რომ ვერ იცნეს და პოლიციას პირადობის დამადასტურებელი საბუთი არ წარუდგინა. სამართალდამცავმა მოთხოვნა გაუმეორა. ფეხბურთელი კიდევ უფრო განრისხდა და ოფიცერს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა. იგი მაშინვე დაიკავეს და პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს. მას ხულიგნობაში ადანაშაულებენ.

ფრანგული მარსელის „ოლიმპიკი" „ვასკუ და გამას" მწვრთნელ აბელ ბრაგას უკვე შეუთანხმდა და მომავალი სეზონიდან სპეციალისტი მარსელურ კლუბს გაწვრთნის. საფრანგეთში მას ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს. ბრაგა „ოლიმპიკში" 1979-დან 1981 წლამდე თამაშობდა. „ვასკუ" ბრაგას შემცვლელს ეძებს. ყველაზე სავარაუდოა, რომ კლუბში „პალმეირასის" თავკაცი ლუის ფელიპე სკოლარი მივიდეს.

იტალიური „პარმას" „ლაციოს" ორი ნახევარმცველის — მატიას ალმეიდას და სერჟიო კონსეისაოს შეძენა სურს. ალმეიდას ტრანსფერზე პარმელები რომაელებს აღრეც შეეხმიანენ და მის სანაცვლოდ 15 მილიონი გირვანქა შესთავაზეს, მაგრამ „ლაციომ" წინადადება უარყო. იტალიური მასმედია ვარაუდობს, რომ რომაელები პორტუგალიელ კონსეისაოს გაყიდიან და დაახლოებით 9 მილიონ გირვანქას მოთხოვენ.

ფრანგმა მცველმა ფრანკ ლებეფმა განაცხადა, რომ შესაძლოა „ჩელსი" დატოვოს და სერია A-ში ახალგადასულ „ნაპოლიში" ჩაირიცხოს. „ინგლისში დიდი გამოცდილება შევიძინე, ბევრი რამ ვნახე და ვისწავლე. ახლა გარემოს გამოცვლა მსურს, ჯერჯერობით სრული დატვირთვით თამაში შემიძლია. იტალიაში ყოფნა კი ერთობ სასიამოვნოა, ჩემს მეგობარ ჯანფრანკო ძოლას უკვე ვესაუბრე, არ გამოვრიცხავ, მასთან ერთად სათამაშოდ „ნაპოლიში" გადავიდე" — განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონმა, 32 წლის ლებეფმა. შეგახსენებთ, რომ 1987 და 1990 წლების ჩემპიონი „ნაპოლი" 1997 წლიდან სერია B-ში ასპარეზობდა.

ინგლისელი ნახევარმცველი დევიდ ბეტი პრემიერლიგის მომავალ სეზონს „ლიდსთან" ერთად ვერ დაიწყებს. ფეხბურთელმა ერთობ რთული ოპერაცია გაიკეთა და ვარჯიშს, ალბათ, ჯერ ვერ შეუდგება. ჭრილობის მოსაშუშებლად მას მინიმუმ ექვსი კვირა დასჭირდება, რის შემდეგაც სარეაბილიტაციო კურსს გაივლის. „ლიდსის" ექიმები იმედოვნებენ, რომ ბეტი ვარჯიშს აგვისტოს ბოლოსთვის შეძლებს, თუმც დასძენენ, შესაძლოა მან „ლიდსის" შემადგენლობაში დეკემბრამდე ვერ ითამაშოსო. შეგახსენებთ, რომ პრემიერლიგის ახალი სეზონი 5 აგვისტოს განახლდება.

ნიბერიელი ნახევარმცველი სანდი ოლისე ტურინის „იუვენტუსიდან" დორტმუნდის „ბორუსიაში" გადავიდა. სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით უცნობია. ოლისე ტურინული გუნდის შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა. მან 19 შეხვედრა ჩაატარა, ამათგან უმეტესად ინტერტოტოს და იტალიის თასის მატჩებში ისპარეზა და მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა. ოლისე ბუნდესლიგაში ადრეც თამაშობდა, იგი „კიოლნის" ღირსებას იცავდა, „იუვენტუსში" კი შარშან „აიაქსიდან" გადაბარგდა.

ინგლისური „ლესტერი" მთავარმა მწვრთნელმა მარტინ ონილმა დატოვა, იგი „სელტიკში" გადავიდა. ლესტერელები ონილის შემცვლელს ეძებენ და, ალბათ, „ჯილინგემის" თავკაც პიტერ ტეილორს მიიწვევენ. ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილმა დამრიგებელმა „ჯილინგემი" მეორედან პირველ დივიზიონში გადაიყვანა. „პიტერ ტეილორი ყველაზე რეალური კანდიდატია — განაცხადა „ლესტერის" თავმჯდომარე ჯონ ელსონმა — ვიმედოვნებთ, მასთან კვირის ბოლომდე მოვილაპარაკებთ და კონტრაქტს გავაფორმებთ."

ოლივერ ბირჰოფი და ერიხ რიბეკი

მენეჯერი, რომელიც სამარკეტინგო ფირმას დააკლდა

ოლივერ ბირჰოფი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. გერმანიის ნაკრების კაპიტანი ოთხი წლის წინ ეროვნულ გმირად იქცა, ფინალში ორი გოლი გაიტანა და თანამემამულეთ კონტინენტური ტიტული უძღვნა. ახლა, გერმანელთაგან და პირადად ბირჰოფისგან ტრიუმფს თითქოს აღარავინ ელის, მაგრამ...

ქვემოთ, „მილანისა“ და ეროვნული გუნდის ფორვარდი თავის პოზიციას გვიზიარებს და როგორც კლუბზე, ასევე ნაკრებზე გვესაუბრება.

— ოლივერ, გახსოვთ თქვენი პირველი მოედანი, სადაც ბურთი გაგორეთ?

— როგორ არა, ეს ჩემი სკოლის ეზო გახლდათ, სახლთან ძალიან ახლოს.

— ვინ გაგიღვივათ ფეხბურთისადმი ინტერესი?

— არავინ. მართალი გითხრათ, ბევრი არც მიფიქრია, პირდაპირ, ყველაზე პოპულარულ სახეობას მივადექი.

— ალბათ, საწოლ ოთახში კერპების პლაკატები გქონდათ გაკრული.

— ერთი კერპი არ მყოლია. არავინ ამომიჩემებია, სხვადასხვა ფეხბურთელებს ვცემდი პატივს. ფოტოგრაფიებიც რამდენიმე გუნდისა მქონდა, მოთამაშეების პლაკატებს კი არ ვაგროვებდი.

— ვის გულშემატკივრობდით?

— „ჰამბურგს“.

— არსებობს სტადიონი, რომელიც თქვენთვის ყოველთვის განსაკუთრებული იქნება?

— ალბათ „უემბლი“. ამის რამდენიმე მიზეზი მაქვს. ჯერ ერთი, ევროპის გასულ ჩემპიონატზე, ნახევარფინალური შეხვედრის პირველ ნახევარში შექმნილი ატმოსფერო არ ამომდის თავიდან. იმ მატჩში მასპინძლებს, ინგლისელებს შევხვდით და დავამარცხეთ. ფანები მღეროდნენ, მღეროდა მთელი სტადიონი. მახსოვს, ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ამ ჟრუანტელს ყოველთვის სიამოვნებით გავიხსენებ.

— კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩიც გექნებათ ჩატარებული.

— ამავე შეჯიბრების ფინალი. მატჩი ჩეხებთან. მოედანზე 69-ე წუთზე შევედი და ორი გოლი გავიტანე, რომელთა წყალობით მოწინააღმდეგე დავამარცხეთ.

— ოლივერ, თქვენ გერმანიის ნაკრების კაპიტანი ბრძანდებით. თავს ლიდერად გრძნობთ?

— იცით, საქმე ის კი არ არის, თავად ვგრძნობ თუ არა თავს ლიდერად, საქმე ისაა, მანიჭებს თუ არა გუნდი გარკვეულ უფლებასა და პასუხისმგებლობას. მე ლოთარ მათეუსის შემდეგ ყველაზე ასაკოვანი ვარ და ამატომაც შეაჩერეს არჩევანი ჩემზე.

— პრესაში წმირად წაგვიკითხავს, რომ გერმანიის ნაკრები შედარებით დასუსტდა. რა შანსი აქვს გერმანიის ნაკრებს ევრო 2000-ზე?

— ისტორიულად გერმანია ყოველთვის ფავორიტია. ჩვენ სოლიდური გუნდი გვყავს, დიდი ელასტიურობითა და კლასით. ეს ორი თვისება მოკლევადიანი შეჯიბრების დროს ძალიან მნიშვნელოვანია. მგონი, ნახევარფინალისტთა შორის უნდა მოვხვდეთ, იქ გამარჯვება კი იოლი არავისთვის იქნება. თუ იღბალმა ზურგი გაქცია, ვერაფერს გახდები.

— კეთილი, მაშ ახლა თქვენს საკლუბო კარიერაზე გადავიდეთ. „მილანში“ საუკეთესოდ რომელი მატჩი გაგონდებათ?

— იქნებ მას საუკეთესო ვერც ვუწოდო, მაგრამ „სან სიროზე“ წინა სეზონში (1999 წლის 15 მაისი) „ემპოლისთან“ ჩატარებულ შეხვედრას გამოვყოფდი. იმ დღეს სამი გოლი გავიტანე და „ლაციოს“ გადავასწარით. გარდა გუნდურისა, ეს ჩემი პირადი ტრიუმფიც გახლდათ.

— და რომელმა გამარჯვებამ მოგანიჭათ უდიდესი სიამოვნება?

— შემდეგმა. პერუჯაში რომ გავიმარჯვეთ და სკუდეტო მოვიპოვეთ.

— ალბათ, ისეთი თამაშიც გექნებათ, რომელსაც სიამოვნებით დაივიწყებდით.

— ასეთი, ალბათ, გასულ სეზონში „პარმასთან“ ჩატარებული მატჩია. მე პირველი ტაიმის შემდეგ შემცვალეს, ხოლო გულშემატკივრებმა საშინელი რისხვა დამატეხეს თავს. შემდეგ, ჩემთვის მდგომარეობა გაუარესდა, რადგან შეცვლაზე შესულმა მაურიციო განცმა გოლი გაიტანა. ეს სამაგელი დღე იყო.

— რომელი ფეხბურთელის წინააღმდეგ გიჭირთ თამაში?

— ლილიან ტურამის.

— თქვენს პროგრესს ყველაზე მეტად რომელმა მწვრთნელმა შეუწყო ხელი?

— ალბერტო ძაკერონიმ.

— თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, ფეხბურთის წესებში რას შეცვლიდით?

— კარის ხაზის მეთვალყურე მსაჯს დავაყენებდი.

— პროფესიონალი ფეხბურთელი რომ არ გამოსულიყავით, რა გზას დაადგებოდით?

— ალბათ, რომელიმე სამარკეტინგო კომპანიაში სპორტის სექტორის მენეჯერად მოვეწყობოდი.

— თქვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მატჩი გითამაშიათ?

— იმედი მაქვს, რომ ის ჯერ წინაა. ძალიან მინდა, გაისად ჩემპიონთა ლიგის ფინალში მოვხვდე.

— ფეხბურთელებს თავი დავანებოთ. რომელ სპორტსმენს ეთაყვანებით?

— მიხაელ შუმახერს.

— და მსოფლიოს ყველა დროის უდიდეს სპორტსმენად ვინ მიგაჩნიათ?

— მაიკლ ჯორდანი. ფენომენალური კაცი.

— ოდესმე მსოფლიოს მმართველი რომ გახდეთ, უპირველესად რას გააკეთებდით?

— ეჭვი არაა, მშვიდობისთვის ვიბრძოლებდი.

— ბევრს მოგზაურობთ. ყველაზე სასიამოვნოდ რა გაგონდებათ?

— შარშან UNICEF-ის ელჩის სტატუსით ნეპალში გახლდით. ეს იყო ყველაზე სასიამოვნო ტურნე.

— შემდგომ შვებულებას სად გაატარებთ?

— ალბათ, მე და კლარა შეერთებულ შტატებში წავალთ. მიყვარს შორს გამგზავრება და ყოველდღიურობის დავიწყება.

თარგმნა პაპუნა კედიამ

ვარსკვლავები სხვებისთვის დაგვითმია

დადგა ტრანსფერების დროც. დიდი კლუბები ფეხბურთელთა ბაზრობაზე დატრიალდნენ, ჯიბეზე ხელი გაიკრეს. კიდევ უფრო ცხოველი ყიდვა-გაყიდვა, ალბათ, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გაჩაღდება, თუმცა რაც დღეს ხდება უკვე საინტერესოა.

დიდ კლუბთა შორის ერთ-ერთი წარჩინებული, ტურინის „იუვენტუსი“, ერთი შეხედვით სატრანსფერო პოლიტიკას ადგას. როგორც მისი გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოგი აცხადებს, მრავალი ადამიანის მოლოდინის მიუხედავად, „იუვენტუსი“ სახელოვან ვარსკვლავებს არ ყიდულობს. მისი მიზანი სასარგებლო მოთამაშეთა შემოკრებაა. მოგის თქმით, ვარსკლავები მასმედიის ყურადღებას კი მიიპყრობენ, მაგრამ რამდენიმე თვეში, შესაძლოა გუნდში მდგომარეობა არიონ. „ასეთი გზები სახსრების არქონის ან თანხის ეკონომიის გამო არ აგვირჩევია, ჩვენი მიზანი სხვათაგან განსხვავებული გუნდის შექმნაა“ — დასძინა გენერალურმა მენეჯერმა.

და აი, ტურინელთა პირველი სატრანსფერო ნაბიჯიც: მათ „ბოლონიისგან“ 32 წლის მიკელე პარამატი შეიძინეს. თავად პარამატმა პრესკონფერენციაზე განაცხადა:

„32 წლის ვარ, მაგრამ ასაკი პრობლემა არ არის. მოწადინებული კაცი გახლავართ და არა მგონია, წლების გამო საკუთარ თავს რაიმე ლიმიტი დავუწესო.

... „იუვენტუსის“ ძირითადში მოხვედრა ძნელი იქნება, მაგრამ ეს უფრო მაქეზებს და მაინტერესებს. სულ არ მეშინია კონკურენციის და მწვრთნელის ნებისმიერი გადაწყვეტილების შესასრულებლად მზად ვარ.

... ბედნიერი ვარ წლების განმავლობაში ისეთ მწვრთნელთან რომ ვმუშაობდი, როგორიც რენცო ულივიერი გახლავთ.

... „ლაციოც“ მეპატიჟებოდა, მაგრამ „იუვენტუსი“ იმიტომ ვარჩიე, რომ პრესტიჟული კლუბია და ბავშვობიდან მისი ქომაგი გახლავართ. „იუვეს“ გულშემატკივრობა მამაჩემისგან მემკვიდრეობით მერგო.

... შემიძლია დაცვის ცენტრში ვითამაშო, მაგრამ შემიძლია განაპირა მცველიც ვიყო. არც ცენტრალური ნახევარმცველობა გახლავთ ჩემთვის უცხო.

... ბავშვობასა და კარიერის დასაწყისში თავდამსხმელი ვიყავი, ამიტომ გოლების გატანაც მეხერხება. ყველაზე მეტჯერ, ოთხჯერ, „ინტერის“ კარში შემიგდია ბურთი.

... საკუთარ თავს ამბიციურ კაცად მივიჩნევ, თუმცა ამპარტავანი არ გახლავართ. ურთიერთობაში როგორი ვარ? ვერ ვიტყვი, რომ მთავარი ხუმარა ვარ, მაგრამ კარგად ვიცი მხიარულებას როგორ უნდა ავყვე“.

პარამატის თემას იტალიის ნაკრების ბაზიდან ევრო 2000-ისთვის გამოძახებული იუვენტუსელები, ფილიპო ინძაგი და ალესანდრო დელ პიეროც გამოეხმაურნენ.

ინძაგი: „ის მრავალმხრივი მოთამაშეა, თავდადებულია და გოლების გატანაც ეხერხება“.

დელ პიერო: „გამიკვირდა, რადგან მეგონა პარამატი „ლაციოში“ გადავიდოდა. ბედნიერი ვარ არჩევანი ჩვენს სასარგებლოდ რომ გააკეთა. მიკელე დიდი ტემპერამენტის ფეხბურთელია, ტექნიკურია და თავით კარგად თამაშობს. ბოლოს ამას მის ზურგსუკან დარჩენილი ბრწყინვალე კარიერაც დაამატეთ...“

პარამატის გარდა „იუვენტუსმა“ სხვა ფეხბურთელებსაც დაუდო კონტრაქტები. ერთი მათგანია „უდინეზეს“ ახალგაზრდა მცველი მარკო ძანკი, რომლის სანაცვლოდ ტურინელებმა მეკარე მორგან დე სანტისი გასცეს, ხოლო კიდევ ერთს, მარკო ძამბონის სანახევრო მფლობელის სტატუსით დაულოცეს უდინესკენ გზა.

ძანკი მარკო ტარდელის 21 წლამდელთა ნაკრების წევრია და ამ დღეებში ევროპის ჩემპიონი გახდა.

„ასეთ დიდ კლუბში გადასვლა ჯერ კიდევ სიზმარი მგონია. „იუვენტუსის“ პატრონებს ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მოვეწონე“ — განაცხადა ძანკიმ, რომელიც, სხვათა შორის, სწორედ ის ფეხბურთელია 1998 წლის 8 ნოემბერს ალესანდრო დელ პიერო რომ დააშავა — „სამწუხაროდ, დელ პიეროსთან დაკავშირებული იმ უღიმღამო ინციდენტის მონაწილე ვარ. მას მერე ალექსს რამდენჯერმე ვესაუბრე. მიხარია, რომ გამოჯანმრთელდა და ძველებურად ათამაშდა. ამიერიდან მოედანზე მასთან, ზინედინ ზიდანთან და ედგარ დავიდსთან ერთად გავალ. ადრე ამ ვარსკლავებს მხოლოდ ჩემი კოლექციის პროგრამებსა და აფიშებში თუ ვნახავდი“.

და ისევ „ბოლონია“, რომლის კიდევ სამ ფეხბურთელთან გაფორმდა კონტრაქტი. მათგან ორი, ჯაკომო სპრიენი და ალესანდრო გამბერინი (20 და 19 წლისანი) ორი წლით მაინც ბოლონიელებად დარჩებიან, ხოლო 16 წლის ალექს პედერმოლი ამთავითვე „იუვეს“ ყმაწვილთა გუნდს შეუერთდება.

მიხეილ სურგულაძე

მიკელე პარამატი იუვენტუსელია

დიდი ფეხბურთი ავსტრალიაში

ავსტრალიელები გაისად დიდი საერთაშორისო ტურნირის ჩატარებას გეგმავენ და მწვანე კონტინენტზე რამდენიმე ძლიერ ნაკრებს და კლუბს მიიწვევენ. პროექტის საერთო ღირებულება 23 მილიონი დოლარია და მისი ერთ-ერთი ნაწილი სწორედ საფეხბურთო მატჩების ჩატარებას ითვალისწინებს. იდეის თანაავტორმა საინფორმაციო სააგენტოებს გაუმხილა, რომ 2001 წლის ივლისში იტალიისა და ავსტრალიის ნაკრებები საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრაში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

დაგეგმილია აგრეთვე ოთხთა ტურნირის ორგანიზება, სადაც ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და ავსტრალიის ნაკრებები იასპარეზებენ, ერთი თვის შემდეგ კი მწვანე კონტინენტს საკლუბო ფეხბურთის რამდენიმე გრანდი — „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ჩელსი“, „მილანი“ და „ინტერი“ ეწვევა. ავსტრალიის ნაკრები ამხანაგურ ტურნირს მათთანაც ჩაატარებს.

„აი, ყველაფერი, რაც დავგეგმეთ, კონკრეტულად კი ჯერჯერობით არაფერი გადაგვწვეტია — განუცხადა „გართობათა საერთაშორისო კორპორაციის“ კონსულტანტმა რეო კარისმა საინფორმაციო სააგენტოებს და იქვე დასძინა — მოლაპარაკებებს მალე დავიწყებთ და წარმატების დიდი იმედი გვაქვს“.

ავსტრალია მსოფლიოს საფეხბურთო ცხოვრებას ნელნელა ფეხს უწყობს. კონტინენტს უკვე არაერთი ტრადიციული და ტიტულოვანი გუნდი ეწვია. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა, ბრაზილიელებმა შარშან ავსტრალიაში ტურნე ჩაატარეს. იქაურ ფეხბურთის ქომაგებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ მოედანზე რონალდოს იხილავდნენ, მაგრამ მილანის „ინტერის“ ვარსკვლავმა მაშინ არ ითამაშა.

ადრე ავსტრალიაში „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ჩავიდა და იქაურ გუნდებთან რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა, თუმც გუნდის ლიდერებმა — როი კინმა, დევიდ ბექემმა და პოლ სქოულზმა ტურნირი რატომღაც გამოტოვეს.

გაისად ავსტრალიელები საფეხბურთო გრანდებს ელიან. ევროპელი და სამხრეთამერიკელი ვარსკვლავები კი მწვანე კონტინენტის მკვიდრთ ალბათ, ლამაზ სანახაობას არ მოაკლებენ.

ბლატერისეული დიპლომატიის გაკვეთილი

დიპლომატი იოზეფ ბლატერი

ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერის ყოველი საჯარო გამოსვლა შესაშური დიპლომატიურობით გამოირჩევა. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, მას ერთისთვის აშკარად მხარი დაეჭიროს, მეორესთვის იმედი გადაეწუროს. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის საკითხზე მოგახსენებთ, მაგალითებსაც გავეცნოთ.

ამ რამდენიმე თვით წინ ფიფას საინსპექციო კომისია, რომელსაც ალან როზენბერგი ხელმძღვანელობს, ბრაზილიას ესტუმრა და იქაურობა დაათვალიერა. კომისიის დასკვნაში ნათქვამია, რომ ამ ქვეყანაში საფეხბურთო ინფრასტრუქტურა ნაკლებად განვითარებულია და საეჭვოა, მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა ღირსეულად შეძლოს. ალან როზენბერგი ის კაცია, ვისი სიტყვაც დიდად ფასობს და მის მიერ ხელმოწერილი დასკვნა ბრაზილიის კანდიდატურის გამარჯვების შანსს ერთობ ამცირებს. ბრაზილიელებს მხსნელად ისევ ზეპ ბლატერი მოევლინათ. ფიფას პრეზიდენტმა გუშინ განაცხადა, ალმასკომის სხდომაზე (რომელიც 5-6 ივლისს გაიმართება და მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძელს აირჩევენ), აუცილებლად გავითვალისწინებთ ბრაზილიელთა წვლილს ფეხბურთის განვითარების საქმეშიო. ისიც დაუმატა, სხვებს თუ კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა აქვთ საამაყოდ, ბრაზილია მსოფლიოს ვარსკვლავებით ამარაგებს და ჩემპიონიც ოთხჯერ გამხადარაო.

სამხრეთამერიკელები ფიფას პრეზიდენტის ამ სიტყვებით ნასიამოვნები დარჩნენ, მაგრამ არც დანარჩენ პრეტენდენტებს დასწყვეტიათ გული. ბლატერმა აფრიკელთა (მაროკო, სამხრეთ აფრიკა) გასაგონად თქვა, უსამართლობაა, მსოფლიოს პირველობები მუდამ ევროპასა და ამერიკაში იმართებოდეს. აგერ ორი წლის მერე აზიასაც ვესტუმრებით და აფრიკის კონტინენტმა რა დააშავა. ევროპელთათვის დიდი ტურნირების მასპინძლობა ლამის ჩვეულებრივ ამბად ქცეულა და აფრიკისთვის კი უდიდესი მოვლენა იქნებაო.

და როგორ ფიქრობთ, მსოფლიოს ჩემპიონატს აფრიკა უმასპინძლებს? ისევ ზეპ ბლატერი: „ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ამოცანა ჩემპიონატის უმაღლეს დონეზე მოწყობაა. საიდუმლო როდია, რომ სტადიონები, კომუნიკაციები და კიდევ ბევრი რამ, რაც ამისთვის არის საჭირო, ევროპელებს სხვებზე უკეთესი აქვთ. დარწმუნებული ვარ, გერმანიაც და ინგლისიც ჩინებულად უმასპინძლებენ ჩემპიონატს“.

ზეპ ბლატერის გამონათქვამები, რომლებსაც ზემოთ გავეცანით, ერთ დღეს, ერთ პრესკონფერენციაზეა ნათქვამი და საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ილაპარაკო ბევრი და თან ისე, რომ საკუთარი პოზიცია და სიმპათიები კარგად შენიღბო.

ზემოთ ინგლისი და გერმანიაც ვახსენეთ. ეს ქვეყნები, უფრო სწორად კი მათი კანდიდატურები 5-6 ივლისს დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. თუმცა ინგლისის და გერმანიის ნაკრებები მანამდეც, 17 ივნისს ბელგიურ შარლეროაში წარსდგებიან ერთმანეთის პირისპირ.

ხეირიანად ბელგიის პოლიციამაც არ უწყის, ზუსტად რამდენი ქომაგი ჩავა ევროპის ჩემპიონატზე ამ ორი ქვეყნიდან, თუმცა ერთი რამ ცხადია, შარლერუას „სტადე კომუნალე“, რომელიც 1904 წელს აშენდა და მხოლოდ 30 ათას მაყურებელს იტევს, მატჩზე დასწრების ყველა მსურველს ვერ დაკმაყოფილებს. ჰოდა, მოედებიან უბილეთო ინგლისელი და გერმანელი გულშემატკივრები ქალაქს, ფეხბურთის საყურებლად სტადიონის ახლომდებარე ლუდხანებში ტელევიზორებს მიუსხდებიან, თან ლუდს მიირთმევენ და ... იქიდან გამოსულები ქუჩაში ერთმანეთს შეეფეთებიან...

ეს არ მოხდებაო, ამბობს ბლატერი იმაზე, რაც ზემოთ ვივარაუდეთ: „მართალია, ევროპის ჩემპიონატს უეფა აწყობს, მაგრამ უსაფრთხოების საკითხები ჩვენი საერთო პრობლემაა. იყო საუბრები იმაზეც, რომ გერმანია-ინგლისის მატჩი სხვა, უფრო დიდ სტადიონზე ჩაგვეტარებინა, მაგრამ ეს რას მოგვცემს? გაიხსენეთ, რა მოხდა სტამბოლში და კოპენჰაგენში. ქომაგთა ბილეთებით დაკმაყოფილება პრობლემის მოგვარების საშუალებას არ იძლევა. გამოსავალი? ორგანიზატორთა სიფხიზლე და გონივრული გარჯა. დარწმუნებული ვარ, ბელგიის ხელისუფლება ექსცესებს აირიდებს“.

გიორგი დარჯანია

ბეკენბაუერს გუნდესნაკრებისა სჯერა

ლეგენდარულ გერმანელ ფეხბურთელს, არაერთი ტიტულის მფლობელ ფრანც ბეკენბაუერს სწამს, რომ გერმანიის ნაკრები ევროპის მომავალ ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზებს და კონტინენტის საუკეთესო გუნდის წოდებას კიდევ ოთხი წლით შეინარჩუნებს. „ევრო 2000-ზე გამარჯვება ნამდვილად შეგვიძლია — განუცხადა კაიზერ ფრანცმა ყოველკვირეულ ჟურნალ „ფოკუსს“ — იმიტომ კი არა, რომ გერმანიის ნაკრებმა ბოლო ხანს პროგრესი განიცადა და ოთხი წლის წინანდელზე კარგი გუნდია. უბრალოდ, სხვები ჩვენზე უკეთ არ თამაშობენ“.

ბუნდესნაკრებსა და მის თავკაც ერიხ რიბეკს დღეს ბევრი აკრიტიკებს — გუნდი საგრძნობლად დაბერდა. ახალგაზრდა, ძლიერი ფეხბურთელები გერმანიაში იშვიათად თუ გამოჩნდებიან, ეს კი ნაკრების წარმატების შანსს ამცირებსო.

ტიტულის დასაცავად ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე გერმანელებმა ბოლო მოსამზადებელი შეხვედრა ჩაატარეს. ისინი ჩეხებს გაეჯიბრნენ და 3:2 მოუგეს. ევრო 2000-ზე პირველი მატჩი მათ 12 ივნისს, ლიეჟში რუმინელებთან უნდა ითამაშონ.

საფეხბურთო და სამწვრთნელო კარიერაში თითო-თითო მსოფლიოს ჩემპიონატის მომგები ბეკენბაუერი ამბობს, რომ ამგვარ სირთულეებს ამჟამად არა მარტო გერმანიის, არამედ თითქმის ყველა ნაკრები განიცდის: „შესარჩევ ეტაპზე თანამდევი პრობლემები ჰქონდათ ინგლისს, იტალიას და საფრანგეთს. გარდა ამისა, უახლესი ისტორიაც გავიხსენოთ. მსგავსი სიტუაცია იყო 1994 წელს, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს მეოთხედფინალში გამოვეთიშეთ, მაგრამ ორ წელიწადში ფოგთსის თაგკაცობით ევროპის პირველობა მოვიგეთ“.

სიახლე!

პირველად საქართველოში!

RADIO EVRIKA 100.3 FM

ყველაზე პიტბის ცოლა

რადიო „ევრიკა“ გთავაზობთ
პროექტს „ევრო 2000“

გადაცემაში „ევრო 2000“ თქვენ თამაშების წინ მოისმენთ:

- ცოტაოდენი რამ ევროპის ჩემპიონატის ისტორიიდან
- ინფორმაცია ფეხბურთელთა პირადი ცხოვრებიდან
- კურიოზები და ანეკდოტები ფეხბურთზე
- სტატისტიკური ცნობები ევროპის ჩემპიონატის შესახებ
- გასული თამაშის მიმოხილვა
- საუბარი იმ გუნდების შესახებ, რომელთა თამაშიც არის იმ დღეს, ხოლო გადაცემის ბოლოს მიიღებთ მონაწილეობას საინტერესო ვიქტორინაში.

კოსმოპოლიტური მიმოხილვა

ბოლო დროს, საქართველოს პარლამენტში წამოჭრილ მწვავე საკითხთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი პიროვნების დამადასტურებელ საბუთებში გრაფათა რაოდენობა და შიგ ჩასაწერი ინფორმაციის რაობა გახლავთ. ამასთან დაკავშირებით, „სარბიელის“ კოსმოპოლიტური ბიუროს კანცელარიაში შემოვიდა შუს „პატრიოტის“ პრეზიდენტის ბ-ნ ერნესტ ქვემდებაროვის წერილი-პროექტი, რომლის მოკლე შინაარსსაც ქვემოთ გთავაზობთ.

ბ-ნი ქვემდებაროვი ასაბუთებს, რომ საქართველოს მოქალაქის მოწმობაში აუცილებლად შესატანია (უკაცრავად, შეტანილ უნდა იქნას) გრაფა, სადაც ეწერება „ბალეშჩიკობა“ და შემდეგ ორი წერტილი (ერთი ზევით, ერთი ქვევით). მის გასწვრივ თითოეულმა მოქალაქემ უნდა მიუთითოს ქვეყანა და კლუბი, რომელსაც იგი მხარს უჭერს. მაგალითად: არგენტინა, „აიაქსი“ ან იტალია, „ბაიერნი“. კლუბისა და ნაკრების ერთქვეყნიურობა სავალდებულო არ არის.

ბ-ნი ქვემდებაროვის მტკიცებით, ასეთი გრაფა საშუალებას მოგვცემს, უკეთ დავახარისხოთ მოსახლეობა და ვიქონიოთ ზუსტი წარმოდგენა თითოეული მოქალაქის გემოვნებისა და სოციალური წარმოშობის შესახებ. შემდეგ ავტორი განმარტავს, თუ რას გულისხმობს:

ვთქვათ, მავან თბილისელს გრაფაში უწერია ბრაზილია და „ბარსელონა“. ეს იმას ნიშნავს, რომ პიროვნება გახლავთ ახალგაზრდა მამაკაცი, რომლის მამაც 60-იან-70-იან წლებში ბოლთას სცემდა პლეხანოვზე, დღეს კი მალიმალ იმეორებს: „აფსუს, ჩემი დროის თბილისი.“ გარდა ამისა, ამ ახალგაზრდა მამაკაცს, სავარაუდოდ 80-იან წლებში, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი აქვს დამთავრებული (მაქსიმუმ უნივერსიტეტში ეკონომიკური) და „ბარსელონას“ რომარიოსა და რივალდოს ხათრით უჭერს მხარს. ასეთი ადამიანი შეიძლება გამოვიყენოთ მძღოლად, სამხედროდ, პლიციელად, სპორტულ ჟურნალისტად და ა.შ.

ახლა, ვთქვათ შეგვხვდა მოწმობა, რომელშიც წერია: ინგლისი, „მანჩესტერ იუნაიტედი“. რაზე მეტყველებს ეს? ეს იმაზე მეტყველებს, რომ:

ა) მოქალაქე ვაკის რაიონში ცხოვრობს, არის 60-65 წლის, ახალგაზრდობაში ჰყავდა ცოლი და ცნობილი საყვარელი. სავარაუდოდ ჰყავს ქალ-ვაჟი. ქალი ახალგაზრდა ბიზნესმენის მეუღლეა, ვაჟი სახელმწიფო კანცელარიაში მუშაობს ან თავადაც ბიზნესმენია. ასეთი მოქალაქე უბადლოა სუფრაზე, თუ სმა ექიმებმა არ აუკრძალეს.

ბ) მოქალაქე ყმაწვილია. უცქერს MTV-ს და სწავლის გაგრძელება აშშ-ის რომელიმე კოლეჯში სურს. აგროვებს დევიდ ბექემის პლაკატებს. არ უნახავს გია გურულის და გრიგოლ ცაავას თამაში. სტადიონზე ნამყოფია სამჯერ (საქართველო-გერმანია; საქართველო-ინგლისი; საქართველო-იტალია). ასეთი მოქალაქე შეგვიძლია დიდი წარმატებით ჩავრთოთ რომელიმე საერთაშორისო პროგრამაში.

მესამე მაგალითად მოტანილია გრაფა, სადაც ეწერება იტალია, „იუვენტუსი“. ბ-ნი ქვემდებაროვის მტკიცებით, ადამიანი, რომელმაც საბუთში ეს სიტყვები ჩაწერა, შესაძლოა იყოს 25-დან 40 წლამდე. არ არის გამორიცხული მისი კავშირი კრიმინალურ სამყაროსთან. ყოველ შემთხვევაში, უეჭველად იქნებოდა ძნელად აღსაზრდელი ბავშვი. აღარ უსმენს მაგნიტოფონს, თაროზე კი შემორჩენილი აქვს „ბიტლზის“ „ლედ ზეპელინის“, „გრენდ ფანკის“ და „პინკ ფლოიდის“ კასეტები. ასეთი ადამიანი სასურველია აღირიცხოს შრომის ბირჟაზე და ვატაროთ ანტიალკოჰოლური თერაპიის კურსებზე.

გარდა ამისა, ბ-ნ ქვემდებაროვს მოტანილი აქვს კიდევ 53 ვარიანტი, რომელთაც, დაინტერესების შემთხვევაში, სრულად გადავცემთ პარლამენტს.

ბაბუნა კედია

დისკუსია, ძმისკუსია, დედისკუსია, მამისკუსია...



ბრიტანეთის მოქალაქე, ეროვნებით ინგლისელი, ლონდონელი დევიდ ბექემი ვაქებთურთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომების აღლუმი

ამბავი შმაიხელის კეთილი ანგელოზებისა, ქრისტეს ასაკის არგენტინელისა და საოცარი ბრაზილიელისა

პიტერ შმაიხელი

მარიო ჟარდელი

პორტუგალია

პიტერ შმაიხელს, 36 წლის დანიელ მეკარეს, რაღაც განსაკუთრებული იღბალი დაჰყვება თან. სადაც წავიდა, ყველგან ჩემპიონი გახდა. დანიურ „ბრონდბიუშში“ ხუთი სეზონი გაატარა და ოთხჯერ იპირველა. მერე, 1991 წლის ზაფხულში, ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა და ხუთჯერ ინგლისის ჩემპიონობა, შარშან კი ჩემპიონთა ლიგა მოიგო. მოიგო და თქვა: დავიღალე, ახლა რიტმის შეცვლა მსურს, ამიტომ უფრო წყნარ ჩემპიონატში ვითამაშებო. ჯერ დანიაში დაბრუნებაზე ფიქრობდა, მაგრამ ლისაბონის „სპორტინგისგან“ კარგი წინადადება მიიღო და პორტუგალიაში გაემგზავრა. ჩემპიონობას ჩვეული ვარ და აქაც იმავე მიზნით ჩამოვედი — ლისაბონში ნათქვამი ეს სიტყვები იქაურმა ტორსიდამ ლეგენდარული მეკარის დელიკატურობას მიაწერა. აბა, რას წარმოიდგენდნენ, რომ შმაიხელი არ ხუმრობდა, „სპორტინგს“ ხომ 1982 წლის შემდეგ პირველობის სიტკბო აღარ ენახა, თვრამეტი წლის წინათ კი ზოგიერთი დღევანდელი გულშემატკივარი დაბადებულიც არ იყო. მაგრამ... შმაიხელის უხილავმა კეთილმა ანგელოზმა ისევ თავისი გააკეთა — „სპორტინგი“ პორტუგალიის ჩემპიონი გახდა.

არა, მართლაც საოცარი კაცია შმაიხელი. გახსოვთ, როგორ გახდა დანია 1992 წლის ევროპის ჩემპიონი? ისინი ხომ ტურნირზე დისკვალიფიცირებული იუგოსლავიელების ნაცვლად დაუშვეს... ანდა, როგორ მოუგო ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მანჩესტერმა“ „ბაიერნს“? მთელი მატჩის განმავლობაში აგებდა და ბოლო ორ წუთში ორი ბურთი გაუტანა... დაახლოებით ასეთი რამ მოხდა პორტუგალიაშიც. „სპორტინგმა“ სეზონი უსახურად დაიწყო. ექვსი ტურის შემდეგ სამი მოგება და ამდენივე ფრე თითქოს ურიგო შედეგი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ პორტუგალიელი ჟურნალისტების მტკიცებით, „ლომები“ („სპორტინგის“ მეტსახელია) ერთობ მღორე და უინტერესო ფეხბურთს თამაშობდნენ. ამას მეცხრე ტურში „პორტუსთან“ განადგურებაც (0:3) დაერთო და რახან ვერც მეორე ლისაბონური კლუბი, „ბენფიკა“ ბრწყინავდა, მიიჩნიეს, რომ ქვეყნის ჩემპიონი კვლავაც ბოლო წლების აშკარა ლიდერი „პორტუ“ გახდებოდა. მერე იყო სირცხვილი ევროპულ სარბიელზე, „სპორტინგმა“ უეფას თასის პირველივე რაუნდში უსახელო ნორვეგიულ „ვიკინგთან“ წაგო და მოთმინების ფიალაც აივსო. ამბიციურ კლუბში შიდაშლილობამ იფეთქა. შმაიხელი ყველა მატჩს თავგანწირვით ატარებდა, მაგრამ პარტნიორებს სულ უფრო ხშირად აკრიტიკებდა, რამაც გუნდში ფსიქოლოგიური განწყობაც დაძაბა. ჟურნალისტებს ვერაფრით გაეგოთ კლუბის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილება: მათ ქვეყნის ჩემპიონობა დაეგეგმათ, მწვრთნელად კი იტალიელი ჯუზეპე მატერაცი მიეყვანეს, კაცი, რომელსაც ხეირიანად არავინ იცნობდა. მალე ყველაფერი ლოგიკურად დამთავრდა, იტალიელმა გულშემატკივართა ზეწოლას ვერ გაუძლო და გადადგა. მის გზას კლუბის დირექტორატის რამდენიმე წევრიც მიჰყვა, მწვრთნელად კი აუგუსტო ინასიო დანიშნეს.

„სპორტინგის“ პრეზიდენტი ჟოზე როკეტე, რომელიც პროფესიით ბანკირია და შინაურები ნატიფ არისტოკრატად იცნობენ, მძიმე დღეში აღმოჩნდა. ამ კაცს დიდი მიზნები ჰქონდა, კლუბის სტადიონი „ალვალადე“ ლისაბონის კომერციულ რაიონში მდებარეობს, როკეტეს მისი გაყიდვა და სხვა ადგილზე ახალი, მომავლის არენის აშენება გადაეწყვიტა, მაგრამ შემოდგომაზე მომხდარმა ამბებმა ქომაგები პრეზიდენტის წინააღმდეგ განაწყო და როკეტემაც თანამდებობა ძლივს შეინარჩუნა.

ლისაბონური დერბი. „სპორტინგის“ აევუ „ბენფიკას“ ჩანოს დაუსხლტა

მაგრამ, ამერიკული ფილმებისა არ იყოს, სადაც შმაიხელია, იქ ხომ ყველაფერი კარგად მთავრდება... უკეთესობა გაზაფხულზე დაიწყო. 18 მარტს კი, შინ, „ალვალადეზე“, „სპორტინგმა“ 55 ათასი ქომაგის გამაყრუებელი ყიჟიეის თანხლებით „პორტუს“ 2:0 მოუგო და ცხრილში პირველ საფეხურზე დამკვიდრდა. ორივე გოლი სტუმრებს „სპორტინგის“ სამხრეთამერიკელებმა გაუტანეს. მე-17 წუთზე ძლიერი საჯარიმო დარტყმით ანგარიში ბრაზილიელმა მცველმა ანდრე კრუზმა გახსნა. შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე კი კარლოს სეკრეტარიოს შეცდომით არგენტინელმა ალბერტო აკოსტამ ისარგებლა და მეკარე ვიტორ ბაიას შანსი არ დაუტოვა.

მეორე ტაიმში ვითარება უკიდურესად გამწვავდა. მსაჯმა ათი ფეხბურთელი გააფრთხილა, ხოლო პორტუელი დომინგუში, მწვრთნელ ფერნანდო სანტოსთან ერთად სულაც გააძევა. ინციდენტი მარიო ჟარდელის ჩაუთვლელ გოლს მოჰყვა, რომელიც ბრაზილიელმა დამთავრებამდე 10 წუთით ადრე გაუტანა შმაიხელს. ბოლო წუთებში კი დანიელმა მეკარემ რამდენჯერმე გაიბრწყინა და უშუალო კონკურენტთან მოგებით იმდენად მოიხიბლა, რომ ნამატჩევს თქვა: ასაკს მნიშვნელობა არ აქვს, ევრო 2000-ზეც ვითამაშებ და 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეცო...

ეს ყველაფერი ჩემპიონატის დამთავრებამდე რვა ტურით ადრე მოხდა. ჩემპიონი კი ბოლო ტურში გაირკვა, როცა „სპორტინგმა“ მთავარი მეტოქის თანაქალაქელ „სალგეირუშს“ პორტუში 4:0 მოუგო: ანდრე კრუზის ორ, აიუსა და დუშერის გოლებს მასპინძლებმა ვერაფერი მოუხერხეს. „პორტუ“ კი ბარსელოსში „ჟილ ვისენტესთან“ წაგო 1:2, თუმც ამ შედეგს უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, გამარჯვების შემთხვევაში „სპორტინგი“ მიუღწეველი ხდებოდა.

აი, ასე დაამხო „სპორტინგმა“ „პორტუს“ ხუთწლიანი ბატონობა: „მართლაც ბევრი ვიშრომეთ, ძალ-ღონე არ დავიშურეთ და, ვფიქრობ, ჩემპიონებიც დამსახურებულად გავხდით“ — აუგუსტო ინასიოს ეს უბრალო სიტყვებიც „ლომების“ უსაზღვრო ბედნიერების დასტურია.

ჩინებული სეზონი ჩაატარა 33 წლის არგენტინელმა ალბერტო აკოსტამ. ჯამში მან 22 ბურთი გაიტანა და მეგოლეთა დავაში მხოლოდ მარიო ჟარდელს ჩამორჩა. მის გარდა „ლომებს“ კიდევ ორი კარგი ფორვარდი ჰყავთ — კვამე აიუ და მბო მპენზა. ხოლო სამი სპორტინგელი — ბეტო, რუი ჟორჟე და ჟოზე ვიდიგალი — პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელმა უმბერტო კოელიუმ ევრო 2000-ზე მიიწვია. საინტერესოა ვიდიგალის ამბავი. ეს 27 წლის მცველი წარმოშობით ანგოლელია. მისი ძმაც ფეხბურთელი ყოფილა და ანგოლის ნაკრების წევრია... ესეც იშვიათი მოვლენა მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში.

ბოლო წლების უცვლელმა ჩემპიონმა „პორტუ“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გააღწია და გაზაფხულზე, შინაურ ჩემპიონატში აწყვეტილ „სპორტინგს“ ვეღარ შეეჭიდა. ეგ არის, ნაჩემპიონატევს ორრაუნდიან მძიმე ბრძოლაში (1:1, გადათამაშება 0:2) ქვეყნის თასი წაართვა და დუბლი არ შეასრულებინა. მარიო ჟარდელი კი კვლავაც მთავარი ფიგურაა. ეს ბრაზილიელი ფანტასტიკურ შედეგიანობას ავლენს, შარშან 36 ბურთი გაიტანა და ბენფიკელ ნუნუ გომეშს თორმეტით გაუსწრო, წლეულს კი 38 შეაგდო და ჩვენს ნაქებ ალბერტო აკოსტას თექვსმეტით აჯობა. ამას ჩემპიონთა ლიგის თანაბომბარდირობაც რომ დავუმატოთ (ჟარდელმა, ბარსელონელმა რივალდომ და რეალელმა რაულმა 10-10 გოლი გაიტანეს), ფანტასტიკურ შედეგს მივიღებთ. არცაა გასაკვირი, რომ ევროპის საუკეთესო მეგოლე ბრაზილიელთა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ ნაკრებში მიიწვია.

და კიდევ ერთი. პორტუგალიის ჩემპიონატები 1935 წლიდან იმართება და ჩემპიონი სულ ოთხი გუნდი ყოფილა. აქედან სამი ლისაბონურია: „ბენფიკა“ (30), „პორტუ“ (18), „სპორტინგი“ (17) და „ბელენენსეში“ (1). ბოლო 18 წელიწადია, „პორტუს“ და „ბენფიკას“ პირველ ადგილზე არავინ გაუჭაჭანებიათ, ახლა ლისაბონელი „ლომების“ ჯერია. ისინი ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ. პორტუელებს კი ევროპულ ელიტაში მოსახვედრად საკვალიფიკაციო წრის გავლა მოუწევთ.

ახლა წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა ლისაბონის იმ ნაწილში, რომელიც „სპორტინგს“ „ეკუთვნის“. მას ალვალადე ჰქვია და როცა ჩემპიონი გუნდის ავტობუსი ღამის სამის ნახევარზე რაიონის ცენტრალურ მოედანს მიადგა, 60 ათასმა მომლოდინემ ერთხმად დაიწყო ყვირილი და სიმღერა. შმაიხელის გამოჩენას კი ისეთი ამბავი მოჰყოლია, ღამის მთელ ლისაბონს გაღვიძებია. ახალგაზრდა სპორტინგელი ფეხბურთელები ცეკვავდნენ, შამპანურში ბანაობდნენ, მრავლისმნახველი შმაიხელი კი ღირსეულად იდგა და თითქოს გაუკვირდა კიდეც, როცა ბრბომ აიტაცა და ჰაერში კარგა ხანს აკუნტრუშა...

სოლომონ გულისაშვილი

ბომბარდირები

ჟარდელი (პორტუ)	38
აკოსტა (სპორტინგი)	22
გაუჩო (ამადორა)	21
ნუნუ გომეში (ბენფიკა)	18
ბრანდაო (გიმარაეში)	16
ტოედტლი (მარიტიმუ)	13
უგო ენრიკე (რიუ ავე)	12

ლომებს გაუმარჯოს!

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	თ	გ	ფ	ვ	ბ	ქ
1 სპორტინგი		2:0	0:1	2:0	1:1	4:2	1:0	1:1	2:0	2:0	1:1	1:0	1:0	3:1	2:0	2:1	2:1	4:1	34	23	8	3	57:22	77
2 პორტუ	3:0		2:0	1:0	2:0	3:2	2:1	2:1	3:0	4:2	0:0	2:1	2:0	5:0	2:0	4:1	4:1	1:0	34	22	7	5	66:26	73
3 ბენფიკა	0:0	1:0		1:1	3:0	2:1	3:0	2:0	2:1	3:2	3:2	2:3	2:0	6:2	1:0	1:0	3:0	1:0	34	21	6	7	58:33	69
4 ბოავიშტა	0:1	1:1	1:1		2:0	0:2	2:0	1:2	2:2	0:1	2:0	1:0	2:1	2:1	2:1	2:0	1:0	2:1	34	16	7	11	40:31	55
5 ჟილ ვისენტე	1:1	2:1	0:2	1:3		5:1	1:0	2:2	0:0	2:0	2:2	1:1	3:0	4:0	2:0	4:0	2:0	3:1	34	14	11	9	48:34	53
6 მარიტიმუ	0:2	2:1	0:0	1:1	1:0		1:1	2:2	1:0	0:0	3:0	0:0	1:0	3:0	0:1	5:2	1:0	0:0	34	13	11	10	42:36	50
7 გიმარაეში	1:2	1:1	2:1	2:0	1:0	1:3		1:0	1:0	0:1	1:0	4:2	4:1	3:0	2:2	2:1	4:0	2:1	34	14	6	14	48:43	48
8 ამადორა	0:0	0:2	3:0	1:2	0:1	1:1	2:2		3:3	1:1	3:0	0:3	3:0	1:1	1:0	1:0	3:0	0:0	34	10	15	9	40:35	45
9 ბრაგა	0:2	0:1	3:2	1:0	0:0	1:2	2:4	0:1		0:2	3:1	0:0	4:1	1:0	2:0	0:1	3:0	3:1	34	12	7	15	44:45	43
10 ლეირია	1:1	0:1	2:1	0:0	1:1	0:1	1:0	1:1	3:0		3:0	1:0	1:2	2:0	1:4	0:0	0:0	3:2	34	10	12	12	31:35	42
11 ალვეიკა	2:1	1:1	3:1	1:0	4:2	1:1	2:1	0:1	3:2	0:0		1:1	1:0	0:1	2:0	3:1	0:1	0:1	34	11	8	15	39:48	41
12 ბელენენსეში	0:1	0:0	0:0	1:1	1:1	1:1	2:0	1:1	0:3	1:0	4:2		2:2	1:1	2:1	2:1	0:1	3:1	34	9	13	12	36:38	40
13 კამპომაიორენსე	0:2	1:0	2:4	0:1	0:0	1:0	2:1	2:1	2:4	2:0	0:0	2:1		1:0	0:1	1:1	0:1	1:0	34	10	6	18	31:51	36
14 ფარენსე	0:3	3:3	0:1	0:2	0:3	1:0	2:1	1:1	1:1	2:1	1:2	2:1	2:2		3:2	4:0	0:0	2:2	34	8	11	15	35:60	35
15 სალგეირუში	0:4	0:4	1:2	1:3	1:2	1:0	0:1	1:1	1:1	3:0	0:2	0:0	2:1	0:0		1:1	1:0	2:0	34	9	7	18	30:49	34
16 რიუ ავე	1:2	2:2	1:1	2:1	3:1	0:2	1:1	0:1	2:0	0:0	2:0	3:0	1:0	1:1	4:1		1:1	0:5	34	8	9	17	34:54	33
17 სეტუბალი	1:2	1:4	1:2	2:1	0:1	4:2	1:1	1:0	0:2	0:0	1:0	0:2	1:2	1:1	1:2	2:0		1:0	34	9	6	19	25:49	33
18 სანტა კლარა	2:2	0:2	0:3	0:1	0:0	0:0	3:2	1:1	1:2	1:1	4:3	1:0	2:2	1:2	0:0	1:0	2:1		34	7	10	17	35:50	31

მუშაკუდიანი უნგრეთში არ შერცხვა

პირველად სდასუ-ში გამოჩნდა. მალე ამ გუნდთან ერთად საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, მერე კი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა „ვითამ“ მიიწვია. ახალი სეზონიც თითქოს ამ კლუბში უნდა დაეწყო, მაგრამ მოულოდნელად ბულგარელებმა მიიპატიჟეს და მანაც უყოყმანოდ უცხოეთს მიაშურა.

ეს დავით მუშკუდიანის კარიერის ჯერჯერობით უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. ბულგარეთში სრულიად გაიხსნა ქართველი, სტაბილურად ჩაატარა პირველი სეზონი, ნელ-ნელა თავისი გუნდის, სოფიის „აკადემიკის“ ლიდერად ჩამოყალიბდა.

ბოლო გათამაშებაში „აკადემიკმა“ პლეი ოფის ნახევარფინალს უწია და იქ „ლევსკისთან“ წააგო. მიუხედავად ამისა, კლუბის ხელმძღვანელობა კმაყოფილი დარჩა შედეგით, ჩვენი ბულგარელი კოლეგები კი „აკადემიკის“ წარმატების სულისჩამდგმელ მუშკუდიანსა და მის დიდ წვლილზე ალაპარაკდნენ.

ეს კიდევ არაფერი, ამ ცოტა ხნის წინ საინფორმაციო სააგენტოებმა ჩვენთვის, ქართველთათვის მეტად სასიამოვნო ცნობა გაავრცელეს. უნგრეთში გასამართ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციის (ნბა) წინასადრაფტო შეკრებაში მონაწილეობას სხვებთან ერთად ქართველი, ბულგარეთის „აკადემიკის“ ფორვარდ-ცენტრი დავით მუშკუდიანიც მიიღებსო.

29-31 მაისს უნგრეთის ქალაქ პეჩში მართლაც მოეწყო წინასადრაფტო შეკრება. ცხადია, მუშკუდიანიც იქ იყო...

გუშინ ჩვენებურს შინ, სოფიაში დავუკავშირდით. სალაპარაკო საკმაო დაგვგროვებოდა, ისიც ვიცოდით, რომ მისგან ბევრ საინტერესოს შევიტყობდით...

1997 წელს დავით მუშკუდიანი თბილისის სდასუ-ში თამაშობდა

— დათო, საიდან აღმოჩნდით უნგრეთში?

— მიმაჩნია, რომ ეს სეზონი ძალიან ძლიერად ჩავატარე. ჩემი ამ შეკრებაზე მიწვევის უპირველესი მიზეზი, ვფიქრობ, სწორედ ეს გახლდათ.

— ვეშვობთ, ბულგარეთის ჩემპიონატი ნბა-ს მწვრთნელ-დამკვირვებელთა ინტერესის სფეროს წარმოადგენს. თუ ვცდები, მაშინ სიმართლე გვითხარით...

— უმთავრესი, ალბათ, მაინც ის არის, რომ გამიმართლა, კარგი მენეჯერი შემხვდა ამ საქმის გაჩარხვა მნიშვნელოვანწილად მისი დამსახურებაა.

— თუ შეგიძლიათ, უფრო დაწვრილებით გვიამბეთ.

— არსებობს ფირმა „კორტ საიდი“, რომელიც კალათბურთელთა ტრანსფერებს აწარმოებს. ჩემი მენეჯერი, ბულგარელი ნიკოლაი ტენევი სწორედ ამ ფირმის წარმომადგენელია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. მან დამაკავშირა ჩემს ახლანდელ კლუბ „აკადემიკთანაც“. რაკი ამ სეზონში ყველაფერი კარგად აეწყო და, როგორც მეუბნებიან, ძალიან მოუმატე, ტენევმა გადაწყვიტა, ჩემით უფრო ძლიერ კლუბები დაეინტერესებინა და ინტერნეტში საინფორმაციო გვერდი გამიკეთა. თავად „კორტ საიდმა“ კი ჩემი ყველა მონაცემი შეკრიბა და წინასადრაფტო შეკრების ორგანიზატორებს გაუგზავნა. მალე ჩამოვიდა ოფიციალური წერილი. პასუხი დადებითი იყო. ამ შეკრების მოთავენი თანახმანი იყვნენ უნგრეთში ჩავსულიყავი.

— უშუალოდ შეკრებაზე რა ხდებოდა?

— ძალიან სამწუხაროა, მაგრამ, გამოგიტყდებით, გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. სავიზო პრობლემები შემექმნა და უნგრეთში ჩასვლა დამიგვიანდა. უფრო სწორად, საზღვრიდან უკან მომბარუნეს, საბუთები მოაწესრიგეო.

— თავად ტენევმა არ იზრუნა წინდაწინ უნგრეთში თქვენს დროულად ჩაყვანაზე?

— ისიც გაოცდა, მსგავსი შემთხვევა არც მახსოვს, უნგრეთში ყოველ წელს დავდივარ და არასდროს არავის შევუფერხებივარო-მითხრა.

— მაინც რა მოხდა ასეთი?

— უვიზოდ არაფრით შეგვიშვეს, არადა, ტენევი ამბობს, ვიზა არასდროს მოუთხოვიათო. ყველა დანარჩენი საბუთი წესრიგში მქონდა, აქამდე თურმე ესეც საკმარისი იყო უნგრეთში შესასვლელად.

— მერე?

— ბულგარეთში გამოვბრუნდით. მანქანით თერთმეტი საათის სავალი იყო, მაგრამ სხვა რა გზა გვქონდა, სასწრაფოდ ვიზა უნდა გაგვეკეთებინა. მოკლედ, გვარიანად გავწვალდით და ბოლო-ბოლო, მაინც ჩავაღწიეთ უნგრეთში. მხოლოდ ერთხელ ვივარჯიშე და ბოლო დღეს, შემაჯამებელ მატჩში მივიღე მონაწილეობა.

— როგორც ვიცით, მოთამაშეები ორ გუნდში გადაანაწილეს და მერე ერთმანეთში ათამაშეს. ამ მატჩს გულისხმობთ?

— დიახ, იქ ორ გუნდად დაგვყვეს, თუმც ვარჯიში ერთად გვიტარდებოდა. ჩემს გუნდს „ჩელენჯერსი“ ერქვა, მას „დალას მავერიქსის“ წარმომადგენელი წვრთნიდა. მეორე გუნდს კი, „ოლ სტარს“, „სიეტლ სუპერსონიქსის“ ერთ-ერთი მწვრთნელი ედგა სათავეში. არ ვიცი, გუნდები რა პრინციპით დაკომპლექტეს, მაგრამ „ოლ სტარში“ გაცილებთ ძლიერი მოთამაშეები იყვნენ თავმოყრილნი. მარტო ცენტრი ჰყავდათ ოთხი, ოთხივე 210 სანტიმეტრზე მაღალი იყო: ბერძნები ცაკალიდისი და პაპანიკოლაუ, ალბათ, გსმენიათ, ორნიც სხვები იყვნენ. ჩემს გუნდს კი ერთი ნომინალური ცენტრი ჰყავდა, ისიც ბერძენი, გვარი აღარ მახსოვს. მას მერე მე ვიყავი ყველაზე მაღალი (208 სმ — გ.ბ.), თუმც მწვრთნელს ცენტრად არც ვუთამაშებივარ, მხოლოდ თავდამსხმელობას მავალებდა.

— რა იყო თქვენი მონაგარი ამ მატჩში?

— 21 წუთი ვითამაშე. 6 ქულა, 14 მოხსნა, 4 პასი, თითო დაფარება და ჩაჭრა. აი, ყველაფერი ის, რაც ამ დროში გავახერხე.

— ვფიქრობ, ურიგო შედეგი სულაც არ გახლავთ. განსაკუთრებით ნაყოფიერად ფარზე გიმუშავიათ...

— საკუთარ თავზე მიჭირს ლაპარაკი.

— ტენევს არაფერი უთქვამს?

— შეეტყვე, რომ კმაყოფილი დარჩა. არც დაუმალავს, რამდენჯერმე შემაქო კიდეც, ყველაფერი კარგად გამოგივიდაო. საშუხაროდ, მასთან უფრო ვრცელი საუბარი აქამდე არ მომიხერხდა, აქეთობისას მაკედონიელები დაგვეგზავნენ და მათთან ერთად ლაპარაკს ტენევმა თავი აარიდა. ახლა სადღაც არის წასული, ღღეს-ხვალ ჩამოვა და უფრო კონკრეტულად მეტყვის ყველაფერს.

— წინასადრაფტო შეკრების შედეგ, წესით, როგორ ვითარდება მოვლენები?

— დამკვირვებლები ინფორმაციას აგროვებენ და მერე ყოველივეს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გააგზავნიან. თუ მოთამაშის მონაცემები მათთვის მისაღები და დამაკმაყოფილებელი იქნება, ისინი დრაფტზე წარგადგენენ. ამის შესახებ თავად კალათბურთელსაც შეატყობინებენ, მის კლუბსაც და მენეჯერსაც. ჩემი ფუნქცია უკვე ამოწურულია. ახლა ყველაფერი ამერიკელებზეა დამოკიდებული.

— უნგრეთში ევროპელი მზვერავები არ იყვნენ?

— უამრავი ხალხი ირეოდა. უმეტესობა, რა თქმა უნდა, ევროპელები.

— თქვენთან გასაუბრება არავის უცდია? რაიმე კონკრეტული ხომ არ გითხრათ ვინმემ?

— ასეთ დროს, როგორც წესი, მენეჯერს ელაპარაკებიან. ტენევს კი მსგავსი არაფერი უთქვამს ჩემთვის. შესაძლოა, ჯერ არ სურს, გამანდოს. ერთადერთი შემთხვევა იყო, ერთმა პიროვნებამ ჩემთან ურთიერთობის დამყარება სცადა და მცირე ხნით ვისაუბრეთ კიდეც. როგორც გაირკვა, იგი ძალიან ცნობილი იტალიელი მენეჯერი ჩეზარე კაპიკიონე ყოფილა, თვით არვიდას საბონისის აგენტი.

— რა გითხრათ კაპიკიონემ?

— შენი თამაში მომეწონაო და მენეჯერობა შემომთავაზა.

— რა უპასუხეთ?

— ზუსტად ვერაფერს გეტყვით, კარგი იქნება, თუ ფიქრის დროს მომცემთ-მეთქი. იფიქრეო, დამთანხმდა.

— რას აპირებთ?

— გაურკვევლობაში ვარ, არ ვიცი, რა ვქნა. ჯერ ალბათ, ამერიკელების პასუხს დველოდები, მოვლენების შემდგომ განვითარებას შევხედავ და ამის მიხედვით ვიმოქმედებ.

— ტენევმა თუ შენიშნა რაიმე?

— ვერ გეტყვით. ისე იტალიელმა მითხრა, ტენევი ჩემი მეგობარია და არა მგონია, მისგან რაიმე წინააღმდეგობას წააწყდეო. მიუხედავად ამისა, დაუკითხავად არაფერს გავაკეთებ. თუ გადავწყვიტე, რომ კაპიკიონეს დავუკავშირდე, ტენევს წინასწარვე ჩავაყენებ საქმის კურსში.

— დათო, თავად როგორ გესახებათ თქვენი შემდგომი კარიერა?

— ყველაფრის წინდაწინ განჭვრეტა ძალიან ძნელია, კაცმა არ იცის, რა მოხდება. მოგეხსენებათ, იღბალზეც ძალიან ბევრია დამოკიდებული.

— იღბალი აშკარად თქვენს მხარესაა. ყოველ შემთხვევაში, სადღეისოდ ასე ჩანს...

— პროფესიონალებში თამაშზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, ევროპიდან რამდენიმე კარგ შემოთავაზებას მივიღებ.

— თქვენი უახლოესი გეგმები სამშობლოში ჩამოსვლას არ ითვალისწინებს?

— 12 ივნისს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში ოთხთა ტურნირი იწყება, სადაც ჩემი გუნდი, „აკადემიკიც“ მიიღებს მონაწილეობას და მერე თვენახევრით შვებულება მეკუთვნის. ძალიან მინდა, ეს დრო საქართველოში გავატარო, მაგრამ ზუსტად ჯერ ვერაფერს გეტყვით.

ბიორგი ბიკაშვილი

რეალი!

პლეი ოფის ფინალი
(სამ მოგებამდე)

ბარსელონა	**2**
რეალი	***3***

ბარსელონა 73:82 რეალი

ბარსელონა: როდრიგესი (10), დიგბო (8), გუროვიჩი (11), ალსტონი (4), დუენიასი (10); ნავარო (7), გოლდვაიერი (15), ელსონი (6), გასოლი, რენციასი (2)

რეალი: ჯორჯევიჩი (10), ა. ანგულო (19), ლ. ანგულო (12), სტრიულენსი (15), სკოტი (16); გალილეა (2), ერროსი (1), ბეტსი (4), მიხაილოვი (3), იტურბე

წლეულს მადრიდის სამეფო კლუბმა ორი ჯილდო მოიპოვა: ფეხბურთელებმა — ევროპის ჩემპიონთა თასი, ხოლო კალათბურთელებმა — ესპანეთის ჩემპიონობა. თუ ფეხბურთელებს ორი წელიწადი დასჭირდათ ტრიუმფის გასამეორებლად (ბოლოსწინა ჩემპიონთა თასი „რეალმა“ 1998 წელს მოიპოვა), კალათბურთელებმა ქვეყნის ჩემპიონობის დაბრუნებას ექვსი წელიწადი მოანდომეს.

მადრიდის „რეალი“ 1994 წელს გახდა ესპანეთის ჩემპიონი. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მის ღირსებას დიდი ლიტველი არვიდას საბონისი იცავდა. მას შემდეგ სამეფო კლუბმა ვერაფრით მოახერხა ქვეყანაში უძლიერესი გამხდარიყო. იყო დიდი წარმატებები ევროსარბიელზე, რეალელებმა 1995 წელს ევროლიგა მოიგეს, 1997 წელს — ევროპის თასი (ახლანდელი სპორტას თასი), მაგრამ ესპანეთის ჩემპიონის ტიტული არ ჩანდა.

წლეულს მადრიდელები ძალიან მიუახლოვდნენ ჩემპიონობას. ამ საკითხის მოგვარება ჯერ კიდევ ფინალის მეოთხე მატჩში შეეძლოთ, მაგრამ საშინაო მატჩი დამთეს „ბარსელონასთან“ და მთელი იმედები მეხუთე, გადამწყვეტ მატჩს დაუკავშირეს, რომელიც ბარსელონას „პალაუ ბლაუგრანაში“ გაიმართა.

იუგოსლავიელი ალექსანდრ ჯორჯევიჩი შარშან „ბარსელონასთან“ ერთად გახდა ესპანეთის ჩემპიონი. წლეულს მან გაიმეორა მიღწევა, ოღონდ უკვე „რეალთან“ ერთად. განგებამ ჯორჯევიჩი გადამწყვეტი შეხვედრის გმირად აქცია: მისმა ორმა სამქულიანმა მატჩის ბედზე მეტად მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. იქამდე კი...

წინა მატჩის მომგებ „ბარსელონას“, ფსიქოლოგიურთან ერთად, საკუთარი მოედნის უპირატესობაც ჰქონდა. 8 ათასი გულშემატკივრის მხარდაჭერით გამხნევებულმა „ბარსამ“ მცირე სხვაობით მოახერხა დაწინაურება. მისი მოთამაშეების სროლათა ჩაგდების პროცენტი გაცილებით მაღალი იყო, ამიტომაც პირველი ტაიმი მასპინძელთა სასარგებლოდ დასრულდა — 44:36. ბარსელონელები განსაკუთრებით ზუსტნი იყვნენ სამქულიანების შესრულებისას. ამ მხრივ ენტონი გოლდვაიერი და ალენ დიგბო გამოირჩეოდნენ.

მეორე ტაიმი „ბარსელონამ“ უკეთ დაიწყო და 48:37 დაწინაურდა. აქ „რეალმა“ პირველად გაიბრძოლა სერიოზულად ერთი მონაკვეთი 10:0 მოიგო. სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდა (48:47) და, მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონა“ ერთხანს კიდევ იგებდა, მის თამაშს დამაჯერებლობა მოაკლდა.

ჯორჯევიჩის დრო მაშინ დადგა, როცა „ბარსელონა“ 64:57 იგებდა. რეალელთა იუგოსლავიელმა, რომელსაც მანამდე ქულაც კი არ ჰქონდა გაკეთებული, ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო და თანაგუნდელებიც ორჯერ გაიყვანა ჩასაგდებ პოზიციაზე. „რეალმა“ მეორედ მოიგო ერთი მონაკვეთი 10:0 და 67:64 დაწინაურდა. ამ მომენტმა თამაში ძირფესვიანად შეცვალა: „ბარსელონა“ გატყდა, ხოლო ფრთაშესხმულმა მადრიდელებმა მთლად გაილაღეს.



რეალელი ერიკ სტრიულენსი (ბურთით) დერიკ ალსტონის წინააღმდეგ

ფინალური სერიის დაწყების ღიდან, „რეალის“ საკალათბურთო საქმეთა პრეზიდენტი ლორენსო სანს დიურანი და მთავარი მწვრთნელი, იტალიელი სერჯო სკარიოლო მსაჯებს აკრიტიკებდნენ. მადრიდელთა უკმაყოფილებამ უმაღლეს წერტილს მეოთხე მატჩის შემდეგ მიაღწია, როცა არბიტრებმა „რეალის“ კალათბურთელები 33-ჯერ დაჯარიმეს და ამის გამო ბარსელონელებმა 52 საჯარიმო ესროლეს, რომელთაგან 38 გამოიყენეს. გადამწყვეტ მატჩში კი ყველაფერი პირიქით მოხდა: „ბარსელონა“ 32-ჯერ დაჯარიმდა, „რეალმა“ 46 საჯარიმო ესროლა, რომელთაგან 38 კალათში ჩაუშვა. „ბარსელონას“ მწვრთნელს აიტო გარსია რენესესს გადამწყვეტი მატჩის მსაჯობაზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. მანამდე ეს კაცი, თითქოს დაუზეპირებიაო, ამბობდა: ფინალში ყველაფერი რიგზეა, მსაჯებზე არაფრის თქმა არ მსურსო.

საჯარიმოთა ჩაგდების 83 პროცენტი — ასეთია „რეალის“ მაჩვენებელი გადამწყვეტ მატჩში, თქმა არ უნდა, დიდებული შედეგია და, თამამად შეიძლება ითქვას, მადრიდელთა წარმატება ამ ფაქტორმაც მნიშვნელოვნად განაპირობა. ამ მხრივ საუკეთესო იყო ამერიკელი ბრენტ სკოტი, ვინც ათიდან ათივე საჯარიმო გამოიყენა. ალბერტო ანგულომ რვიდან რვა ჩააგდო, ერიკ სტრიულენსმა — რვიდან შვიდი, ხოლო ალექსანდრ ჯორჯევიჩმა — ხუთიდან ოთხი. აღსანიშნავია, რომ „ბარსელონამაც“ საკმაოდ კარგად შეასრულა საჯარიმოები — 23-დან 17 ჩააგდო, რაც 74 პროცენტს შეადგენს.

მატჩის დასრულებისას „პალაუ ბლაუგრანას“ იატაკი ათასგვარი საგნებით დაიფარა. ბარსელონელმა გულშემატკივრებმა ვერ აიტანეს საძულველი „რეალის“ გაჩემპიონება და რაც ხელთ მოხვდათ, ყველაფერი მადრიდელებს დაუშინეს. სამეფო გუნდის კალათბურთელები კი გასახდელში შეიკეტნენ და ჩემპიონობა იქ იზეიმეს.

ქირავდება

ერთოთახიანი, იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინა ქავთარაძის ქუჩაზე

☎ 931572

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს ანჯელეს ლეიკერსი



რეგულარული ჩემპიონატი: 67 მოგება, 15 წაგება

ადგილი დასავლეთის კონფერენციაში: 1

პლეი ოფი: საკრამენტო 3:2, ფინიქსი 4:1, პორტლენდი 4:3

შემადგენლობა: რონ ჰარპერი, კობი ბრაიანტი, გლენ რაისი, ეი სი გრინი, შაკილ ონილი, რობერტ ჰორი, რიკ ფოქსი, ბრაიან შოუ, დერიკ ფიშერი, დევინ ჯორჯი, ტრევის ნაითი, ჯონ სეიღლი

ფინალი

ოთხ მოგებამდე

7 ივნისი	ლოს ანჯელესში
9 ივნისი	ლოს ანჯელესში
11 ივნისი	ინდიანაპოლისში
14 ივნისი	ინდიანაპოლისში

თუ საჭირო გახდა

16 ივნისი	ინდიანაპოლისში
19 ივნისი	ლოს ანჯელესში
21 ივნისი	ლოს ანჯელესში

ინდიანა პეისერზი

რეგულარული ჩემპიონატი: 56 მოგება, 26 წაგება

ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში: 1

პლეი ოფი: მილუოკი 3:2, ფილადელფია 4:2, ნიუ იორკი 4:2

შემადგენლობა: მარკ ჯეკსონი, რეჯი მილერი, ჯალენ როუზი, დეილ დევისი, რიკ სმიტსი, ტრევის ბესტი, ოსტინ კროშერი, სერ პერკინსი, კრის მულინი, ჟან ტაბაჯი, დერიკ მაკკეი, ჯონათან ბენდერი

დღეს დიდი ფინალი იწყება



„ლეიკერსს“ შაკილ ონილის (მარცხენა ფოტოზე) იმედი აქვს, „ინდიანას“ — რეჯი მილერის

დღეს, შვიდ ივნისს, ოთხშაბათ საღამოს, ჩვენი დროით კი ხუთშაბათ დილით მზიური კალიფორნიის ხმაურიან და უზარმაზარ ქალაქ ლოს ანჯელესში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რიგით 54-ე ფინალური სერია დაიწყება. „ლეიკერსი“ თუ „პეისერზი“, შაკილ ონილი თუ რეჯი მილერი, ფილ ჯეკსონი თუ ლარი ბერდი, ვინ შეიმოსება ოქროთი, დიდებით და პატივით და ვინ ნახავს სიცოცხლეში უდიდეს იმედგაცრუებას. ორკვირიანი ფინალური სერია დაასრულებს რვათვიან ქანცგამწყვეტ სეზონს. სწორედ ახლა სჭირდებათ მეტოქეთ თავიანთი შესაძლებლობების წარმოჩენა, თავიანთი სიძლიერის დამტკიცება. თავს არავინ დაზოგავს, გამარჯვებული ჯილდოდ ჩემპიონის ოქროს ბეჭედს მიიღებს და ეს იქნება ამ რვა თვის განმავლობაში გაწეული ჯაფის საუკეთესო ანაზღაურება. როგორ წარმოაჩენენ გუნდები თავს, ამას ამ დღეებში შევიტყობთ.

შვიდ ივნისს „ლეიკერსის“ ერთი წლის წინ გახსნილ სუპერთანამედროვე დარბაზ „სტეიპლზ სენთერში“ ერთმანეთის წინაშე წარდგებიან დიდი ქალაქის ბობოლა გუნდი, ბობოლა მოთამაშეებით და პატარა, პროვინციული ინდიანაპოლისის (ამერიკული მასშტაბით) ჯიგრიანი ბიჭების კრებული. „ინდიანა“ ვერც მიღწევებით დაიკვეხნის. „ლეიკერსს“ მასზე გაცილებით მდიდარი და მრავალფეროვანი ისტორია აქვს. 25-ჯერ მიუღწევია ფინალისთვის და აქედან თერთმეტჯერ უმარჯვია, რითაც მხოლოდ „ბოსტონ სელტიქსს“ ჩამორჩება. „ინდიანა“ კი ჩემპიონი არასდროს ყოფილა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არსებობის მანძილზე ფინალში აქამდე არასდროს გასულა, თუმცა ამის შესაძლებლობა 1994-99 წლებში ოთხჯერ მიეცა. „ჩვენ პირველად ვართ ფინალში და გულში გამარჯვება გვაქვს ამოჭრილი. არც ისე საშინელი გუნდია „ლეიკერსი“. მისი დამარცხება ჩვენთვის გადაუჭრელ პრობლემას არ წარმოადგენს. კალათბურთს არც სახელები თამაშობენ და არც ტრადიცია. ჩვენ ფინალისკენ ათი წელი მივილტვოდით და ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებთ“ — „ინდიანას“ ლიდერი რეჯი მილერი ფინალის წინ ოპტიმისტურადაა განწყობილი და ქომაგებს გამარჯვებას ჰპირდება. ცხადია, მისი მუქარა სულ არ აშინებს „ლეიკერსს“. „ეს გუნდი ყოველ ათწლეულში ჩემპიონი ხდებოდა. „ლეიკერსი“ ყოველთვის კარგი იყო, მაგრამ ათი წელია, მშიერია. დიახ, ჩვენ მშივრები ვართ და ერთი სული გვაქვს, როდის გადავყლაპავთ მათ“ — აცხადებს „ლეიკერსის“ სათადარიგო გამთამაშებელი დერიკ ფიშერი. ახლა „ტკბილი“ სიტყვების გაცვლის დროა. დღეს ფინალური სერიაც დაიწყება და იქ ნათლად გამოჩნდება, ვის რისი შნო აქვს. ჩვენ კი ფინალის მონაწილე გუნდებზე და მათ შესაძლებლობებზე რამდენიმე სიტყვა ვთქვათ.

ფარქვეშ

ფარქვეშ „ლეიკერსს“ გამოკვეთილი უპირატესობა აქვს. მას ჰყავს შაკილ ონილი და ამით ყველაფერია ნათქვამი. ონილი ფარქვეშეთის სივრცის სრული ბატონ-პატრონი გახლავთ და თავისი უზარმაზარი ზომა-წონის წყალობით ნებისმიერი დაბრკოლების წალეკვა ძალუძს. ერთია, მას „პორტლენდთან“ ძლიერ გაუჭირდა, ლიტველი ცენტრი არვიდას საბონისი პერსონალურად მეურვეობდა, თუმც ონილი მასთან პირისპირ თითქმის არასდროს დარჩენილა. საბონისს ყოველთვის ეხმარებოდა რომელიმე შედარებით დაბალი თანაგუნდელი, რომელიც ონილს ბურთებს სტაცებდა, ჩვეულებრივ ეს სკოტი პიპენი გახლდათ. „პორტლენდი“ თავის კარგი დაცვით ქებულია, აი, „ინდიანა“ კი დაცვაში ნაკლებად სახიფათოა, ვიდრე შეტევაში. შაკილს ალბათ კიდევ ერთი ევროპელი ცენტრი, ჰოლანდიელი რიკ სმიტსი დაიჭერს, რომელიც მასზე რვა სანტიმეტრით მაღალი კია, მაგრამ წონით ბევრად ჩამოუვარდება. ამასთან სმიტსს სიბერე შეპარვია, მისი მეურვე კი სწორედ ახლაა თავისი კარიერის პიკში. სხვათა შორის, შაკილს გულში ერთი მეტად უსიამოვნო ამბავი ჩარჩენია, რომელიც სწორედ „ინდიანას“ და რიკ სმიტსს უკავშირდება. 1994 წელს პლეი ოფში პირველად მოხვედრილი შაკილ ონილი და მისი „ორლანდო“ პირველივე წრეში „ინდიანას“ გადაეყარა. მაშინ სმიტსმა აჯობა ჯერ კიდევ გამოუცდელ შაკს. „ორლანდომ“ ის სერია 0:3 წააგო. შაკილს კიდევ ერთი მწარე გამოცდილება აქვს — მომდევნო წელს უკვე ფინალში უპრობლემოდ გასული „ორლანდო“ და მისი ლიდერი „ჰიუსტონმა“ და ჰაკიმ ოლაჯუონმა პირწმინდად დაჩაგრეს. თუმცა, ეს კარგა ხნის წინ იყო. ახლა ონილი, როგორც მოთამაშე, გვარიანად გაიზარდა და იფიცება, რევანშსაც ავიღებ და ჩემპიონიც გავხდებიო. სმიტსს მის გაჯერებაში დეილ დევისი დაეხმარება. ონილს კი ფარქვეშ მხარს დაუმშვენებს „ქვის ადამიანად“ წოდებული ეი სი გრინი, რომელსაც თავის თექვსმეტწლიან კარიერაში სულ სამი თამაში აქვს გამოტოვებული და სიცოცხლეში ტრავმა არ მიულია. გრინს შავი სამუშაოს შესრულება ეხერხება და იცის მეტოქეებზე ფეხის დაბიჯება, სახეში ვითომ შემთხვევით იდაყვის გაკერა და სხვა მისთანები.

ფარს გარეშე

აქ მეტოქეთ ასე თუ ისე თანაბარი შემადგენლობა ჰყავთ, თუმც მცირეოდენი უპირატესობა მაინც „ინდიანას“ მხარესაა. ამ გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა სწორედ უკანა ხაზია. ინდიანელ „მარდებს“ მართლაც რომ მარდი უკანახაზელები ჰყავთ — გამოცდილი გამთამაშებელი მარკ ჯეკსონი, სწრაფი ფრთა ჯალენ როუზი და, რაც მთავარია, რეჯი მილერი, რომლისთვისაც შეუძლებელი არაფერია. „ინდიანას“ ჰყავს რეჯი მილერი და თამაშში ათი-თხუთმეტქულიანი ჩამორჩენა არ აშფოთებს. ოქროსხელება რეჯის შეუძლია, ერთ წუთში სამი სამიანი ჩააგდოს, თამაშის ბოლო ათ წამში გუნდს რვა ქულა მოუტანოს, ბოლო მეოთხედში 20-25 ქულა გააკეთოს და ეს არაერთხელ მომხდარა. მილერი სნაიპერია, სუფთა მსროლელი და ბოლო ათი წლის განმავლობაში მაიკლ ჯორდანის შემდეგ საუკეთესოა ამ ამპლუაში. ამასთან იგი ჩვეულებრივ რეგულარულ სეზონში ჩრდილში მყოფი, სწორედ პლეი ოფში გადაირევა ხოლმე.

არც „ლეიკერსს“ ჰყავს ურიგო უკანა ხაზი. აქ ფილ ჯეკსონის განკარგულებაში 21 წლის „ოქროს ბიჭი“, კობი ბრაიანტია, რომელიც ყველანაირად შეეცდება, თავისი საუკეთესო სეზონი ტრიუმფით დაასრულოს. „ლეიკერსს“ არა ჰყავს გამოკვეთილი გამთამაშებელი, სამაგიეროდ, ჰყავს მრავალნაკადი უნივერსალური უკანახაზელი რონ ჰარპერი, რომელსაც ამ ფუნქციის შესრულებაც შეუძლია და ფარქვეშაც ძლიერია. უკანახაზელად შეიძლება ჩავთვალოთ ფრთა გლენ რაისი, „ლეიკერსის“ უმთავრესი შიდა პრობლემა და ფილ ჯეკსონის მუდმივი თავსატეხი. იყო სეზონი, რაისი თამაშში საშუალოდ 26 ქულას აკეთებდა. ახლა მისი შედეგიანობა 12 ქულამდე დაცემულა. რაისი სამქულიანებზეა დაგეშილი, უფრო ზუსტად, იყო და თუ მას სროლა წაუვიდა, შეიძლება, რეჯი მილერს გარჯა წყალში ჩაუყაროს.

სკამი

ერთხელ „ლეიკერსის“ ძველ მწვრთნელს, აწ კი „მაიამის“ თავკაც პატ რაილის უთქვამს, იგებს ის გუნდი, ვისაც უკეთესი სათადარიგო სკამი აქვსო. მართლაც დაძაბულ სერიებში, სადაც თამაშები ყოველ მეორე დღეს იმართება, მარტო გუნდის ლიდერები ყველაფერს წყვეტენ, მით უმეტეს, ახლა, როცა განვლილი სეზონის შემდეგ წამყვანი მოთამაშეები გვარიანად მოქანცულან.

სათადარიგოები არც ერთ ფინალისტს დაეწუნება. ორივეს ჰყავს როგორც გამოცდილი, ასევე ახალგაზრდა სათადარიგოები, რომლებიც ძირითადებს ბევრად არ ჩამოუვარდებიან. „ინდიანას“ შემცვლელთაგან მოვდანზე მეტ დროს ტრევის ბესტი ატარებს. იგი საკმაოდ შებერებული მარკ ჯეკსონის მაგივრად შედის მოედანზე და, მართალია, მისებრი გამთამაშებელი ვერაა, მაგრამ ქულებს უკეთ აგროვებს და ცალკეულ თამაშებში შეუძლია, გუნდს 15-20 ქულა შეაშველოს. იგივე ითქმის ოსტინ კროშერზეც. იგი რიკ სმიტსს, უფრო კი დეილ დევისს ცვლის. ამასთან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ „ინდიანას“ სკამზე უზის 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიური ჩემპიონი კრის მულინი, რომლის კოლოსალური გამოცდილება შეიძლება კარგად გამოიყენოს „პეისერზმა“.

თამამად შეგვიძლია, „ლეიკერსის“ თავდამსხმელი რობერ ჰორი უფრო ძირითადად ჩავთვალოთ, ვიდრე სათადარიგოდ, იგი ეი სი გრინზე დიდხანს თამაშობს. ეგაა, ყოველთვის გრინი იწყებს. ჰორი მის მოსვლამდე სასტარტო ხუთეულში იყო. იგი ასევე „ჰიუსტონ როკეტსის“ იმ ხუთეულში გახლდათ, რომელმაც 1994 და 1995 წლებში ჩემპიონობა მოიპოვა. კარგი ბიჭები არიან ფოქსი, ფიშერი და შოუ. მათგან პირველ ორსაც უთამაშია თითო სეზონი „ლეიკერსის“ ძირითადში.

მწვრთნელები

ორივე გუნდს მართლაც რომ სანაქებო დამრიგებელი ჰყავს. ორივეს მთელი მსოფლიო იცნობს და აქ მიღწევებზე არ შევჩერდებით. ფილ ჯეკსონმა „ჩიკაგო ბულზი“ ექვსჯერ მიაცილა ჩემპიონობამდე და ახლა „ლეიკერსთან“ ერთადაც ივიკვეს აპირებს. იქნებ ჯეკსონი უდიდესი ტაქტიკოსი არ იყოს, მაგრამ ეს მას ნამდვილად ვერ აკნინებს. მისი საუკეთესო თვისება ის გახლავთ, რომ შეუძლია თავის ხელთ არსებულ მოთამაშეებს მაქსიმუმი გამოსწუროს. ჯეკსონის წარჩინებული შეგირდები — ონილი და ბრაიანტი ახალი დამრიგებლის ხელში საუკეთესო სეზონს ატარებენ. შესაძლოა, ეს წყვილი ისე იდეალური არ იყოს, როგორც ჯორდან-პიპენის დუეტი იყო, მაგრამ ამ ორს ერთად თამაშში საშუალოდ ორმოცდაათ ქულაზე მეტი მოაქვთ გუნდისთვის.

„ინდიანას“ მწვრთნელი ლარი ბერდი თამაშის მსვლელობაში ნაკლებად ერევა, მაგრამ მის შესაძლებლობებზე თვით „ინდიანას“ თამაშის ხარისხი მეტყველებს. ტყუილი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ „პეისერზი“ მთელს ლიგაში ყველაზე შეკრული გუნდია. მესამე წელია, ბერდი „ინდიანას“ ხელმძღვანელობს და სამჯერვე მოახერხა, გუნდი აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალში გაეყვანა. მესამედ კი „მარდებმა“, კლუბის ისტორიაში პირველად, ფინალსაც უწიეს. ბერდს გადაუწყვეტია, ფინალის შემდეგ მწვრთნელობას თავი დაანებოს და მოთამაშეობისას სამგზის ჩემპიონი უარს არ ეტყოდა, ახლა, როგორც მწვრთნელს, მოეგო ჩემპიონატი. ამასთან ბერდს თავის „დაუძინებელ მტერთან“, „ლეიკერსთან“ უწევს შებმა.

ფავორიტი

ფავორიტად, ცხადია, „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ მიიჩნევა, რადგან ამ ზემძლავრი გუნდის ღირსეულ მეტოქედ „ინდიანას“ ბევრი არავინ აღიქამს. ათეულობით გამოკითხულ სპეციალისტთა ოთხმოცი პროცენტი სწორედ „ლეიკერსის“ ჩემპიონობას წინასწარმეტყველებს. ოკეანის გაღმა ამბობენ, ფინალი ჯერ არ შემდგარა, მაგრამ არსებითად ფინალიც შედგა და ჩემპიონიც ცნობილიაო. ფინალად „ლეიკერსისა“ და „პორტლენდის“ შერკინება აღიარეს დასავლეთ კონფერენციის ფინალში. თუ „პორტლენდი“ დასცა, „ინდიანას“ ხომ სულ ბდღვირს აღენსო, ასეთია უმრავლესობის აზრი. ცხადია, ფინალი არანაირად არ კარგავს თავის მნიშვნელობას. პირიქით, ერთმანეთს ერკინებიან გუნდები, რომლებიც თავიანთ კონფერენციებში საუკეთესონი იყვნენ როგორც პლეი ოფში, ასევე რეგულარულ ჩემპიონატში. რეგულარულში გუნდები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და თითო-თითოჯერ იმარჯვეს საკუთარ კედლებში. ახლა „ლეიკერსს“ მოედნის უპირატესობაც აქვს, შინ მეტი თამაში უწევს. ერთი სიტყვით, „ლეიკერსი“ საჩემპიონოდ შემართულა და ვინც ამაში ხელს შეუშლის, არავის დაინდობს.

მაგრამ აკმაყოფილებთ თუ არა ლარი ბერდის ბიჭებს ჩვენში კარგად ნაცნობი ოლიმპიური პრინციპი — მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება? ვფიქრობთ არა, „მარდებს“ ჩემპიონობა ამოუჭრიათ გულში და ამისთვის ყველაფერს გაიღებენ. ცოტა ძნელი წარმოსადგენია, ეს მებრძოლი გუნდი მხოლოდ ფინალში გასვლით დაკმაყოფილდეს და საკრივო ტომარის როლს დასჯერდეს. მოხნავს თუ არა „ლეიკერსის“ ძალა „ინდიანას“ აღმართს, ეს სულ მალე, ორიოდ კვირაში გადაწყდება. წინ ფინალია.

ირაკლი ფირაჯვილი

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

შვეიცარია. მე-14 ტური
7 ივნისი

001	ბაზელი-ლოზანა	1,9	2,9	3,6
002	ქსამაქსი-ლუცერნი	2,2	2,9	3,0
003	სენტ გალენი-გრასჰოპერი	1,7	3,1	4,4
004	ივერდონი-სერვეტი	2,5	2,9	2,5

რუსეთი. მე-11 ტური
8 ივნისი

005	ანჟი-ცსკა	2,1	2,9	3,2
006	ნ.ნოვგოროდი-როტორი	2,3	2,9	2,8
007	დინამო-ფაკელი	1,5	3,1	7,0
008	სატურნი-სპარტაკი	6,5	3,2	1,5
009	ჩერნომორეცი-კრილია	1,6	2,9	6,0
010	ტორპედო-ლოკომოტივი	2,5	2,9	2,5
011	ზენიტი-ურალანი	1,6	2,9	6,0
012	როსტსელმაში-ალანია	1,9	2,9	3,6

ამხანაგური მატჩები
7 ივნისი

014	ლუქსემბურგი-ესპანეთი	8,0	4,4	1,25

ტურნირი აშშ-ში
7 ივნისი

017	მექსიკა-სამხრეთ აფრიკა	1,6	3,1	5,3

ჰოკეი
8 ივნისი

018	ნიუ ჯერსი- დალასი	1,7	4,0	2,4

კალათბურთი

019

ევროპის ჩემპიონატი

ჩემპიონი/ფინალში გასვლა

101	ჰოლანდია	3,7
102	იტალია	4,0
103	ინგლისი	4,0
104	გერმანია	5,0
105	საფრანგეთი	6,0
106	ესპანეთი	7,0
107	ბელგია	10,0
108	იუგოსლავია	15,0
109	ნორვეგია	15,0
110	ჩეხეთი	15,0
111	შვედეთი	20,0
112	პორტუგალია	20,0
113	დანია	30,0
114	რუმინეთი	40,0
115	თურქეთი	50,0
116	სლოვენია	100,0

201	ჰოლანდია	2,0
202	იტალია	2,5
203	ინგლისი	2,5
204	გერმანია	3,0
205	საფრანგეთი	3,5
206	ესპანეთი	3,5
207	ბელგია	5,0
208	იუგოსლავია	7,0
209	ნორვეგია	7,0
210	ჩეხეთი	7,0
211	შვედეთი	10,0
212	პორტუგალია	10,0
213	დანია	15,0
214	რუმინეთი	20,0
215	თურქეთი	25,0
216	სლოვენია	50,0

(დასაშვებია ორი გუნდის გადამრავლება)

ჯგუფში I ადგილი/ჯგუფიდან გასვლა

301	ინგლისი	1,9
302	გერმანია	1,9
303	პორტუგალია	5,0
304	რუმინეთი	8,0
305	იტალია	1,8
306	ბელგია	2,5
307	შვედეთი	3,5
308	თურქეთი	10,0
309	ესპანეთი	1,9
310	იუგოსლავია	3,0
311	ნორვეგია	3,0
312	სლოვენია	15,0
313	ჰოლანდია	1,7
314	საფრანგეთი	2,5
315	ჩეხეთი	4,0
316	დანია	9,0

401	ინგლისი	1,2
402	გერმანია	1,25
403	პორტუგალია	2,5
404	რუმინეთი	3,5
405	იტალია	1,3
406	ბელგია	1,6
407	შვედეთი	2,0
408	თურქეთი	4,0
409	ესპანეთი	1,3
410	იუგოსლავია	1,8
411	ნორვეგია	1,8
412	სლოვენია	6,0
413	ჰოლანდია	1,15
414	საფრანგეთი	1,6
415	ჩეხეთი	2,2
416	დანია	4,0

(დასაშვებია სხვადასხვა ჯგუფის გამარჯვებულების გადამრავლება)

(დასაშვებია გადამრავლება არაუმეტეს ორი გუნდისა თითოეული ჯგუფიდან)

გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ერთი და იმავე სახის ფსონების
(მაგ: ჯგუფიდან გასვლა მრავლდება მხოლოდ ჯგუფიდან გასვლაზე და ა.შ.)

რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ იმუშავებს „კროკოს“ ბიურო.
განახლებული ფილიალის მისამართია: შარტავას 7.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



REUTERS მარცვლ ეროვნული ბიბლიოთეკიდან

შუმის ბოლოდიც და ხასიათიც გაუფუჭდა

შუმის პირველად გაუტყდა

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

მიხაელ შუმახერის მარცხს მონაკოს დიდი პრიზის გათამაშებაში, ცხადია, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ალბათ, იმაზე მეტიც კი, რასაც გამარჯვება გამოიწვევდა. ლიდერის ნულოვანმა შედეგმა შესამჩნევად გამოაცოცხლა „მაკლარენებიც“ და მათი ყურებჩამოყრილი ფანებიც. წლეულს პირველად მოხდა, რომ შუმის „ფერარიმ“ ფინიშამდე ვერ მიაღწია.

არადა, თავიდანვე დაწინაურებული გერმანელი პილოტი ყოველ წრეზე აუმჯობესებდა სიჩქარის რეკორდს და უკვე შუა დისტანციაზე უმთავრესი კონკურენტი მიკა ჰაკინენი 35 წამით ჩამოიტოვა უკან. მოგებაში მას ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ მონტე კარლოს ურთულეს ტრასაზე ასეთ ქროლას რკინამ ვერ გაუძლო და ბორბლის შეკიდულობა გატყდა. თავიდან წინა ღერძი ეგონათ, მაგრამ დაზიანებული აღმოჩნდა უკანა მარცხენა მხარე, რასაც მექანიკოსებმა ვერაფერი უშველეს და შუმახერმაც რბოლა ვეღარ გააგრძელა. ავარია ერთ-ერთი გამოსაბოლქვი მილის გახეთქვამ გამოიწვია, რის გამოც ცხელი აირების ნაკადი სწორედ იმ შეკიდულობაზე მიედინებოდა. რკინაც ამიტომ გადახურდა და გატყდა.

ამგვარი უსიამოვნების მიუხედავად, მიხაელი სულაც არ გახლდათ ნირწამხდარი. მისივე თქმით, მართალია, ძალიან ახლოს იყო მორიგ ათ ქულასთან, მაგრამ კარგია, რომ ეს ვერც იმან მოახერხა, ვისაც უპირველეს მოწინააღმდეგედ თვლიდა. თავის მხრივ, არც მიკა ჩანდა უკმაყოფილო, რადგან ორჯერ გადაურჩა რბოლიდან გამოთიშვას ჯერ მუხრუჭების, მერე კი სიჩქარეთა კოლოფის მოშლის გამო და ასეთ სიტუაციაში ფინიშამდე მიღწევა და ქულის შოვნაც დიდი საქმეა.

მონტე კარლოში უმცროსი შუმახერიც დაითარსა. სტარტის შემდგომ პირველივე მოსახვევში მისი „უილიამსი“ ჭუჭყიან გზაზე მოსრიალდა და რკინის ბარიერს მიემსხვრა. რალფს მარცხენა ფეხი სერიოზულად დაუშავდა — შვიდსანტიმეტრიან ჭრილობაზე რამდენიმე ნაკერი დაადეს. ტრავმის მოშუშებას ათი დღე მაინც დასჭირდება, მომდევნო ეტაპი კი ორ კვირაში შედგება. ამიტომ არაა გამორიცხული, რომ პატარა შუმიმ კანადური რაუნდი გამოტოვოს. სერ ფრენკ უილიამსი გერმანელი მრბოლის შემცვლელად ოკეანის გაღმიდან „კარტის“ ჩემპიონ ხუან მონტოიას მიწვევას აპირებს. თუმცა საეჭვოა, ინდი 500-ის გამარჯვებული ერთ სეზონში მეორე ფრონტზეც გამოჩნდეს. თუ საჭირო გახდა, რალფ შუმახერის ადგილს, ალბათ, „უილიამსის“ ოფიციალური ტესტ-პილოტი, ფორმულა 3000-ის წლევანდელი პირველობის ლიდერი, ბრაზილიელი ბრუნო ჟუნკეირა დაიკავებს.

ირაკლი ნიკოლაძე

ავილა ფოლკსვაგენმა იმსხვერპლა

ცუდი ამბავი მოვიდა მექსიკიდან. გუშინ ველოსიპედიანი ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა. 25 წლის ფერნანდო ავილა მექსიკის გარეუბნის ციცაბო ადგილებზე ათ სხვა სპორტსმენთან ერთად ვარჯიშობდა, როცა მანქანა დაეჯახა. მექსიკის ველოსპორტის ფედერაციის ცნობით, შავი „ფოლკსვაგენი“ მაღალი სიჩქარით მრბოლი ფერნანდოს ველოსიპედს უკანა ბორბალზე დაეჯახა, იგი ქვაფენილზე გადატყორცნა და თავი სასიკვდილოდ დაუზიანა.

ავილას საშობლოს ღირსება გერმანიის, კოლუმბიის, ესპანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ველოტრასებზე დაუცავს. იგი ბიდნეის ოლიმპიადაზე გამოსაყვანადაც ჰყავდათ შეგულებული.

დავით გულუა

ჩიბურდანიძემ თეთრი მანდილი ჩააგდო

ბათუმში მიმდინარი ქალ მოჭადრაკეთა ევროპის პირადი პირველობის ერთი ფინალისტი უკვე გაირკვა. უკრაინელ ნატალია ჟუკოვას ნახევარფინალის დარჩენილ ორ პარტიაში კინკილა ყაიმიც ჰყოფნიდა და რუს ტატიანა სტეპოვაისთან მესამე შეხვედრის მშვიდობიანი კალაპოტით წარმართვა სცადა, რაც გამოუვიდა კიდეც. დაფაზე საკმაოდ თანაბარი პოზიცია შეიქმნა. სტეპოვაია წაგების ტოლფას ყაიმს არ ურიგდებოდა და ენერგიულად იბრძოდა, თუმცა ერთ მომენტში იდენტური პოზიციის სამჯერ გამეორება ვერ შენიშნა. სამაგიეროდ, ჟუკოვამ მაშინვე მსაჯს დაუძახა, ამ უკანასკნელმა კი ჭეშმარიტების დასაზუსტებლად ტურნირის მთავარი და ცნობილი არბიტრი, კურტ გიისენი იხმო. საჭადრაკო მოსამართლეებმა ჟუკოვას სიმართლე სცნეს და ფინალში გასულად აღიარეს. სხვაზე თუ საკუთარ თავზე გაბრაზებულმა სტეპოვაიამ ბათუმის ჭადრაკის სასახლე დატოვა. 21 წლის ჟუკოვა, გოგონებში ევროპის ორგზისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, პირველი ფინალისტია, მისი მეტოქის ვინაობა კი იქნებ დღესაც ვერ დადგინდეს. მეოთხე პარტიის წინ მაია ჩიბურდანიძესა და რუს ეკატერინა კოვალევსკაიას შორის ანგარიშში სრული წონასწორობაა. მათი მესამე პარტია ხეირიანად არც გახურებულიყო, როცა მაიამ მეტოქეს ყაიმი შესთავაზა და დასტურიც მიიღო. ანგარიშია 1,5:1,5 და სტანდარტული ჭადრაკის ბოლო პარტიაში თეთრებით რუსი მოჭადრაკე ითამაშებს.

დავით გულუა

ლოზანაში მტრედია

სამარანჩი კორეელებს სპორტით აერთიანებს

ანტიპური ოლიმპიური თამაშებისას მეომარი ქვეყნები ზავდებოდნენ. მტრადმოკიდებული სახელმწიფოები ყრიდნენ იარაღს და საასპარეზოდ მიემართებოდნენ, თანაც ისე, რომ დაუბრკოლებლად შეეძლოთ მოქიშპე ქვეყნის გზებზე გავლა.

მართალია, დღეს ჩრდილო და სამხრეთკორეელები არ ომობენ, მაგრამ ერთმანეთს რომ წაკიდებულები არიან, ფაქტია.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა სეულში ვიზიტისას უწმეულო წინადადებით მიმართა ჩრდილო და სამხრეთ კორეის ხელისუფალთ, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე გაერთიანებული გუნდი გაგზავნეთო. საამსაქმოდ სამარანჩმა ორივე სახელმწიფოს ივნისში შეხვედრა-მოლაპარაკება შესთავაზა.

სამხრეთ კორეის პრეზიდენტ კიმ დაე-იუნგისადმი მიმართვაში სამარანჩი იმედს გამოთქვამს, რომ 12-14 ივნისის სამიტი ორად გაყოფილ ნახევარკუნძულზე მშვიდობის დამყარებას შეუწყობს ხელს. გამოთქვა სურვილიც, რომ 2001 წელს იაპონიაში გასამართ მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე კორეელები გაერთიანებული გუნდით გამოვიდნენ.

ხუან ანტონიო სამარანჩი: შერიგდით, კორეელებო!

ჩვენი წინადადების მიღებით თქვენ დიდ სამსახურს გაუწევთ ოლიმპიურ მოძრაობას და მშვიდობას — შეაგულიანა სამარანჩმა კორეელები.

საინტერესოა, რომ სამხრეთ კორეა დაინტერესებულია ფეხბურთში 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაერთიანებული ნაკრებით გამოსვლაშიც.

გაერთიანებული გუნდით ეს ერი 1990 წელსაც გამოსულა ახალგაზრდა მაგიდის ჩოგბურთელთა და ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატებზე, თუმცა ასეთი გაცვლა-გამოცვლა პოლიტიკური და სამხედრო დაძაბულობის გამო აღარ მომხდარა.

სამხრეთ კორეის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი კიმ იუნ იონგი არ გამორიცხავს, რომ ჩრდილო და სამხრეთკორეელები სიდნეის ოლიმპიადის საზეიმო გახსნის ცერემონიალზე ხელიხელჩაკიდებულები ოლიმპიური დროშის თანხლებით გამოვიდნენ.

გიგა გურასაშვილი

ინგემ კასიჩს ეჭვის ჭია გაუჩინა

ორშაბათს ავსტრალიის მოცურავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დონ ტელბოტმა ეჭვიანად თქვა, ინგე დე ბრუინი ბოლოხანს ერთობ ხშირად ამყარებს მსოფლიოს რეკორდებსო. ჰოლანდიელმა მსოფლიო ბრიტანულ შეფილდში ოთხი უმაღლესი შედეგის ჩვენებას არ დააჯერა და თავისი ქვეყნის ეროვნულ პირველობაზე ერთხელაც დაიქუხა. დე ბრუინს უეჭველად გულს სწყვეტდა ის გარემოება, რომ 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჩინელი ლე ჯინგუის მიერ 1994 წელს დამყარებული მსოფლიოს რეკორდი, ამას წინათ მხოლოდ გაიმეორა (შეფილდში), ამიტომ წინა უქმეებზე ამსტერდამში ხსენებული დისტანცია ორმაგი მონდომებით გაცურა და, რომ იტყვიან, შედეგიც სასურველი მოიმკო. მისი მოსავალი 24,48 წამი გახლავთ, რაც წინა მსოფლიოს რეკორდზე წამის მეასედით მეტია, ანუ ლი ჯინგუი ახლა ყველა სტილსა და დისტანციაზე ცურვის ისტორიის არქივს ეკუთვნის, დე ბრუინი კი 26 წლისა ფაქტობრივად, მსოფლიოს ნომერ პირველი მოცურავე ქალია, წინ კი სიდნეის ოლიმპიადა და ოქროს მედლისთვის ბრძოლაა. იქ ჰოლანდიელს ძლავრი კონკურენტები ეყოლება, ცალკე ამერიკელი ჯენი თომპსონი და შვედი ტერეზა ალსამარიც, რომელმაც ნახსენები ლი ჯინგუის რეკორდები 50 და 100 მეტრიან დისტანციაზე მოკლე აუზებში დამხო. ამდენად, დე ბრუინი ფრთხილადაა: „მე ბედნიერი ვიქნები, სიდნეში პოდიუმზე შედგომა თუ მოვახერხე, თუმცა ამის იმედი სხვებსაც შეუძლიათ ჰქონდეთ. შევეცდები ჩემი გავაკეთო.“

ინგე დე ბრუინი

დავუბრუნდეთ ტელბოტის ეჭვებს, თუმც ისინი არამარტო ოზთა დამრიგებელს აწუხებს. კულულარებში მრავალ სპეციალისტს დაუჭურჭულია, დე ბრუინის რეკორდებს სიყალბის სუნი დაჰკრავთო და ხმა მხოლოდ ტელბოტმა აიმაღლა, თუმცა მას რამე კონკრეტული არ უთქვამს, მხოლოდ განაცხადა, მომხდარით გაოცებული ვარო.

მართლაც, ისმის კითხვა, დე ბრუინს, რომელსაც 1991 წლიდან მოყოლებული სტამბოლის ევროპირველობის გარდა თავი არსად გამოუჩენია, რა აღმაფრენა ეწვია ასეთი, რეკორდი რეკორდს რომ მიაყოლა? თავად მოცურავე განსაკუთრებულს არ ამბობს და, ყველაფერს ამერიკელი მწვრთნელის ხელში გავლილ წვრთნის ახლებურ სისტემას მიაწერს, ასეც ჩანს, ჯერჯერობით ვერავის ვერაფერი დაუმტკიცებია.

დავით გულუა

იყიდება

ოროთახიანი ბინა დიღმის მასივში, გაზით, ტელეფონით, 30 კვ. მეტრი მიშენებით. 1 სართული, საგარაჟე ადგილით. სარდაფით. მისამართი: დიღმის მასივი, მე-4 კვარტალი მე-19 კორპუსი.

დაგვიკავშირდით: 8 99 51-78-16; 95-88-61; 39-71-98

ანუკ ბარბერი

ტომაშ დვორჟაკი

REUTERS მასალიდან

დვორჟაკი ცხრაათასიანზე ვერ ავიდა

მსოფლიოს ჩემპიონმა და რეკორდსმენმა, ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსანმა, ჩეხმა ათჭიდელმა ტომაშ დვორჟაკმა გუშინწინ რეკორდისთვის ბრძოლაში მარცხი განიცადა, თუმცა ავსტრიულ გეტციისში გამართული ელიტარული ტურნირი დიდი უპირატესობით მოიგო. გეტცისი მრავალჭიდელთა საყვარელი ქალაქია, იქაურ ტურნირში მხოლოდ რჩეულები გამოდიან და აქედან გამომდინარე, „მრავალჭიდელთა მექაც“ სამართლიანად ჰქვია. დვორჟაკის მთავარი მიზანი 9000 ქულის მოპოვება იყო და, უპირველესად არა იმიტომ, რომ ეს ციფრი მრგვალია. მასვე ეკუთვნის არსებული რეკორდი, რომელიც 8995 ქულას შეადგენს და ის 9 ათასი ახალი მსოფლიო მიღწევა იქნებოდა. დვორჟაკის ყულაბაში მხოლოდ 8900 ქულა მოგროვდა, მეორე ადგილზე მისივე თვისტომი რომან სებრლე გავიდა 8757 ქულით და იმას მხოლოდ თხუთმეტით ჩამორჩა ესტონელი ერკი ნოოლი.

გეტციისში ქალებიც გაეჯიბრნენ ერთმანეთს. შვიდჭიდში თავიდანვე არავის უეჭვია ფრანგი ანუკ ბარბერის გამარჯვება. შარშანდელმა მსოფლიოს ჩემპიონმა 6842 ქულა დაგროვა და მთელი 329 ქულა მოუგო რუს ნატალია როშჩუპკინას, თუმცა ამ უკანასკნელს სამხიარულოდ უფრო ჰქონდა საქმე — 22 წლის სპორტსმენისთვის მეორე ადგილსაც არა უშავს, რასაც მისგან პირადი რეკორდის დამყარებაც უნდა მივათვალოთ. გერმანელი ვეტერანი საბინე ბრაუნი, ვისაც სამ ოლიმპიადაზე უშვიდჭიდია, ამჯერად მესამე იყო.

ოქროს ლიგა ოქრომ აზარალა

ზარალზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია, მაგრამ ალბათ, მალე რეალური იქნება — რუმინელმა გაბრიელ საბომ „ოქროს ლიგის“ პირველ ორ შეჯიბრში მონაწილეობაზე უარი თქვა, ხოლო რახან ამავე ტურნირის შარშანდელი ტრიუმფატორის (სწორედ საბომ და დანიელმა უილსონ კიპკეტერმა გაიყვეს შვიდივე ეტაპის მომგებთათვის გადადებული მილიონი დოლარი) სანახავად სამძლეოსნო არენებზე ბლომად ხალხი დადის, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პარიზსა და რომში, სადაც ივნისში „ოქროს ლიგის“ საწყისი ეტაპები გაიმართება, უწინდელი ათასის ნაცვლად შეჯიბრს დაესწრება, ვთქვათ, შვიდასი მაყურებელი. მეტი ზარალი რა გინდათ? ახლა კი იმაზე, თუ რამ დაათმობინა სახელოვან რუმინელს ისეთი მსუყე ლუკმა, როგორიც „ოქროს ლიგას“ გახლავთ. არ სახელდება, მაგრამ ერთი მთავარი მიზეზი წლეულს ლიგის საპრიზო ფონდის განახევრება უნდა იყოს: უკვე ვწერდით, როგორ გადაწყვიტეს ორგანიზატორებმა რჩეულად ხტუნვა-სირბილისთვის მძლეოსნების არა მილიონით, არამედ 50 კილო ოქროთი დასაჩუქრება. ვერავის სჭირს თვალს კეთილშობილი ლითონის ელვარებას, მაინც ჩანს, რომ ამდენი ოქრო მილიონის ნახევარზე მეტს არ ფასობს. ცხადია, საბო კმაყოფილი ვერ იქნება, ოღონდ ოფიციალურად გავრცელებულ ცნობაში ის სულ სხვა რამეს იმიზეზებს, კერძოდ, სიდნეის ოლიმპიადაზე გარანტირებულად წასვლის სურვილსა და გადაღლილობას. „ხუთი წელია, გაბრიელას არც ერთი დიდი შეჯიბრი არ გამოუტოვებია — თქვა მძლეოსნის მზრუნველმა მწვრთნელმა და მეუღლემ, ზოლტ გაონგიოსიმ — გადაღლა ძლიერ ეტყობა და დასვენება უნდა“. დაისვენებს კიდეც. ახლა საბო სამხრეთ ამერიკაშია, სადაც მსუბუქად ვარჯიშობს. იქ ორიოდე კვირას დაჰყოფს, მერე კი ივლისის შუაწლამდე ოჯახური იდილიით დატკბება და შავი ზღვის პლაჟზე გაინავარდებს. 15-16 ივლისს საბო უკვე ბრიტანეთს ეწვევა და გეიტშედის ბილიკებზე (ქალაქია ნიუკასლის ქვემოთ) რუმინეთის ღირსებას დაიცავს. იქ ევროპის თასი უნდა გათამაშდეს.



გაბრიელა საბო

დავით გულუა

მაგნუსი გადასახლებაში



REUTERS პარი ზიდან

მაგნუს ნორმანი

ორშაბათს როლან გაროსს ისევ შეუჩერებლად აწვიმდა და ამ დღისთვის დანიშნული კაცების ოთხი მერვედფინალიდანაც მხოლოდ ორი დასრულდა.

წესით, მოთამაშეები კორტზე საერთოდ არ უნდა გასულიყვნენ, რადგან იმ მცირერიცხოვანი შეხვედრების დროსაც თავსხმას წუთითაც არ გადაუღია, მაგრამ ორგანიზატორებს, ეტყობა, დიდი ფინანსური ზარალის შეეშინდათ — წინა კვირაში ხომ ბილეთების ფულის უკან დაბრუნებით მათ მილიონ დოლარზე მეტი დაკარგეს.

მსოფლიოს პირველ-მეორე ჩოგნების, ანდრე აგასისა და პიტ სამპრასის გავარდნის შემდეგ მაგნუს ნორმანი ტურნირის უმაღლესი შემორჩენილი განთესილია (3), მაგრამ პარიზში მას აინუშშიც არავინ აგდებს. მესამე წრის შეხვედრისთვის სომეხ სარგის სარგისიანთან ის სულაც მეათე კორტზე გამწესეს, რამაც ძალიან აღაშფოთა, ბარემ ბულონის ტყეში გაგეშვითო.

წლევანდელი შედეგების მიხედვით „ჩემპიონთა რბოლა 2000“-ში პირველ ადგილზე მყოფი შვედს ჭრილობაზე მარილი მერვედფინალის მეტოქემ, ანდრეი მედვედევმა მოაყარა, რომელმაც მას „ეგრეთ წოდებული პირველი ჩოგანი“ უწოდა: „ჩვენთვის, ყველა მოთამაშისთვის გასახდელში, ამჟამად საუკეთესო ჩოგბურთელი ანდრე აგასია. ATP ტური კი ამტკიცებს, რომ პირველი ნორმანია, მაგრამ ჩვენ ამას ყურადღებასაც არ ვაქცევთ“.

მოკლედ, ქერა სკანდინავიელს, რომელსაც ცენტრალური კორტი ამჯერადაც არ აღირსეს და სიდიდით მეორე, სიუზან ლენგლენის სახელობისაზე გაუშვეს, ბევრი რამ უნდა დაემტკიცებინა და მრავალთათვის პასუხი გაეცა.

ავდარმა ნორმანის საბრძოლო განწყობას ვერაფერი დააკლო, მან თავიდანვე დაჩაგრა საფრანგეთის ღია პირველობის შარშანდელი ფინალისტი და პირველი სეტი სულ 20 წუთში, მშრალად მოიგო. მედვედევმა მასში მხოლოდ ექვსი ქულა მიითვალა და მაყურებლებს სტვენის მეტს ვერაფერს გამორჩა.

„დღეს არაფერი გამომდიოდა. როდესაც ხალხი მისტვენდა, ხელებით ვანიშნებდი, უფრო ხმამაღლა-მეთქი. მინდოდა, გავნერვიულებულიყავი და მეტად მომნდომებინა, მაგრამ რატომღაც ისინი უმალ დადუმდნენ“.

უკრაინელმა ნორმანს მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა მეორე ხელში გაუწია, მესამეში კი სწრაფად ჩამორჩა და ველარც წვიმით გამოწვეული ორსაათნახევრიანი შესვენებით იხეირა — 6:0, 6:4, 6:2 შვედის სასარგებლოდ.

მატჩის შემდეგ შერცხვენილი მედვედევი მეტოქეზე სულ სხვანაირად ალაპარაკდა: „ის აშკარად იმსახურებს იმას, რომ ამ წუთისთვის ნომერ პირველი დაუძახონ. მას კარგი მოწოდება აქვს, სწრაფია და ყურადღებაც არასოდეს ეფანტება. სულაც არ არის აუცილებელი, რაიმე განსაკუთრებულ დარტყმას ფლობდე და ყველასგან გამოირჩეოდე, ის ყველა კომპონენტში საშუალოზე გაცილებით უკეთესია. უკვე ორჯერ ვეთამაშე, მაგრამ ნაკლი ვერ აღმოვუჩინე“.

ნორმანი ერთადერთია მამაკაც ჩოგბურთელებს შორის, რომელსაც ჯერჯერობით ერთი სეტიც არ წაუგია, ის კი არა, ტაი-ბრეიკამდეც კი არ მიუყვანია საქმე. ის საქმით ამტკიცებს საკუთარ ძალას და ნაკლებად ანაღვლებს ის, რომ მერვედფინალში ათასობით მაყურებლისგან სულ ორი თანამემამულე გულშემატკივრობდა ტრიბუნებზე.

„კიდევ კარგი, რომ ის ორი შვედი მაინც მიჭერდა მხარს, სულ მარტოდ აღარ მიგრძვნია თავი. უკვე მივეჩვიე, რომ ცენტრალურ კორტზე არ მათამაშებენ. ვინ იცის, იქნებ მომდევნო შეხვედრაზე დამდონ პატივი — სარკასტულად აღნიშნა შვედმა — ახლა საუკეთესო ფორმაში ვარ. გიჟივით დღეში 6 საათს ვვარჯიშობ იმისთვის, რომ დიდი სლემის ტურნირი მოვიგო და ახლოს ვარ ოცნების ასრულებასთან“.

ნორმანს პირველად ზორბა მარატ საფინი გადაეღობება წინ — 20 წლის რუსმა მერვედფინალში ტურნირს შემორჩენილი უკანასკნელი ფრანგი მამაკაცი, სედრიკ პიოლინი გამოთიშა ასპარეზობას.

ვეტერანმა ფრანგმა და მისმა მხარდამჭერთა არმიამ მხოლოდ მეორე სეტში მოახერხეს საფინის წყობიდან გამოყვანა. ამას გარდა კი რუსი მეტად მძლავრად და სტაბილურად თამაშობდა, ეისებსაც ყველაზე საჭირო მომენტებში აწოდებდა და ხელი მაშინაც არ აკანკალებია, მეოთხე ხელში 4:5-ზე სამი სეტ-პოინტის გადარჩენა რომ მოუხდა.

საფინმა საბოლოოდ 6:4, 1:6, 6:3, 7:5 მოიგო და ფრანგებს ბოდიშიც კი მოუხადა მათი ჯილის გაგდებისთვის: „მადლობა მაყურებლებს, რომლებიც პიოლინს ასე ერთგულად ქომაგობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ გვარიანად მანერვიულეს. ძალიან ვწუხვარ, რომ სედრიკი დავამარცხე, მაგრამ რომელიმე ჩვენგანს ხომ უნდა მოეგო. ეს ჩემი პირველი მეოთხედფინალია დიდი სლემის ტურნირებზე და უსაშველოდ მიხარია.“

30 წლის პიოლინი თავისიანებს გაისად დაბრუნებას დაჰპირდა, მეტოქეს კი ქება არ დააკლო: „საფინი უბრალოდ მაოცებს. თუ ის ასევე გააგრძელებს თამაშს, ძალიან, ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწევს. თითქმის ყველა მისი დარტყმა ხაზების ახლოს ეცემა და შეხვედრაში ერთი წამით მოდუნების შესაძლებლობასაც არ გაძლევს.“

კაცები. მერვედფინალი: ზრანკო სპილარი (არგენტინა) — იუნეს ელ აინაუა (15, მაროკო) 6:4, 6:1, 6:3; ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (9, ავსტრალია) 6:3, 4:6, 6:2, 6:4.

არანჩა სანჩეს-ვიკარიო მთელი წლის განმავლობაში ერთი ტურნირის — საფრანგეთის ღია პირველობის მოლოდინშია. სხვაგან შეიძლება თავი ვერაფრით გამოიჩინოს, მაგრამ აქ, პარიზში, მის მხარდასაჭერად მთელი ნათესავ-მეგობრობა, ორფეხები და ოთხფეხები ჩადიან და მას თითქოს წაგების უფლებაც არა აქვს.

„როლან გაროსი ჩემთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის თითქოს ძალსა და გამძლეობას მმატებს. ასე თავს სხვაგან არსად არ ვგრძნობ“ — მართებულად აღნიშნა არანჩამ საყვარელი ტურნირის ნახევარფინალში კარიერაში მეათედ გასვლის შემდეგ.

ესპანელის გუშინდელ მეტოქეს, შავკანიან ვინუს უილიამსს, მოწოდებაც უფრო მძლავრი აქვს და ფორჰენდბექჰენდებიც, ჯან-ღონით ხომ „ტერიერად“ წოდებულ არანჩას სასტიკად ჩაგრავს, მაგრამ თიხნარზე ყველაფერი ზემოხსენებულის გარდა ტვინი და ბოლომდე მებრძოლის ხასიათიც უნდა გქონდეს, რაშიც სამგზის ჩემპიონს ბევრი ვერავინ გაეჯიბრება.

მთელი მატჩის მანძილზე არანჩა მეტრონომივით დაქროდა კორტის ერთი კიდიდან მეორეში, ყველა ბურთს უსწრებდა და ჭკვიანური აბრაგნით ან ვერაგული შემოკლებულით ხშირად აბრიყვებდა გულუბრყვილო უილიამსს.

დაძაბული, შეცდომებით სავსე შეხვედრის ბოლოს გამარჯვების ნიშნად, სავსებით დამსახურებულად, ხელები სწორედ სანჩეს-ვიკარიომ აწია — 6:0, 1:6, 6:2: „ვიცოდი, მოგების მცირე შანსი მაინც რომ მქონოდა, ბურთები უკანა ხაზებთან ახლოს და არცთუ სუსტად უნდა დამერტყა. ეს წარმატებითაც მოვახერხე.“

ვინუსმა კი ხელებიღა გაასავსავა: „მან კარგად ითამაშა... ძალიან კარგად.“

ქალები. მეოთხედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:1, 6:3.

ავთანდილ სვანიძე



REUTERS პარი ზიდან

არანჩა სანჩეს ვიკარიო

სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინუს უილიამსი

პარიზში წინა სტუმრობების დროს ვინუს უილიამსი ლამის ყველა მაღაზიაში შეივლიდა და ათას წვრილმანს, საჭირო თუ არასაჭირო ნივთს ყიდულობდა. ამჯერად საქმე სულ სხვაგვარადაა.

„საყიდლებზე სიარული ავიკრძალე. მხოლოდ იმის შეძენის უფლება მაქვს, რაც მართლა მჭირდება. ეს ყველაფერი კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა. შინ იმხელა ანგარიშები მომდიოდა, რომ მარტო შეხედვაც კი კაცს გულს გაუხეთქავდა.“

ასე რომ, უფროსი უილიამსი სამაღაზიო მარხვაზეა და ჯერჯერობით მხოლოდ კაბა და საფულე შეიძინა, რომელსაც ბარაქიანად გამოტენინს, თუ როლან გაროსზე წარმატებით ითამაშებს.

ვინუსს ერთი უსიამოვნო ამბავი პარიზში მაინც შეემთხვა — თავისი სპორტული მინი-კაბების კოლექციიდან ორი ყვითელი ფერის მოდელი დაეკარგა: „ისინი სამრეცხაოში მიმქონდა. გზად მანქანის შეცვლა მომიხდა და კაბების საბარგულიდან ამოღება დამავიწყდა. სამწუხაროდ, მძღოლს მათი დაბრუნება არც უფიქრია.“

თუმცა უილიამსი საამისოდ თავის სპონსორს, „რიბოკს“, ცხადია, არ შეაწუხებს. მას კიდევ 10 ასეთივე „მინი“ აქვს, თან სულ სხვადასხვა ფერის — თეთრი, წითელი, ცისფერი და ატმისფერი.

ვინუს უილიამსი მარტო სუპერმარკეტებში როდი დადის, მას საქმეები ისედაც თავზე საყრელად აქვს.

შავკანიანი ამერიკელი გამალებით ეუფლება ფრანგულს, რათა შაბათს დაჯილდოების ცერემონიალზე პარიზულ საზოგადოებას მათ შშობლიურ ენაზე მიმართოს. რა თქმა უნდა, შეიძლება ვინუსი ფინალში სულაც ვერ გავიდეს, მაგრამ თადარიგის დაჭერისთვის მაინც ქების ღირსია.

* * *

ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ: „საფრანგეთის ღია პირველობაზე თამაში მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის“.

თიხნარის დიდი სლემის ტურნირი „მეიჯორების“ მონაწილეთაგან ყველაზე მეტ ფიზიკურ დატვირთვას ითხოვს, მაგრამ წლეულს ტრავმიანობამ მაინც ყველა რეკორდი მოხსნა — ამა თუ იმ ავადმყოფობას ათეულობით მოთამაშე უჩიოდა, სამედიცინო დახმარება მატჩების დროს ლამის ყოველ მეორე ჩოგბურთელს დასჭირდა, როლან გაროსზე მომუშავე ერთ-ერთმა ექიმმა კი ამდენი სირბილისგან თავად დაიშავა ფეხი.

მაშ, დავიწყოთ: მარსელო რიოსმა ვერ გააგრძელა ტომი ჰაასთან შეხვედრა, არგენტინელ ერნან გუმისა და იტალიელ დავიდე სანგვინეტის კი გულისრევის შეგრძნებამ ვერ ჩაამთავრებინა მატჩები.

შვეიცარიელებმა — როჯერ ფედერერმა და მიხალ კრატოხვილმა მესამე წრეში ოთხსაათნახევარი იბრძოლეს, მერე კი ერთხმად დაიჩივლეს, რომ კორტზე რწყევას სულ ცოტა დააკლდათ. კოლუმბიელი ფაბიოლა ზულუაგა მეთექვსმეტედფინალში კუჭის აშლილობამ დააღალატა, მონიკა სელეში კი ახლაც ანტიბიოტიკებით მკურნალობს ბრონქიტსა და სურდოს.

შარშანდელი ჩემპიონის, ანდრე აგასისა და ეკვადორელი ნიკოლას ლაპენტის ამბიციებს უბრალო კოჭრებმა ჩასცა ლახვარი, ავსტრალიელ ენდრიუ ილის კი მარატ საფინის გამწარებაში მაჯის კრუნჩხვებმა შეუშალა ხელი.

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ლინდსი დევენპორტმა პირველივე წრეში მოურჩენელი ზურგის ტრავმა გაიმიზეზა, იაპონელმა რიკა ჰირაკიმ კი წყვილების შეჯიბრში კოჭი გადაიტრიალა. მოდიდან გადავიდა ადრე საოცრად პოპულარული მუხლის პრობლემები — ამ მიზეზით ტურნირმა მხოლოდ ჯეისონ სტოლტენბერგი და მარიანო პუერტა მოისაკლისა.

* * *

ანდრეი მედვედევის ჭრელა-ჭრელა და ფართხუნა შორტები ბოლო ორი წელია, არაერთი ირონიული შენიშვნის მიზეზი გამხდარა, მაგრამ უკრაინელი მათ მაინც არ იშორებს.

„ცრურწმენა აქ არაფერ შუაშია. მე არ მწამს მსგავსი სისულელეების. რატომ უნდა ვჭამო მუდმივად ერთი და იგივე რესტორანში (გორან ივანიშევიჩი) ან რად არ უნდა მოვიპარსო მთელი ტურნირის განმავლობაში წვერი (ევგენი კაფელნიკოვი), თუ კორტზე ყველაფერი ჩემს თამაშზეა დამოკიდებული?“

მედვედევმა რამდენიმე კვირის წინ, თავისი ახლო მეგობრის კუთვნილ გერმანულ ფირმა „ვისმანთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი და ჰამბურგში თავიდან ბოლომდე თეთრ სამოსში იყო გამოწყობილი, თუმცა პარიზში ისევ ძველი გარდერობით გამოცხადდა.

მიზეზი მარტივია: „ყველაფერი ჩემი დიდი და გასიებული უკანალის ბრალია. კომფორტულად თავს ვერც ერთ შორტში ვგრძნობ და ამ ფართოების ტარება მიხდება“.

იქნებ უკრაინელი მოდას ფეხს (ან უკანალს) მართლაც ვერ უწყობს, მაგრამ ქომაგთა ნაკლებობას მაინც არ უჩივის — თუ შარშან მის მხარდასაჭერად ლეგენდარული სერგეი ბუბკა ჩავიდა პარიზში, ამჯერად ანდრეის ტრიბუნებიდან არანაკლებ ცნობილი თანამემამულე და სეხნია, „მილანელი“ ანდრეი შევჩენკო გულშემატკივრობდა.

უკრაინელი ფეხბურთელის გარდა, თავიანთი ჯილების სანახავად „როლან გაროსის“ კორტებს, წლეულს მსოფლიოს ჩემპიონები, ზინედინ ზიდანი და ფრანკ ლებეფიც სტუმრობდნენ.

თბილისი
6 ივნისი

ლოკომოტივი 1 24:5 (17:0) ასკ

ლოკომოტივი 1: ჩადუნელი, ჯიბლაძე (თოფურიძე), მაჭუტაძე (ბერიაშვილი, აფაქიძე), ხუადე (ბურდული), მოგელაძე, სორდია (ცხომელიძე), გიორგაძე, კახიანი, სარიშვილი, ჯვინიძე, სუთიაშვილი, ცხადაია, ალანია, ძნელაძე, მათიაშვილი
3 ლ — ძნელაძე, ალანია
3 გ — ჯვინიძაიძე
1 ს — ჯვინიძიძე
ასკ: მაისურაძე, სუჯაშვილი, ქავთარაძე, ჭელიძე, მათიაშვილი, სვანიძე, ცხადაძე, მაგრაქველიძე (ვალიშვილი), სამხარაძე, მაღრაძე, კოდუა, ბალანშივაძე (სულთანიშვილი), კაპანაძე, მინაშვილი (მენგელია), ჯიანაძე
1 ლ — სუჯაშვილი
ტუფალეური: გ. ბაბაშიძე
მსაჯი: რ. სანბლიძე

უპრემიოდ

ამ მატჩში ფავორიტად რკინიგზელები ითვლებოდნენ. „ლოკომოტივი 1“ შემადგენლობითაც და კლასითაც გაცილებით სოლიდურად გამოიყურება, ვიდრე ასკ. მატჩი თავიდანვე მასპინძელთა იერიშებით დაიწყო, თუმც მასპინძლებს პირობითად თუ ვუწოდებთ რკინიგზელებს, რადგან თამაში ასკ-ს სტადიონზე მიმდინარეობდა. უკვე ტაიმის პირველივე წუთებში „ლოკომოტივი 1“-ის მწვავე შეტევა ლელოთი დაგვირგვინდა. კახა ალანიამ რამდენიმე მოწინააღმდეგე ჩამოიტოვა და ძნელაძეს ისეთი პასი გადასცა, მას ლელოს გატანის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ალანიამ იგივე გაიმეორა, ოღონდ ამჯერად თავისივე წამოწყებული შეტევა თავადვე დააგვირგვინა. გამარჯვებულის ვინაობა პირველ ტაიმშივე გაირკვა, მაგრამ საკითხავი ისღა იყო, შეძლებდა თუ არა „ლოკომოტივი 1“ პრემიალური ქულის მოპოვებას. ახალი დებულების თანახმად, პრემიალური ქულა ემატება იმ გუნდს, რომელიც ერთ მატჩში ოთხ ლელოს გაიტანს. რკინიგზელებმა ეს ვერღარ მოახერხეს, თუმც მათ ამისთვის დროც და შესაძლებლობაც ბევრი ჰქონდათ.

ბაჩო სვანიძე

ტესტი
3 ივნისი, ბუენოს აირესი, 25 ათასი მაყურებელი

არგენტინა 34:23 ირლანდია

არგენტინა: კორლეტო, ბარტოლუჩი, სიმონე (კონტეპომი, 68), მირანდა, ალბანეზე, კესადა, პიჩოტი (კაპ.), მარტინი, ლონგო, ფელანი, ალუბი, ლობე, სელსო, მენდესი, რეჯიარდო
3 ლ — კორლეტო (13), მენდესი (74), ბარტოლუჩი (79); 2 გ — კესადა (74, 79); 5 ს — კესადა (39, 48, 63, 67, 78)
ირლანდია: მაკენა (მალინსი, 78), ჰორგანი, ჰენდერსონი, მაგსი, ბიშოპი, ჰამფრიზი (ოგარა, 79), სტრინჯერი, უოლასი, ფოლი (უარდი, 51), ისტერბი, ოკელი, გალვი, ჰეილი (ფითსპატრიკი, 63), ვუდი, კლოჰესი
4 ლ — ოკელი (22), ბიშოპი (45, 80), ჰენდერსონი (49); 1 ს — ჰამფრიზი (71)
მსაჯი: ე. უოტსონი (სამხრეთ აფრიკა)

მარჩელო ლოფრედა ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული „ძველია“ არგენტინაში. მან 70-იანი წლების ბოლოდან 90-იანების მიწურულამდე 80 მატჩი ჩაატარა „პუმებში“. ახლა იგი 41 წლისაა და არგენტინის ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელია. ქვეყანაშიც თითქმის ყველა რაგბის მოყვარული იმედიანადაა და ფიქრობს, რომ მათი გუნდი შარშან მსოფლიოს თასზე ნაჩვენებ თამაშს კიდევ უფრო გააუმჯობესებს. მით უმეტეს, რომ იმ ტურნირის მერე რაგბი არგენტინაში ჩვეულებრივი სპორტი აღარ არის. „პუმებს“ უკვე მთელი ქვეყანა იცნობს. აუგუსტინ პიჩოტსა და გონსალო კესადას ქუჩაშიც კი აჩერებდნენ ხოლმე.

თუმცა იქ რაგბის განვითარებას მაინც ძლიერ ამუხრუჭებს მისი სამოყვარულო სტატუსი. ამის გამო საუკეთესო მოთამაშეები საზღვარგარეთ გარბიან და პროფესიულ კლუბებთან აფორმებენ კონტრაქტს. ირლანდიის დასახვედრად გამოძახებული 37 მორაგბიდან 15 ლეგიონერია. მორკინალი იგნასიო ფერნანდეს-ლობე კი მომავალი სეზონიდან შეუერთდება თვისტომთ — მან ფრანგულ „ბეგლ-ბორდოსთან“ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ლეგიონერთა უმრავლესობა საფრანგეთში თამაშობს. ირლანდიას ოთხი „ფრანგი არგენტინელი“ დაუპირისპირდა: კესადა, ბარტოლუჩი, ალბანეზე და რეჯიარდო.

„არ ვიცოდი, მსოფლიოს თასის შემდეგ რა მეკეთებინა და „ნარბონის“ წინადადებამ სულზე მომისწრო. გუნდში ძალიან კარგი ატმოსფეროა და ირლანდიასთან თამაშის დამთავრებისთანავე იქ დავბრუნდები“ — თქვა კესადამ ტესტამდე.

თვითონ მატჩი კი ძალიან საინტერესო და ლამაზი გამოდგა. ირლანდიელებს მსოფლიოს თასზე მარცხისთვის შურისძიება სწყუროდათ. მაშინ მეოთხედფინალისკენ გზა „მწვანეების“ „თეთრ-ცისფრებმა“ გადაუკეტეს, როცა 20 ოქტომბერს ლანსში 28:24 მოუგეს. რევანში არ შედგა და ამაში მთავარი „დამნაშავე“ აუგუსტინ პიჩოტია.

ინგლისური „ბრისტოლის“ წევრი ნამდვილი კაპიტანივით ირჯებოდა. მან თავისიანების სამივე ლელოში დაიდო წილი, მეორე ტაიმის დასაწყისში კი ირლანდიელ რობ ჰენდერსონს თავის სალელოე მოედანში ჩაუწვა და არგენტინა ლელოს გადაარჩინა.

მე-13 წუთზე პიჩოტმა წამოიწყო შეტევა, რამდენიმე მეტოქეს დაუსხლტა და პატარა აბრაგანი დაჰკიდა მოწინააღმდეგის დაცვის ხაზს უკან. იქ ბურთთან იგნასიო კარლეტო გაჩნდა და მასპინძლები დაწინაურა. თუმცა მალე ანგარიში გათანაბრდა, როცა აუტიდან მოწოდებული ბურთი ირლანდიელებმა მოიგეს და ...ლიმ მეტოქე დაალ... წურულს, როგორც იქნა, კესადამაც გაისწორა სამიზნე და ისტერბის თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენისთვის დანიშნული საჯარიმო ზუსტად შეასრულა — 8:5.

მეორე ნახევარი ირლანდიელთა უპირატესობით დაიწყო, რომელთაც ზურგჭარიც შველოდათ და ოთხწუთიან მონაკვეთში ორი ლელოც გაიტანეს. ამ ორ ლელოს შორის გატანილ საჯარიმოს კესადამ რამდენიმე ხანში კიდევ ორი დაურთო და კვლავ სამხრეთამერიკელები დაწინაურდნენ — 17:15. 71-ე წუთზე „სამყურების“ დამტყმელმა დევიდ ჰამფრიზმა ერთადერთხელ გაახარა თავისიანები და წინ კვლავ ირლანდია გავიდა. როგორც აღმოჩნდა, მატჩში უკანასკნელად.

მერე „პუმებმა“ ისევ გამოაჩინეს ბრჭყალები და პიჩოტი-ბარტოლუჩის აქტიურობის წყალობით ორი წამატებული შეტევაც განახორციელეს. კესადამ ორივე ლელო გარდასახა, ერთი საჯარიმოც გაიტანა და მსაჯის მიერ წამატებულ დროში გატანილმა ბიშოპის ლელომ გამარჯვებულის ვინაობა უკვე ვეღარ შეცვალა.

გაიოზ თალაძვაძე

REUTERS ბუენოს აირესიდან

არგენტინელი ოქტავიო ბარტოლუჩი (ბურთით) ჯასტინ ბიშოპმა და მალკოლმ ოკელიმ (მარჯვნივ) შებოჭეს

წყნარი ოკეანის ჩემპიონატი

მესამე ტური
3 ივნისი

სამოა 31:17 ფიჯი
იაპონია 25:26 ტონგა
აშშ 34:25 კანადა

აშშ	2	2	0	0	2	0	70:46	10
ფიჯი	3	2	0	1	1	0	89:75	9
ტონგა	3	1	0	2	1	1	59:79	6
სამოა	1	1	0	0	1	0	31:17	5
კანადა	2	1	0	1	0	0	54:45	4
იაპონია	3	0	0	3	0	1	68:109	1

მეხუთე გრაფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი შვიდი ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მიკუთვნებული პრემიალური ქულებია

5 ივნისი

დალასი — ნიუ ჯერსი 1:3

დალასი — ნიუ ჯერსი 1:3

0:0 1:0 0:3

1:0 ნუნდაიკი 38'02 (7); 1:1 ბრილინი 42'27 (3); 1:2 მედვენი 44'51 (3); 1:3 რაფალსკი 46'08 (2)

მატჩის ბედი ოთხიოდე წუთში გადაწყდა. მესამე პერიოდში დალასს ცუდი დღე დადგა. სამი დარტყმა, სამი ერთიმორეზე ლამაზი გოლი და ჩემპიონი ფუსკულის პირას აღმოჩნდა. ნიუჯერსელთა სამმა რუსმა სახელოვანი წინააღმდეგების მსგავსად ჩინებული კომბინაცია გაითამაშა. ზონაში შესულმა ალექსანდრ მოგილნიმ დიაგონალური პასი მეტოქეში ჩართულ ვლადიმერ მალახოვს გადასცა, რომელმაც პაუზის შემდეგ პარტნიორი დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა. მოგილნიმაც არ დააყოვნა, დააჭარტყა, დამატებაზე კი ყველას სერგეი ბრილინმა დაასწრო. ეს ყველაფერი ისე ლოგიკურად მოხდა, რომ დალასელთა მეკარეებმა ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მეტოქეს. ორ წუთში მასპინძლებს მიეცათ დაწინაურების შანსი — ერთობ ემოციურმა კოლინ უაიტმა თავი ვერ შეიკავა და გუნდი უმცირესობაში დატოვა. თუმც ჩემპიონს გააზრებული მეტევა არ გამოუვიდა. სამაგიეროდ, ჯონ მედვენი ზედიზედ ორჯერ (!) გაექცა მცველებს. მართალია, პირველ შემთხვევაში კარს აცილა, მაგრამ მეორედ გაუმართლა. გავიდა კიდევ წუთ-ნახევარი და ბრიან რაფალსკი შეიჭრა მასპინძელთა ზონაში, ცრუ მოძრაობით ჩამოიცილა სერგეი ზუბოვი, მერე თვით ბელფორი აიყვანა აბუჩად და შაიბა ფეხებს შუა გაუტარა... დაბნეული მასპინძლები ამ ყველაფერს მხოლოდ თვალს ადევნებდნენ. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ დალასელები კი მიეძალნენ ნიუ ჯერსის კარს, მაგრამ ვეღარაფერს გახდნენ. ის კი არა, მაყურებლისმის დასახმარებლად წინ წასულ მცველებს ისე სახიფათოდ ეპარებოდნენ სტრიკ ელიაში, მოგილნი და სხვანი, რომ ძლივს გადაურჩნენ გამანადგურებელ ანგარიშს.

რა იყო ეს? სენსაცია, მოულოდნელობა თუ კანონზომიერება? ალბათ სენსაცია. თავად განსაჯეთ, ბოლო 14 საპლეიოფო მატჩში დალასს ორ გოლზე მეტი არასდროს გაუშვია და თუ ორი პერიოდის განმავლობაში იგებდა, გამარჯვებას აღარც უშვებდა ხელიდან. თანაც ზედიზედ ორჯერ არ წაუგია, მაგრამ ეს სტატისტიკაა, ცხოვრება და თამაში კი იმითაა საინტერესო, რომ ყოველთვის ვერ ეტევა ჩარჩოებში.

...დალასელებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა წინა მატჩის პრობლემები თავიდან აეცილებინათ. ჰიჩკოკმა ამჯერად ჯეისონ არნოტის სამეულს გამოცდილი კარბონის ტრიო დაუპირისპირა, რომელმაც თავისი მოვალეობა კიდეც შეასრულა — არნოტი და მისი პარტნიორები ნაკლებად ჩანდნენ და გოლებიც არ გაუტანიათ. ჯიმი ლანგენბრუნერის დაბრუნების შემდეგ დალასელთა მეორე ხაზიც გამოცოცხლდა, განსაკუთრებით შარშანდელი MVP ჯო ნუინდაიკი. თუმც, მთავარ საშიშროებას სტუმართა დაცვისთვის კვლავ ბრეტ ჰალი და მაიკ მოდანო წარმოადგენდნენ. და მაინც, დალასმა წააგო. ვფიქრობთ, ამ თამაშმა ნათლად გამოამჟღავნა ერთი ბანალური, მაგრამ გადამწყვეტი ფაქტი — ტეხასელი ბებრები დაიღალნენ და მეტოქის მიერ შეთავაზებულ მაღალ ტემპს ვეღარ გაუძლეს. ბოლო ორ მატჩში ხომ „ეშმაკთა“ უპირატესობა სწორედ მატჩის მსვლელობისას იზრდებოდა და შეხვედრის ბოლოსკენ ტეხასელებს ძალა ელეოდათ. ამჯერადაც, ასე იყო. მართალია, დალასი მეორე პერიოდის მიწურულს დაწინაურდა, მაგრამ უკვე აშკარად ჩანდა, რომ ნიუჯერსელთა შეტევები სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ დალასმა გოლი მეოთხე რიცხვმრავლობაში გაიტანა, მანამდე კი სამი ცდა უნიათოდ გაფლანგა. ისინი მაშინ დაწინაურდნენ, როცა გონება მოიკრიბეს და გამარლებული გადაწყვეტილება მიიღეს — შაიბის ხანგრძლივ გათამაშებას ხშირი დარტყმები ამჯობინეს. ერთ-ერთი დარტყმის შემდეგ ასხლეტილი შაიბა პირდაპირ ნუინდაიკს მიუვიდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ამან მხოლოდ გადადო დალასელთა ფიასკო.

მათი ძლივს მოხოხიალე დაცვა მალე სულ დაიშალა, უფრო ახალგაზრდა ნიუჯერსელებს კი მეტი ძალა შერჩათ. ნიშანდობლივია, რომ მეორე და მესამე შაიბა ახალბედებმა შეაგდეს. მაიკ მოდანოს ნათქვამი, პირველი ორმოცი წუთი დიდებულად ვითამაშეთ, ხოლო შემდეგ რაღაც გაუგებარი ჩავარდნა გვქონდაო, თავის მართლებას უფრო ჰგავს.

ახლა შემდეგი მატჩი, შესაძლოა ბოლო გახდეს. თუ ჩემპიონს გადარჩენა სურს, ძალთა მაქსიმალური მობილიზება მართებს.



REUTERS დალასიდან

აფრინდა, აფრინდა... მოდანო აფრინდა

ბომბარდირები: ჰალი 23 (11+12); მოდანო (ორივე დალასი) 21 (9+12); ელიაში 19 (7+12); არნოტი (ორივე ნიუ ჯერსი) 18 (7+11); რეკი (ფილადელფია) 18 (6+12); სიკორა (ნიუ ჯერსი) 17 (9+8); იაგრი (პიტსბურგი) 16 (8+8); ფოსბერგი 15 (7+8); დედმარში 15 (4+11); დრური (სამივე კოლორადო) 14 (4+10); ლეკლერი 13 (6+7); პრიმო (ორივე ფილადელფია) 13 (2+11)

PLAY OFF
ფინალი

დალასს დამცველები გადაეწვა

პოლონეთი
თასის ფინალი. I მატჩი
ვისლა 2:2 ამიცა

ჰასანის თასი
ფინალი
მაროკო 1:5 საფრანგეთი

ბექქემის დროით


THE SUN

დევიდ ბექქემის ლტოლვა საიუველირო ნაწარმის მიმართ საქვეყნოდაა ცნობილი. აი, 25 წლის ფეხბურთელის მორიგი შენაძენი — ბექქემისვე დიზაინით შექმნილი, თეთრი ოქროთი და ბრილიანტებით გაწყობილი შვეიცარიული საათი, რომლის ფასიც 115 ათასი დოლარია. საინტერესოა, რომ დევიდის პირველი ბინა მანჩესტერში ამ საათის ნახევარი ღირდა.

REUTERS რომიდან

იმიჯი... რომა ბატიგოლი...

მხარზე ხელის გადახვევ... ავტოგრაფომანთა გრძელ... რიგები, მცველთა მცირ... შეშფოთებული სახეები... ოვაციები, ოვაციები, ოვაციები ყოველი მხრ... — ეს ნიშნავს, რომ გაბრიელ ბატისტუტა ... რომშია და მომავალი სეზონიდან „რომას“ კვართში გამოწყობილი შეუდგება მეტოქეების კართა გოლებით ამოვსებ... ბატიგოლს სახე უცინის: დახვედრა დიდებულია!

ეჰკარ, ეჰკარ



ამათი აუწეველი და აუკვრელი ქვეყანა ზე ალარაფერი დარჩა. რაც რომ 80-იანი წლებიდან ქალთა ძალოსნობა ოლიმპიურ სახეობად იქცა, ჩინელ დედაკაცებს ამ საქმეში ბადალი არ ჰყავთ. ეს ფოტოც პეკინის ეროვნული სპორტული კომიტეტის საწვრთნელ დარბაზშია გადაღებული: წია, წია და ახლა ისვენებს.

სამხანაგური



ფოტოზე — დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ): ავსტრალიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე და კაპიტანი, პოლ ოკონი და მისი პარაგვაელი კოლეგა ხოსე ლუის ჩილავერტი. სამხრეთამერიკელები ავსტრალიას სამი ამხანაგური მატჩი სათამაშოდ სწევენ და გუნდისთავებმა სიდნეიში ეს-ესაა მასმედიის ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილეს. ირგვლივ ნაირფერი ბუშტები ლივლივებს, ყველა კარგ გუნებაზეა და შეხვედრები დიახაც რომ ამხანაგური იქნება: რა აქვთ ავსტრალიელებს და პარაგვაელებს გასაყოფი?!


THE SUN

კუნე კუნე პარდ...

აუუ, ეს შემწვარი რა იქნება... რაც უნდა ნერწყვი მოგადგეს ამ გოჭისკენ გასტრონომიულად მაინც ნუ გაიხედავთ. ჯერ ერთი, ერთ... იშვიათი, ახალზელანდიური კუნე კუნე ჯიშისაა და ჩვენ... შორს, ინგლისურ ჩეშირში ცხოვრობს. მეორეც და მთავარი: 10 თვის პარდის მაინც ვერ დაიჭერთ. როგორ... ჩეშირელები ამბობენ, გოჭი სკეიტბორდზე ისე დაქრის, თანაფაუნელებს კი არა, ადამიანებსაც უჭირთ.

ზეედორფმა და კლუივერტმა მოაწერეს...

REUTERS ნიონიდან

დაბადების ცნობა ამას არ უნდა და შუქის გადახდის ქვითარი — ფეხბურთელი, თუ მთლად მისავათებული არაა, ხელის მოწერაზე უარს არავის ეტყვის. მით უმეტეს, ამისთანა ქალბატონის შვილს. შვეიცარიულ ნიონში ეს-ესაა ჰოლანდიის ნაკრების ვარჯიში დამთავრდა და კლარენს ზეედორფი და პატრიკ კლუივერტი ავტოგრაფებს არიგებენ.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია, ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აბვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge